## კანონმდებლები

# ამნისტირებულია 4000-მდე კაცი



28 დეკემბერს რიგგარეშე სესიაზე პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი „ამნისტიის შესახებ“, რომელიც გამოქვეყნებისთანავე ამოქმედდება.

„ამნისტიის შესახებ“ კანონპროექტი იმ სამხედრო მოსამსახურეებს შეეხებათ, რომლებმაც 2000 წლის 22 დეკემბრამდე ჩაიდინეს დანაშაული – სამხედრო ვალდებულებების ან სამხედრო სამსახურის წინააღმდეგ.

წელს გაწვეული და ამნისტირებული პირები ხელახალ სამხედრო გაწვევას დაექვემდებარებიან, ხოლო 2000 წლამდე გაწვეულები რეზერვში ჩაირიცხებიან. პარლამენტართა აზრით, ამ მნიშვნელოვანი აქტით სახელმწიფომ გამოიჩინა ჰუმანურობა და პასუხისმგებლობისაგან გაათავისუფლა ის პირები, რომლებმაც მძიმე სოციალური პირობების გავლენით ჩაიდინეს დანაშაული სამხედრო ვალდებულების ან სამსახურის წინააღმდეგ. ამნისტირებულია 4000-მდე კაცი.

# ცალკე განხილვის საგანი

ტელეკომპანია „კავკასიის“ ჟურნალისტისათვის აკრედიტაციის ჩამორთმევის ფაქტმა საკმაოდ მწვავე დებატები გამოიწვია პარლამენტის რიგგარეშე სესიაზე, რომელმაც 28 დეკემბერს დაიწყო მუშაობა.

აღნიშნული ფაქტი დეპუტატთა დიდმა ნაწილმა უარყოფითად შეაფასა. ამას მოჰყვა პარლამენტის თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას განცხადება, რომელმაც აღნიშნა, რომ, თუ საჭიროა, ამ საკითხთა შესწავლისათვის უნდა შეიქმნას სპეციალური კომისია.

იხ. მე-2 გვ.

## შედეგი

# საქართველო სტატისტიკის ჭრილში

### ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა 2000 წლის იანვარ-ნოემბერში

ჩვენს ქვეყანაში მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობამ, წინასწარი შეფასებებით, 2000 წლის იანვარ-სექტემბერში მოქმედ ფასებში 4,4 მლრდ ლარი შეადგინა. მისი რეალური მოცულობა წინა წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით 0,2 პროცენტით შემცირდა.

ქვეყნის ეკონომიკისთვის გვალვით მიყენებული ზარალის გამო, 2000 წლის იანვარ-სექტემბერში სოფლის მეურნეობაში შექმნილი დამატებული ღირებულება წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 18,5 პროცენტით შემცირდა. სოფლის მეურნეობის ჩაუთვლელად ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური მოცულობა გასული წლის იანვარ-სექტემბრის შესაბამის მაჩვენებელს 6,2 პროცენტით აღემატება.

**სოფლის მეურნეობასთან ერთად, რომლის წილად მთლიანი შიდა პროდუქტის 24,7 პროცენტი მოდის, ქვეყნის ეკონომიკის დარგობრივ სტრუქტურაში წამყვანი ადგილი უკავია ვაჭრობას, მრეწველობასა და ტრანსპორტს.**

2000 წლის იანვარ-ნოემბერში მოქმედი 2817 მსხვილი, საშუალო და მცირე **სამრეწველო საწარმოს** მიერ წარმოებული პროდუქციის მოცულობამ თითქმის 900 მლნ ლარი შეადგინა (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 12,3 პროცენტით მეტი). არაფორმალური და ფარული წარმოების მოცულობის გათვალისწინებით, სამრეწველო პროდუქციის მოცულობა მოქმედ ფასებში დაახლოებით 1,7 მლრდ ლარის ტოლია, ანუ 1999 წლის იანვარ-ნოემბერთან შედარებით 5,0 პროცენტით მეტი.

იხ. მე-2 გვ.

ჩვენი გაზეთი ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/sakartvelos-respublika

გუშინ ჩვენს გაზეთს ინტერნეტით გაეცნო 2584 მკითხველი. მათ შორის, 55% აშშ-დან, 21% – საქართველოდან

GIOC
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №338 (3739) პარასკევი, 29 დეკემბერი, 2000 წელი. ფასი 50 თეთრი.

## ულოცავენ

# გაჭირვებაში მეხმარება

ქვირფასო რედაქცია, 85 წლის ლტოლვილი ქალი ვარ, არ გაგიკვირდებათ, თუ ვიტყვი, რომ დალხინებული ცხოვრება არა მაქვს. მაგრამ მართლა გაუსაძლისი იქნებოდა ჩემი არსებობა, შესანიშნავი ქალბატონი ნანული შევარდნაძე რომ არ მეხმარებოდეს. ამიტომ მინდა თქვენი გაზეთის საშუალებით მივულოცო ახალი წელი, ვუსურვებ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს, დიდ წარმატებებს ქართველი ქალების საკეთილდღეოდ.

**ლეონინა ზუხბაია-ქვაცბაია,**
ქ. ზუგდიდი.



# გადარჩენის ტოლფასია

უმორჩილესად გთხოვთ, თქვენი გაზეთის საშუალებით სხვებთან ერთად ახალი წლის მოსვლა გულითა და სულით მივულოცო ღირსეულ მამულიშვილს, დიდი სახელის მქონეს მთელ საქართველოში ჯანსულ ჩარკვიანს, მის საყვარელ ოჯახს.

ვუსურვებ 2001 წელი მისთვის და ყველა მისი საყვარელი ადამიანისთვის ყოფილიყოს სიხარულის მომტანი წელიწადი.

დღეს მისი თანადგომა, სასტიკად გაჭირვებული თანამემამულეთათვის გადარჩენის ტოლფასია.

ღრმა პატივისცემით, **იოსებ ვარდიძე,**
ახალციხე, ს. ივლიტა.

## ვულოცავთ!

### საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

2000 წლის 27 დეკემბერი ქ. თბილისი

**2000 წლის საქართველოს სახელმწიფო პრემიების მინიჭების შესახებ**

დამტკიცდეს საქართველოს პრეზიდენტთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის თანდართული გადაწყვეტილება 2000 წლის სახელმწიფო პრემიების მინიჭების შესახებ.

**ედუარდ შევარდნაძე.**

### საქართველოს პრეზიდენტთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის გადაწყვეტილება

საქართველოს პრეზიდენტთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის სახელმწიფო პრემიების კომიტეტმა 2000 წლის 22 დეკემბერს თავის შემაჯამებელ სხდომაზე ფარული კენჭისყრით 2000 წლის საქართველოს სახელმწიფო პრემიები მიანიჭა ლაურეატობის შემდეგ კანდიდატებს:

**ლიტერატურის დარგში**

პოეტ **მარი აბრამიშვილს** – 1999–2000 წლების მანძილზე ჟურნალ „მნათობში“ გამოქვეყნებული პოეტური ციკლებისა და მოგონებებისათვის, მთელი შემოქმედების გათვალისწინებით.

**მუსიკის დარგში**

მომღერალ **ნოდარ ანდღულაძეს** – საკონცერტო მოღვაწეობისათვის 1998–2000 წლების მანძილზე.

ტრიოს **ნუკრი კაპანაძის, ეკა მამალაძის, თამრიკო ჭოხონელიძის** შემადგენლობით და **გია ბაღაშვილის** ხელმძღვანელობით – მეგრული სიმღერების შესრულებისათვის.

**სახვითი ხელოვნების დარგში**

მხატვარ ესმა ონიანს (გარდაცვალების შემდეგ) – მთელი შემოქმედებისათვის.

**თეატრის დარგში**

რეჟისორ სანდრო მრევლიშვილს – მეტეხის თეატრში განხორციელებული სპექტაკლისათვის „მარტორქები ორკესტრში“.

**კინემატოგრაფიის დარგში**

კინორეჟისორ ირაკლი ონოფრიშვილს – დოკუმენტური ფილმისათვის „ქართველთა ათონის სავანე“ (1999).

**პუბლიცისტიკის დარგში**

პუბლიცისტ თეიმურაზ კომახიძეს – წიგნისათვის „აჭარა წარსულის გადასახედიდან“.

მწერალ დავით მჭედლურს – წიგნისათვის „ეროვნული იდეის ძიებაში“.

**რადიო-ტელევიზიის დარგში**

ჟურნალისტ ლამარა კიკილაშვილს – საავტორო პროგრამისათვის „სახსოვარი“.

საქართველოს პრეზიდენტთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის თავმჯდომარე **მურმან ლებანიძე,**

თავმჯდომარის მოადგილე **ტარიელ ჭანტურია.**

## დაჯილდოება

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2000 წლის 26 დეკემბერი ქ. თბილისი

**ე. ტაბლიაშვილის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

საქართველოს რადიომაუწყებლობაში მოღვაწეობისას გამოვლენილი მაღალი პროფესიონალიზმისათვის, რადიოს დიქტორთა ლიტერატურული სალონის მუშაობაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი საქმიანობისათვის საქართველოს დამსახურებული არტისტი, ქართული რადიოს ღვაწლმოსილი დიქტორი ელენე **ტაბლიაშვილი** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

**ე. შევარდნაძე.**

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2000 წლის 28 დეკემბერი ქ. თბილისი

**დ. მექვაბიშვილის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

პროფკავშირული მოძრაობის განვითარებაში, დარგის მუშაკთა შრომითი და სამართლებრივი ინტერესების დაცვაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი საქმიანობისათვის საქართველოს პროფესიული კავშირების აჭარის რესპუბლიკის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქალთა საბჭოს პრეზიდიუმის წევრი **დარეჯან მექვაბიშვილი** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

**ე. შევარდნაძე.**

## საახალწლოდ







შემოდგომის ბარაქა ზამთრის თბილისის ქუჩებსა და მოედნებზე.

თედო ნიკოლაიშვილის ფოტორეპორტაჟი.

## გიხაროდენ!

# ლუკა ქისტაური – XXI საუკუნის მოქალაქე

რაიონის საგადასახადო ინსპექციის ინსპექტორი თამრიკო ტოკლიკლიშვილი და მისი მეუღლე, სააქციო საზოგადოება „ტრანსპორტელის“ მიკროავტობუსის მძღოლი ამირან ქისტაური ორი წელიწადი ელოდნენ ბავშვს. რაიონში კარგად იცნობენ ამ ახალგაზრდა ოჯახს. აქეთ დიდი სიყვარული და ურთიერთპატივისცემა. თამრიკოს გუშინწინ გოლიათი ვაჟი შეეძინა – იწონის 4 კილოსა და 100 გრამს. გაიხარეს ქისტაურებმა.

ჩვენს რაიონს XXI საუკუნის დამდეგს კიდევ ერთი მოქალაქე შეეძინა – ლუკა ქისტაური! – დედოფლისწყაროდან ტელეფონით დაგვიკავშირდა ამ რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი **ნანა ჭიჭინაძე.**



**ვაჟიანობას და ახალ წელს ვულოცავთ ქისტაურების ოჯახს!**

**გამრავლდით, იბედნიერეთ!**

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

## პროკურატურა

# პილპილმოყრილი დამშვიდობება

როგორც ჩანს, საქართველოს გენერალური პროკურატურა წინასაახალწლო დღეებშიც არ აპირებს ტაიმ-აუტის აღებას და კვლავ განაგრძობს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას. გუშინ კოლეგიაზე განიხილეს თბილისის პროკურატურის მიერ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის და ბიუჯეტის შესავსებად გაწეული მუშაობის, აგრეთვე, კორუფციისა და ეკონომიკური დანაშაულის საქმეებზე სასამართლოებში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის მდგომარეობა.

იხ. მე-2 გვ.

## უკანასკნელ საათს



<u>მდინარე</u> იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე, ღაზის სექტორში ბომბის აფეთქებამ 2 ისრაელის სიცოცხლე იმსხვერპლა, რამდენიმე დაიჭრა. ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ეჰუდ ბარაკმა არმიას უბრძანა გაამკაცრონ დასავლეთ სანაპიროსა და ღაზის სექტორის კორდონი.



## ინფორმაცია

### სუ-25 ტიპის თვითმფრინავების მოდერნიზაცია

სუ-25 ტიპის მოიერიშე თვითმფრინავების მოდერნიზაცია დაიწყო თბილისის საავიაციო-საწარმო გაერთიანებაში.

როგორც პრაიმ-ნიუსს აქ განუცხადეს, ამ ფართო მოცულობის პროგრამაში მონაწილეობს ისრაელის კომპანია Elbitis.

მომავალი წლის ზაფხულში მოდერნიზებულ თვითმფრინავებს წარადგენენ საფრანგეთში, ლე ბურჟეს ავიასალონში, საერთაშორისო საავიაციო გამოფენაზე, რის შემდეგაც თბილისის ავიაგაერთიანების ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ მოხერხდება რამდენიმე კონტრაქტის გაფორმება.

აღნიშნული პროექტიდან მოგებას საქართველოს და ისრაელის მხარეები თანაბრად გაინაწილებენ.

### რა ოდენობის ფულია მიმოქცევაში?

საქართველოში, ამჟამად, მიმოქცევაშია 284,6 მილიონი ნაღდი ფული, რომლის ოდენობა მიმდინარე წლის თერთმეტ თვეში 24,8 მილიონით გაიზარდა, ხოლო ბანკებს გარეთ არსებული ფულის ოდენობა გაიზარდა 23,8 მილიონით და 267,9 მილიონი ლარი შეადგინა, – ასეთია საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემები.

მიმოქცევაში ფულის მასის ზრდის პარალელურად, ამავე პერიოდში დეპოზიტები 27,5 მილიონით გაიზარდა, საბოლოო ანგარიშით, 69,5 მილიონი ლარი შეადგინა.

### ხელსაყრელ ფასებში

წინასაახალწლო ვაჭრობასთან დაკავშირებით, სამცხე-ჯავახეთის რეგიონიდან ხუთმაბათს თბილისში 60 ავტომანქანა შემოვიდა.

როგორც პრაიმ-ნიუსს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო ადმინისტრაციის პრესსამსახურში აცნობეს, დედაქალაქის მოსახლეობას შედარებით ხელსაყრელ ფასებში დიდი რაოდენობით სოფლის მეურნეობის პროდუქტებს შესთავაზებენ.

### ანაზღაურებას ბანკი უზრუნველყოფს

საქართველოს საბითუმო ენერგობაზარმა ელექტროგამანაწილებელი კომპანიების მიერ ელექტროენერგიის ანაზღაურების ახალი ხერხების ძიების მიზნით შემოიღო დავალიანების დაფარვის ახალი ფორმა. ახლა ელექტროენერგიის მესყიდვის განაცხადს, რომელსაც განსახილველად წარუდგენენ საბითუმო ენერგობაზარს, უნდა დაერთოს ანაზღაურების საბანკო გარანტია. იმ შემთხვევაში, თუ ენერგოკომპანია განვლილი კვირის დანახარჯს არ გადაიხდის, საბითუმო ენერგობაზარი განკარგულებას აძლევს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას „დისპეტჩერიზაცია-2000“, შეუზღუდოს ელექტროენერგიის მიწოდება დავალიანების დაფარვამდე. ანაზღაურების ახალი ფორმა ერთი თვეა მოქმედებს და ჯერჯერობით ქვეყნის არც ერთ ენერგოკომპანიას არ დასდებია საბითუმო ენერგობაზრის ვალი.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, პრაიმ-ნიუსმა.

## ამინდი დღეს

**დასავლეთ საქართველოში**

დაბლობში: ღამით +1+6; დღისით +14+19.

მთაში: ღამით -3+2; დღისით +10+15.

**აღმოსავლეთ საქართველოში**

ბარში: ღამით -3+2; დღისით +7+12.

მთაში: ღამით 0-5; დღისით +6+11.

**თბილისში**

ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, სუსტი ქარი. ღამით -1+1; დღისით +10+12.

საქართველოს ჰიდრომეტცენტრი.

## ლარის კურსი

29 დეკემბრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:

| | | | |
|---|---|---|---|
| ინგლისური გირვ. | 1 | 2.9339 | ლარი |
| გერმანული მარკა | 1 | 0.9382 | ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1.9750 | ლარი |
| ევრო | 1 | 1.8350 | ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0695 | ლარი |

## გვირეკავენ, გვეკითხებიან

– გთხოვთ, განმიმარტოთ, რა შემთხვევაში მიეცემა პენსია თვეში 45 ლარის ოდენობით, ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ავარიის სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეებს.

**ალეკო ფავლენიშვილი.**

– ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ავარიის სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეებს, ომის ინვალიდების თანაბრად, პენსია 45 ლარამდე მიეცემათ იმ შემთხვევაში, თუ ისინი სამხედრო კომისარიატის მიერ მობილიზაციის წესით გაწვეული იყვნენ ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის აღსადგენად და ინვალიდობა დადგენილი აქვთ სამხედრო მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით.

**ირინე ღლონტი.**

დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-16-90, 93-28-54.

მაგთი MAGTI GSM

# შპს მაგთიკომი
# MAGTICOM Ltd

*კომპანია მაგთიკომი ულოცავს ყველა აბონენტს დამდეგ ახალ 2001 წელს!*

**გაცნობებთ კიდევ ერთ ახალ სასიამოვნო ამბავს:**

ბოლო 3 დღის განმავლობაში დედაქალაქში ამოქმედდა **GSM**-1800 მეგაჰერც სიხშირეზე მომუშავე 9 ახალი საბაზო სადგური, რაც კიდევ უფრო გააუმჯობესებს მაგთი **GSM**-ის ქსელის მუშაობის ხარისხს თბილისში.

2001 წელს „მაგთიკომი“ კიდევ მრავალ სასიამოვნო სიურპრიზს შემოგთავაზებთ.

*მაგთი GSM — მუდმივი კავშირის სამყარო*

## ინტერპანორამა



<u>გუშინ</u> პალესტინელთა ლიდერმა იასირ არაფატმა კაიროში ეგვიპტის პრეზიდენტთან ჰოსნი მუბარაქთან მოლაპარაკებები გამართა მას შემდეგ, რაც ბარაკთან ადრე დაგეგმილი სამიტი გადაიდო.

<u>გუშინ</u> ჩეხეთის სახელმწიფო ტელევიზიის თანამშრომლებმა პროტესტის ნიშნად შეწყვიტეს მუშაობა, რადგან ტელევიზიის ახალმა გენერალურმა დირექტორმა ირჟი გოდაჩმა სამსახურიდან დაითხოვა რამდენიმე რედაქტორი. ჟურნალისტებს მხარი დაუჭირა პრეზიდენტმა ვაცლავ ჰაველმა.



<u>გუშინ</u> საბოლოოდ გაიფანტა ხმები, თითქოს აშშ პრეზიდენტი ბილ კლინტონი ჩრდილოეთ კორეაში ჩასვლას აპირებს. მისი განცხადებით, იგი არ აპირებს ამ ქვეყანაში ვიზიტს საპრეზიდენტო ვადის გასვლამდე.



გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 338. პარასკევი, 29 დეკემბერი, 2000 წელი.

დაჯილდოება

## საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2000 წლის 26 დეკემბერი ქ. თბილისი

**საქართველოს ვეტერან მორაგბეთა ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

საქართველოში სპორტის სახეობა რაგბის დანერგვა-განვითარებაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისათვის, მაღალი სპორტული შედეგებისა და ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისათვის ღირსების ორდენით დაჯილდოვდნენ ქართული რაგბის ვეტერანები:

**ივლიანე იოვაძე** – საერთაშორისო ტურნირების პირველი პრიზის მფლობელი, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და რესპუბლიკური თასის მფლობელი რაგბიში, საქართველოს ვეტერან მორაგბეთა კავშირის პრეზიდიუმის წევრი;

**თეიმურაზ რუხაძე** – საერთაშორისო ტურნირების მრავალგზის გამარჯვებული და პრიზიორი, სპორტის ოსტატი, საქართველოს ვეტერან მორაგბეთა კავშირის პრეზიდიუმის წევრი;

**თენგიზ რუხაძე** – საერთაშორისო ტურნირების მრავალგზის გამარჯვებული და პრიზიორი, სპორტის ოსტატი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი, საქართველოს ვეტერან მორაგბეთა კავშირის საპატიო პრეზიდენტი.

**ე. შევარდნაძე.**

## საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2000 წლის 28 დეკემბერი ქ. თბილისი

**შ. ისაკაძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

თბილისის ლანდშაფტური არქიტექტურის, მწვანე მშენებლობის, დეკორატიული მებაღეობისა და საბაღო-საპარკო ხელოვნების განვითარებაში შეტანილი პირადი წვლილისათვის, მაღალი პროფესიონალიზმისა და ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისათვის ქ. თბილისის მთავარი დეკორატორი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე **შალვა ისაკაძე** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

**ე. შევარდნაძე.**

კანონმდებლები

## ცალკე განხილვის საგანი

(პირველი გვერდიდან)

ლაპარაკია ჟურნალისტის მიერ დეპუტატისათვის შეურაცხყოფის მიყენებაზე. თუ აუცილებელი გახდება, აკრედიტაციის წესიც შევიმუშაოთ, როგორიც მსოფლიოს ბევრ ქვეყანაშია, – განაცხადა ზურაბ ჟვანიამ და აღნიშნა, რომ ძალზე საგანგაშოა, როცა პოლიტიკური სპეკულაციის საგანი ხდება ის საკითხები, რომლებიც ელემენტარული ეთიკის საფუძველს წარმოადგენს.

ზურაბ ჟვანიამ გამოხატა, აგრეთვე, თავისი პოზიცია პრესის საქმიანობის საკანონმდებლო ჩარჩოებში მოქცევასთან დაკავშირებით. „პრესის საქმიანობის რეგულირებისათვის საქართველოში არსებობს კანონი, იგი მერე დაიხვეწა, როცა პარლამენტმა მიიღო ადმინისტრაციული კოდექსი და მასში ცალკე თავი შევიდა, რომელსაც ინფორმაციის თავისუფლების აქტი შეიძლება დაერქვას“, – განაცხადა ზურაბ ჟვანიამ. მანვე თქვა, რომ სისხლის სამართლის კოდექსმა განსაზღვრა ის ნორმები, რომლებიც ცილისწამების შემთხვევაში შეიძლება ამოქმედდეს და ასე შემდეგ. საჭიროა თუ არა, რომ საკითხები ერთიან საკანონმდებლო აქტში მოექცეს? ეს, ზურაბ ჟვანიას აზრით, ცალკე განხილვის საგანია. „ვერავინ დასწამებს ვერც პრეზიდენტს და ვერც პარლამენტს, რომ არაფერი გაუკეთებიათ მასმედიის თავისუფლებისათვის“, – განაცხადა ზურაბ ჟვანიამ.

## ვახტანგ რჩეულიშვილის პრინციპები

28 დეკემბერს პარლამენტის ვიცესპიკერმა ვახტანგ რჩეულიშვილმა პრესკონფერენცია გამართა, რომელიც მასმედიასთან ბოლო დროს მის გამწვავებულ ურთიერთობას დაუკავშირდა.

მან ჟურნალისტებს მიმართა, რომ ისინიც ისეთივე პასუხისმგებელნი არიან ქვეყნის მომავლისათვის, როგორც პოლიტიკოსები. ამავე დროს, ვახტანგ რჩეულიშვილმა მასმედიის ზოგიერთი ორგანო კორუმპირებულობაში დაადანაშაულა. ჟურნალისტებმა ფაქტების დასახელება მოითხოვეს, თუმცა, ლაპარაკი ზოგად საკითხებს არ გასცილებია.

ვახტანგ რჩეულიშვილმა განაცხადა, რომ დამახინჯებით გაამუქეს მისი ნათქვამი მთავრობის სხდომაზე. „ჩემს მიერ შევარდნაძისათვის ნათქვამსა და პრესის მიერ გაშუქებულს მორის პრინციპული განსხვავებაა“, – თქვა ვიცესპიკერმა. მისი აზრით, პრესა გარკვეულ ჩარჩოებში უნდა მოექცეს. „თავისუფალი პრესა არ ნიშნავს იმას, რომ მან კანონის მიხედვით არ უნდა იმუშაოს“, – განაცხადა ვახტანგ რჩეულიშვილმა.

პრესკონფერენცია, საზოგადოდ, ვიცესპიკერისა და ჟურნალისტების სიტყვიერი შეხლა-შემოხლით დამთავრდა.

**საქინფორმი.**

პროკურატურა

## პილპილმოყრილი დამშვიდობება

(პირველი გვერდიდან)

კოლეგიაზე ითქვა, რომ ეს ორი საკითხი გადაჯაჭვულია ერთმანეთზე. რა კარგადაც არ უნდა გამოიძიოს პროკურატურამ ნებისმიერი კორუფციული ხასიათის საქმე, ყველაფერი წყალში გადაიყრება, თუ საბოლოო ჯამში სასამართლოში გამამტყუნებელი განაჩენი არ დადგება და დამნაშავე საკადრისად არ დაისჯება. არადა, ჯერჯერობით ყველაფერი იქით მიდის, რომ კორუფციული საქმეები რაღაცნაირად „შემსუბუქდეს“, გადაკვალიფიცირდეს, რათა იოლი განაჩენი დადგეს ან დამნაშავე პასუხისმგებლობისაგან საერთოდ განთავისუფლდეს.

ეს მავნე ტენდენციაა, და იგი სასურველ მიზნამდე ვერ მიგვიყვანს. უკვე ჩნდება კითხვა, – ღირს კი ისეთი სისხლის სამართლის საქმის აღძვრა, რომელშიც გარეულია რომელიმე თანამდებობის პირი? მას ათასი ქომაგი, ათასი გულშემატკივარი უჩნდება. ცდილობენ მამა აბრამის ბატკნად მოაჩვენონ საზოგადოებას ზოგიერთი ჩინოვნიკი, რომელმაც ბიუჯეტს მილიონობით ლარი წაალიტა. არადა, კორუფცია მაღალ ეშელონებშია, დასჯით კი ჯერჯერობით მეტწილად „მეისრეები“ ისჯებიან. საკმარისია ითქვას, რომ შარშან და წლეულს სასამართლოებმა განიხილეს 302 კორუფციული საქმე, თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს მხოლოდ 62 პირს, ანუ 19 პროცენტს. საკითხავია, რა იქნა ის 81 პროცენტი? ბრალი მაინც დაფარეს?

ასეთი შედეგების გამო ზოგიერთი პროკურორი წინასაინფარქტო მდგომარეობაშიც კი აღმოჩენილა, მაგრამ ბატონ ჯამლეთ ბაბილაშვილის განცხადებით, ხელის ჩაქნევა არავის ეპატიება, ასეთი პროკურორი სისტემას არ სჭირდება. ეს საკითხი ყველაზე მწვავედ დგას ახლა, როცა მიდის კადრების ოპტიმიზაცია, რაიონული პროკურატურების შეერთება. გენერალური პროკურორის თქმით, ადგილს შეინარჩუნებს ის პროკურორი, რომელიც თავს გამოიჩენს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამაში იგულისხმება კორუფციული საქმის შემოწმებაც, მოკვლევაც, გამოძიებაც, სასამართლომდე მიტანაც და იქ სათანადო განაჩენიც დადგომაც.

ბატონმა ჯამლეთ ბაბილაშვილმა თავის მუშაკებს ახალი წლის დადგომა მიულოცა, ყოველივე სიკეთე უსურვა, მაგრამ, სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, გულთბილ დამშვიდობებას მაინც პილპილი მოაყარა. არც გაემტყუნება!

**ბონდო გულიაშვილი.**

ყურადღება



## ძვირფასო თბილისელებო! დედაქალაქის სტუმრებო!

წინასაახალწლო ვაჭრობასთან დაკავშირებით, როგორც წესი, განსაკუთრებული სიმრავლე იქნება დიდუბის ცენტრალური სუპერმარკეტის ტერიტორიაზე, სადაც თავს იყრის ტრანსპორტისა და მოვაჭრეთა დიდი რაოდენობა. უსაფრთხო და შეუფერხებელი გადაადგილების უზრუნველყოფის მიზნით, 29-30-31 დეკემბერს განხორციელებული იქნება შემდეგი ღონისძიებები:

წინამძღვრიშვილის ქუჩაზე თამარ მეფის გამზირიდან ცაბაძის ქუჩამდე და წერეთლის გამზირზე ცაბაძის ქუჩიდან ქუთაისის ქუჩამდე დაწესდება ტრანსპორტის ცალმხრივი მოძრაობა თამარ მეფის გამზირიდან წერეთლის გამზირის მიმართულებით.

ასევე, ცალმხრივი მოძრაობა დაწესდება დიდუბის ქუჩაზე ქუთაისის ქუჩიდან ცაბაძის მიმართულებით, ხოლო ცაბაძის ქუჩაზე – აღმაშენებლის გამზირიდან წერეთლის გამზირის მიმართულებით. დანარჩენ მონაკვეთებზე შენარჩუნებული იქნება ტრანსპორტის მოძრაობის არსებული სქემები.

ტრანსპორტის მოძრაობის რეგულირებისათვის ყველა საკვანძო ადგილებში გამოყოფილი იქნება საგზაო პოლიციის გაძლიერებული განწესებები.

აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება ტრანსპორტის მოძრაობისათვის დაიკეტოს მარცხენა სანაპიროდან ცაბაძის ქუჩაზე ამოსასვლელი და წინამძღვრიშვილის ქუჩა თამარ მეფის გამზირის მხრიდან.

ავტოტრანსპორტით საკოლმეურნეო ბაზართან მოხვედრა შესაძლებელი იქნება თამარ მეფის გამზირის, ბორჯომისა და აბასთუმნის ქუჩების გავლით.

ავტომანქანების პარკირებისათვის გამოყენებული იქნება: თევდორე მღვდლის ქუჩა, სურამის ქუჩა, ნინოშვილის ქუჩა, ცაბაძის ქუჩა, აბასთუმნის ქუჩა, ვაგზლის მოედანი და წერეთლის გამზირი.

მოსალოდნელი გართულებების თავიდან ასაცილებლად, გთხოვთ, მაქსიმალურად დაიცვათ მოძრაობის წესები და საგზაო პოლიციელთა მოთხოვნები, ამასთანავე მოგიწოდებთ, ამ დღეებში განსაკუთრებულად გავუფრთხილდეთ, პატივი ვცეთ ერთმანეთს და თავი შევიკავოთ ცეცხლსასროლი იარაღიდან სროლისა და ე. წ. „ტკაცუნების“ ბოროტად გამოყენებისგან.

კიდევ ერთხელ გილოცავთ დამდეგ ახალ წელს. დაე, მესამე ათასწლეულის პირველი წელი ყოფილიყოს ბედნიერების, სიხარულის, სამშობლოს წინსვლის წელიწადი.

**ქ. თბილისის შს მთავარი სამმართველო.**



შედეგი

(პირველი გვერდიდან)

**მრეწველობის ეკონომიკური საქმიანობის** სახეობების მიხედვით 2000 წლის იანვარ-ნოემბერში 1999 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით წარმოების მოცულობა გაიზარდა სამივე სექციის მიხედვით. კერძოდ, „სამთომომპოვებელ მრეწველობასა და კარიერების დამუშავებაში“ – 75 პროცენტით, „გადამამუშავებელ მრეწველობაში“ – 14 პროცენტით და „ელექტროენერგიით, გაზით და წყალმომარაგებაში“ – 2,6 პროცენტით.

მსხვილი, საშუალო და მცირე სამრეწველო საწარმოების მიხედვით წინა წლის იანვარ-ნოემბერთან შედარებით წარმოების მოცულობა გაიზარდა ქ. თბილისში (66 მლნ ლარით, ანუ 24 პროცენტით), რომლის წილი სამრეწველო პროდუქციის მოცულობაში 38 პროცენტია. შიდა ქართლის (20 მლნ ლარით, ანუ 60 პროცენტით), ქვემო ქართლის (27 მლნ ლარით, ანუ 13 პროცენტით), მცხეთა-მთიანეთის (2,3 მლნ ლარით, ანუ 13 პროცენტით), კახეთის (157,3 ათასი ლარით, ანუ 1,3 პროცენტით) მხარეების მრეწველობაში. წარმოების მოცულობა შემცირდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის (20 პროცენტით), რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის (19 პროცენტით), სამეგრელო-ზემო სვანეთის (12 პროცენტით), იმერეთის (11 პროცენტით), კახეთის (0,2 პროცენტით) მხარეების მრეწველობაში.

ოქტომბერ-ნოემბერში ქვეყანაში **საშემოდგომო ხვნა-თესვის სამუშაოები** წინა წელთან შედარებით დაბალი ტემპებით წარიმართა. 2000 წლის 22 ნოემბრის ოპერატიული ინფორმაციით, ქვეყანაში საშემოდგომოდ დათესილი იყო მხოლოდ 62,5 ათასი ჰექტარი ფართობი. თესვის დაბალი ტემპი სათესლე მასალის უკმარისობით არის განპირობებული, რაც შესაბამისად აისახა 2001 წლის მოსავლისათვის საშემოდგომო კულტურების თესვის საპროგნოზო მაჩვენებლებზე. დეკემბერში სათესლე მასალის ინტენსიური შემოტანისა და თესვისათვის ხელსაყრელი კლიმატური პირობების გამო, 2000 წლის 14 დეკემბრის ოპერატიული ინფორმაციით, რეალურად დათესილმა ფართობმა შეადგინა 93,9 ათასი ჰექტარი, რაც მოხნული ფართობის 72 პროცენტია (გასული წლის შესაბამის პერიოდში მოხნული იყო 133,1 ათასი ჰექტარი, დათესილი – 109,3 ათასი ჰექტარი, მოხნული ფართობის 82 პროცენტი).

**2000 წლის იანვარ-ნოემბერში ძირითად კაპიტალში** (ინდივიდუალური ბინათმშენებლობის გარეშე) ინვესტირებულია 178 მლნ ლარის სახსრები, რაც გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 14 პროცენტით ნაკლებია. ამგვარი შემცირება აიხსნება გასულ წელს ბაქო-სუფსის მილსადენზე და სუფსის ტერმინალზე განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების დიდი მოცულობით. ამ ობიექტების გარეშე ინვესტიციების ზრდის ტემპი იქნებოდა 144,9 პროცენტი.

წლის დასაწყისიდან ათვისებულია 5,3 მლნ ლარის სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები, რაც მთელი მოცულობის 3,0 პროცენტს შეადგენს. ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების სახსრებით ათვისებულია 23,3 მლნ ლარი, ანუ მთელი ათვისების 13,0 პროცენტი, აქედან თბილისის მერიის მიერ გამოყენებულია 20,2 მლნ ლარი (86,8 პროცენტი), აჭარის კაპიტალური მშენებლობის ტერიტორიული სამმართველოს მიერ – 3,1 მლნ ლარი (13,2 პროცენტი). სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე 2000 წლისათვის გათვალისწინებული მოცულობა (9,1 მლნ ლარი) 58,4 პროცენტით არის გამოყენებული.

2000 წლის იანვარ-ნოემბერში ყველა სახის **საერთო სარგებლობის ტრანსპორტით** გადატანილია 27,4 მლნ ტონა ტვირთი და შესრულებულია 4969,1 მლნ ტონა-კილომეტრი ტვირთბრუნვა. წინა წლის იანვარ-ნოემბერთან შედარებით ტვირთზიდვის მოცულობა 14,4 პროცენტით გაიზარდა, ხოლო ტვირთბრუნვა 43,1 პროცენტით შემცირდა. საქალაქო ელექტროტრანსპორტის გარეშე გადაყვანილია 216,8 მლნ მგზავრი. მგზავრთბრუნვამ შეადგინა 4834,6 მლნ მგზავრ-კილომეტრი. წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გადაყვანილი მგზავრების რაოდენობა 0,9 პროცენტით, ხოლო მგზავრთბრუნვა 2,5 პროცენტით გაიზარდა.

2000 წლის თერთმეტ თვეში **ინფლაციამ** 4,1 პროცენტი შეადგინა, ხოლო მისმა საშუალო თვიურმა დონემ – 0,35 პროცენტი. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელია ბოლო წლებში. ინფლაციის უფრო დაბალი დონე მხოლოდ 1998 წლის თერთმეტ თვეში აღინიშნა, თუმცა, მაშინ დეკემბერში აშშ დოლარის მიმართ ლარის კურსის მკვეთრი დაცემისა და, შესაბამისად, სამომხმარებლო ფასების სწრაფი ზრდის გამო წლიურმა ინფლაციამ საბოლოოდ 10,7 პროცენტს მიაღწია.

მიმდინარე წლის ნოემბერში სამომხმარებლო ფასები წინა თვესთან შედარებით მხოლოდ 0,6 პროცენტით გაიზარდა, რაც ყველაზე დაბალი მაჩვენებელია ბოლო 5 წლის განმავლობაში.

წლიურმა ინფლაციამ (1999 წლის ნოემბრის მიმართ) 5,3 პროცენტი შეადგინა. არასასურსათო საქონელი გაძვირდა 0,3 პროცენტით, სურსათი – 8,1 პროცენტით, მომსახურების ტარიფები კი 2,2 პროცენტით გაიზარდა. 2000 წლის ნოემბერში 1999 წლის ნოემბერთან შედარებით ყველაზე მეტად გაიზარდა ხილ-ბოსტნეულის (20,7 პროცენტით), პურ-ბურღულეულის (11,1 პროცენტით), თამბაქოს ნაწარმის (10,8 პროცენტით), შაქრის (8,9 პროცენტით) ფასები. 8,7 პროცენტით გაიაფდა ზეთი და ცხიმები.

## საქართველო სტატისტიკის ჭრილში

**ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა 2000 წლის იანვარ-ნოემბერში**

2000 წლის იანვარ-ნოემბერში **საცალო ვაჭრობის** საწარმოების, რესტორნების და ამ სფეროებში მოღვაწე ინდივიდუალური მეწარმეების მიერ (დეკლარირებული მაჩვენებლების მიხედვით) რეალიზებული იქნა სამომხმარებლო საქონელი, ავტომობილებს ჩაუტარდათ ტექნიკური მომსახურება, ხოლო საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და პირადი სარგებლობის ნივთებს რემონტი 1581,6 მლნ ლარის ოდენობით (ფაქტობრივ ფასებში), რაც შესადარ ფასებში 11,5 პროცენტით მეტია წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

2000 წლის ნოემბერში საქართველოს ქალაქების გასაშუალოებული ფასების მიხედვით, **შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმმა** 115,9 ლარი შეადგინა, საშუალო მომხმარებლის – 101,7 ლარი, ხოლო საშუალო ოჯახის – 201,7 ლარი.

საარსებო მინიმუმის მაჩვენებელი წინა თვესთან შედარებით 1,3 პროცენტით გაიზარდა, 1999 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით კი – 2,2 პროცენტით. ნორმატიულმა მინიმალურმა ხელფასმა, ანუ ისეთმა ხელფასმა, რომელიც ბოლო პერიოდში არსებული სტრუქტურით ყველა სხვა შემოსავალთან ერთად უზრუნველყოფდა საარსებო მინიმუმის დონეზე ოთხსულიანი ოჯახის ბიუჯეტის არადეფიციტურობას, ასეთი ოჯახის ერთი დასაქმებულისათვის ნოემბერში შეადგინა 46,1 ლარი. მინიმალური ხელფასი (20 ლარი) ნორმატიული მინიმალური ხელფასის 43,4 პროცენტს შეადგენს.

2000 წლის იანვარ-ნოემბერში საქართველოს **საგარეო სავაჭრო ბრუნვამ** (არაორგანიზებული ვაჭრობის გარეშე) 935,7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებლის 125, 8 პროცენტია; აქედან ექსპორტი 290,6 მლნ დოლარია (შესაბამისად 140,8 პროცენტი), ხოლო იმპორტი – 645,0 მლნ დოლარი (120,0 პროცენტი). 2000 წლის იანვარ-ნოემბერში საქართველოს უარყოფმა სავაჭრო ბალანსმა 354,4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ექსპორტის იმპორტით გადაფარვის კოეფიციენტი შეადგენს 45,1 პროცენტს, მოსალოდნელია ეს მაჩვენებელი წლის შედეგებით გაიზარდოს 47,0 პროცენტამდე.

იანვარ-ნოემბერში საქართველოს უარყოფითი საგარეო სავაჭრო ბალანსი ჰქონდა 84 პარტნიორ ქვეყანასთან, რომლებთანაც სავაჭრო დეფიციტმა 369,4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. დადებითი სავაჭრო ბალანსი (15,0 მლნ აშშ დოლარი) საქართველოს 32 ქვეყანასთან აქვს. სავაჭრო დეფიციტის 22,4 პროცენტი მოდის დსთ-ს ქვეყნებზე. ამ ქვეყნებთან საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 2000 წლის იანვარ-ნოემბერში 328,1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (1999 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 8,8 პროცენტით მეტი), ხოლო დანარჩენ ქვეყნებთან – 607,6 მლნ აშშ დოლარი (შესაბამისად 37,4 პროცენტით მეტი). დსთ ქვეყნების წილად მოდის საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის 35,1 პროცენტი, მათ შორის, ექსპორტის – 42,8 პროცენტი და იმპორტის – 31,6 პროცენტი.

2000 წლის იანვარ-ნოემბერში საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია თურქეთი, რომლის წილად მთელი სავაჭრო ბრუნვის 16,7 პროცენტი მოდის (1999 წლის შესაბამის პერიოდში 13,4 პროცენტი); შემდეგ მოდის რუსეთი – 15,7 პროცენტი (შესაბამისად 19,9 პროცენტი), გერმანია – 8,7 პროცენტი (8,3 პროცენტი), აშშ – 7,6 პროცენტი (9,2 პროცენტი), აზერბაიჯანი – 7,1 პროცენტი (7,4 პროცენტი).

საექსპორტო სასაქონლო ჯგუფებში წამყვანი ადგილი უკავიათ შავი ლითონების ჯართს – მისი წილი ექსპორტში 12,3 პროცენტს შეადგენს და ნატურალური ყურძნის ღვინოს (8,6 პროცენტი).

იმპორტში ნავთობისა და ნავთობპროდუქტების წილად 9,2 პროცენტი მოდის, ხოლო ბუნებრივი გაზის წილი 6,9 პროცენტს შეადგენს.

**საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი.**

განცხადება

## ცნობა უსაფუძვლოა

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტრომ „უსაფუძვლო“ უწოდა რუსეთის მთელი რიგი მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მიერ გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ რუსეთ-საქართველოს საზღვრის ინგუშეთის მონაკვეთიდან საქართველოში უკანონოდ შემოღწეული შეიარაღებული პირების დასაკავებლად განხორციელებული ოპერაციის დროს მიმდინარე წლის ოქტომბერში, თითქოს დააპატიმრეს თურქეთის 18 მოქალაქე. ეს უთხრეს საქინფორმის კორესპონდენტს 28 დეკემბერს საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს პრესცენტრში.

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მონაცემებით, ასას ხეობაში დაკავებულ საზღვრის დამრღვევთა ჯგუფში - არც ერთი არ ყოფილა თურქეთის მოქალაქე. ამ ოპერაციის დროს ხელისუფლებას ჩაბარდა 25 ჩეჩნეთიდან ლტოლვილი, რომლებმაც გვერდი აუარეს რუსეთის მესაზღვრეთა საგუშაგოებს და უკანონოდ შემოაღწიეს საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთ-საქართველოს საზღვრის ინგუშეთის მონაკვეთიდან.

სახელმწიფო საზღვრის დარღვევის ფაქტის გამო აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, გამოძიება გრძელდება. საქართველოს სამართალდაცვის ორგანოების მონაცემებით, დაკავებულ ლტოლვილთაგან არც ერთი არ იყო იმ პირთა სიაში, რომლებსაც ეძებენ რუსეთის სპეცსამსახურები, ამიტომ ისინი არ გადასცეს რუსეთს.

**საქინფორმი.**

### დღისით, მზისით – „აფერისტი“ ვიზით

რუსეთის ვიზების აღებასთან დაკავშირებით არსებული სირთულეებით კერძო პირები სარგებლობენ, რომლებმაც ამ მიმართულებით საკუთარი ბიზნესი წამოიწყეს, – უთხრა პრაიმ-ნიუსს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ.

ამასთან, მისი თქმით, კომიტეტს არ გააჩნია ოფიციალური ინფორმაცია, რომ ამ საქმეში რუსეთის საელჩოს თანამშრომლებიც იყვნენ გარეულნი.

ბურჯანაძის თქმით, რუსეთში წამსვლელი პირები არ უნდა ენდონ „ნებისმიერ გამვლელს“, ვინც მათ 300-400 დოლარად ამ ქვეყნის ვიზებს სთავაზობს.

### ანტიმონოპოლიური სამსახური გამოავლენს

საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა ნორმატიული აქტის პროექტი შეიმუშავა, რომლის მიხედვით მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტები გამოვლინდება.

როგორც პრაიმ-ნიუსს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსმა გიორგი ისაკაძემ განუცხადა, აღნიშნული აქტის თანახმად, თუ ნებისმიერ ეკონომიკურ ბაზარზე, კომპანიის, ასევე, მის მიერ დაფუძნებულ საწარმოთა ხვედრითი წილი 35 პროცენტს უტოლდება, ან ამ მაჩვენებელს აღემატება, ასეთი სამეურნეო სუბიექტი მონოპოლისტ ეკონომიკურ აგენტად გამოცხადდება.

მისი თქმით, ამასთან, ეკონომიკური აგენტი შევა სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ შემუშავებულ რეესტრში და მისი დაკვირვების ობიექტი გახდება.

### ილია მეორის ლოცვა-კურთხევით

28 დეკემბერს საქართველოს საპატრიარქოში გაიმართა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ერთობლივი სამეცნიერო კონფერენცია თემაზე „ქრისტიანობა და მედიცინა“.

კონფერენცია დალოცა და მის მონაწილეებსა და სრულიად საქართველოს მომავალი შობა-ახალი წელი მიულოცა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ.

### ქართული ღვინო ურჩევნიათ

რუსეთის მოსახლეობა ცნობილ ქართულ ღვინოებს მეტ უპირატესობას ანიჭებს სხვა ქვეყნების ანალოგიურ პროდუქციასთან შედარებით და არანაირი სავიზო რეჟიმი ამ განწყობას ვერ შეანელებს, – განუცხადა ჟურნალისტებს რუსეთის ფედერაციის ელჩმა საქართველოში ვლადიმერ გუდევმა.

ამასთან, მან მოუწოდა რეგიონული თანამშრომლობის განვითარებისაკენ, რომელიც ორმხრივი ექსპორტის ზრდას ისახავს მიზნად.

ელჩის თქმით, რუსეთის ბაზარი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისათვის – „ადრეული კარტოფილით დაწყებული მანდარინით დამთავრებული“, ხელსაყრელ გასაღების ბაზარს წარმოადგენს.

**ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა და პრაიმ-ნიუსმა.**

ტელეფონი

## საუკუნის კავშირი



**ზუსტად ერთი საუკუნის წინათ, 1901 წლის 1 იანვრისთვის, თბილისის სატელეფონო ქსელში ჩართული იყო 682 აბონენტი (772 ტელეფონის აპარატი), ქსელს ემსახურებოდა 21 ტელეფონისტი, 2 ტექნიკოსი, 10 ზედამხედველი და ერთი დარაჯი. საჰაერო ხაზების სიგრძე 214 კილომეტრს შეადგენდა. მიწისქვეშა კაბელები არ იყო გაყვანილი, ხოლო საჰაერო კაბელის სიგრძე ერთ კილომეტრს შეადგენდა.**

საინტერესოა, რომ იმ დროისთვის თბილისის სატელეფონო ქსელს აბონენტების რაოდენობით მე-5 ადგილი ეკავა პეტერბურგის, მოსკოვის, კიევისა და ხარკოვის შემდეგ.

1901 წელს ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით გამომავალი ყოველდღიური გაზეთი „ივერია“ ასეთ ინფორმაციებს აქვეყნებდა:

„ივერია“ №5. „დედამიწაზედ ახალი არაფერია. ტელეფონი ხომ ახალი გამოგონილია, მაგრამ თურმე ნუ იტყვი, ეს ახლად გამოგონილი მანქანაც კი არსებობდა 2000-3000 წლის წინათ. ამის შესახებ ერთ ინგლისურ სამეცნიერო ჟურნალში საყურადღებო წერილია დაბეჭდილი. ინგლისელ აფიცერს ინდოეთში აღმოუჩენია ტელეფონის მავთული, რომლითაც ორი ძველისძველი ტაძარი ყოფილა შეერთებული. ამას გარდა ეგვიპტეშიც უპოვნიათ ისეთი უეჭველი ნიშნები, საიდანაც აშკარად სჩანს, რომ იქ ერთმანეთს შორის მავთულის შემწეობით ლაპარაკობდნენ“.



„ივერია“ №42. „მკურნალების აზრით, იქ, სადაც ტელეფონს ბევრნი ხმარობენ, ადვილად შესაძლებელია რაიმე სენის გავრცელება ტელეფონის შემწეობით. საკმაოა ტელეფონის მილს ავადმყოფმა ყური მიადოს, რომ ზედ შხამი დარჩეს, რომელიც ადვილად გადაედება სხვას. ბევრგან საჯარო ტელეფონებია, ყველას შეუძლიან შესვლა და ლაპარაკება, ამიტომ იქ უფრო ადვილია სენის გადადება. ამ გარემოებამ ბევრი მკურნალი და გულშემატკივარი დააფიქრა“.





გადიოდა წლები, თბილისის სატელეფონო ქსელი სულ უფრო და უფრო მეტ აბონენტებს ემსახურებოდა, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ამბავი 1934 წელს მოხდა – თბილისში ამუშავდა პირველი ავტომატური ტელეფონის სადგური.

ახალი ავტომატური ტელეფონის სადგურის ამოქმედებამდე გაზეთმა „კომუნისტმა“ 1934 წლის 23 ივლისის ნომერში გამოაქვეყნა ინფორმაცია „ისწავლეთ ავტომატური სატელეფონო აპარატებით სარგებლობა“. გაზეთი წერდა: „მოახლოვდა ტფილისის ავტომატური სატელეფონო სადგურის (ტ. ა. ს. ს.) ამუშავების ვადა. უკვე დაწყებულია ახსნა-განმარტებითი მუშაობა, რომ მშრომელთა ფართო მასებს შეასწავლონ და გააცნონ ავტომატური სატელეფონო აპარატებით სარგებლობის წესი. დამზადებულია და ამ დღეებში ქუჩებში გამოკრული იქნება სპეციალურად დახატული პლაკატები. კინო-თეატრებში დაწყებულია ავტომატური ტელეფონით სარგებლობის წესების მასებისათვის გადაღებული კინოფილმების დემონსტრაცია და სხვ. გარდა ამისა, ტფილისის მუშაკთა კლუბებში დადგმულია 10 ავტომატური სატელეფონო აპარატი



სავარჯიშო და ეს აპარატები უკვე შეერთებულია ავტომატურ სატელეფონო ცენტრალურ სადგურთან და მოქალაქეებს შეუძლიათ ივარჯიშონ აქ აპარატის სარგებლობის წესების გასაცნობად“.

ადვილად წარმოსადგენია, რამდენი თბილისელი ინტერესით დაათვალიერებდა ახალ ტელეფონებს და პირველად აკრეფდა ნომრებს.

როგორც პრესა იტყობინებოდა, თბილისის პირველი ავტომატური სატელეფონო სადგური მომსახურებას უწევდა პირველ ხანებში 8000-მდე აბონენტს, ხოლო შემდეგ აბონენტების რიცხვი გაიზრდებოდა 10000-მდე.

1934 წლის 17 აგვისტოს ავტომატური ტელეფონის სადგურში ჩაირთო 3400 ტელეფონი. საღამოს მთლიანად შეწყვიტა მოქმედება თბილისის ხელით მომსახურე ტელეფონის სადგურმა და ტელეფონების ერთმანეთთან შეერთება ავტომატურად დაიწყო.



ასე დაიწყო ახალი „ერა“ დედაქალაქის სატელეფონო ქსელის ისტორიაში.

თბილისის პირველი ავტომატური ტელეფონის სადგური, ეგრეთ წოდებული მანქანური სისტემის ატს-ი იყო. შემდეგ ასეთი სისტემა შეიცვალა დეკადურ-ბიჯური სადგურებით. ქალაქში ამუშავდა კოორდინატული და ელექტრონული ტელეფონების სადგურები.

დღეს საქართველოს დედაქალაქში ტელეფონების რაოდენობა ასი ათასობით განისაზღვრება. საუკუნემ მთლიანად უცვალა სახე თბილისში მოქმედ ტელეფონებს და მათ დამაკავშირებელ ტექნიკურ საშუალებებს.

2001 წლის 1 იანვრის დადგომას მრავალი თბილისელი მიულოცავს ერთმანეთს – ზოგი ავტომატურ სადგურებთან დაკავშირებული და, ზოგიც უკვე მობილური ტელეფონებით.

**ანდრო კარბელაშვილი.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

№ 338. პარასკევი, 29 დეკემბერი, 2000 წელი.

## ახალი ათასწლეულის მიჯნასთან

რონ მეტრეველი

# მშვიდობით, XX, გამარჯობა, XXI!

XX საუკუნე... ახალი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულის ბოლო, მეათე ასწლეული... ფორიაქით შემოაღო კარი და ათასგვარი სირთულეებითა და კატაკლიზმებით აავსო ცხოვრება. საქართველო დასუსტებული, მინავლული შეხვდა ახალ საუკუნეს – სახელმწიფოებრიობა უკვე საუკუნის დაკარგული იყო, ეკლესიას, ქართულ სამოციქულო მართლმადიდებელ ეკლესიას, ავტოკეფალია წართმეული ჰქონდა. იდევნებოდა ქართული ენა, უჭირდა მამულსა და სარწმუნოებას. ხალხი იმედით შეხვდა ახალი საუკუნის დადგომას, იმედი არ ტოვებდა ქართველი კაცის გონებასა და სულს. XIX საუკუნის ეროვნული მოძრაობა – ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, ბრძოლა საქართველოს სიკეთისათვის, მემკვიდრეობად მიიღო XX საუკუნემ. და ეს ბრძოლა პერმანენტულად მიმდინარეობდა, მიმდინარეობდა მთელი საუკუნის მანძილზე. იგი სხვადასხვა ფორმით იყო გამოხატული XX საუკუნის პირველ ოცწლეულში, შემდეგ სამოცდაათწლეულსა, თუ ბოლო ათწლეულში. პირველი ოცწლეულის ბრძოლამ დიდი შედეგი მოიტანა – საქართველომ სახელმწიფოებრიობა დაიბრუნა. დაიბრუნა და ვერ შეინარჩუნა – სამ წელიწადში დაკარგა. საბჭოთა პერიოდში არ ყოფილა ცხოვრებისა თუ საზოგადოების განვითარების ეტაპი ეროვნული მოძრაობის გარეშე. ეს იყო 1924 წლის გამოსვლები, თუ შემდეგ პერიოდში ანტისაბჭოთა მოძრაობად მონათლული არაერთი მოვლენა, რეპრესიით რომ მთავრდებოდა. ღრმა ეროვნულობის დაღი ესვა დიდ ქართულ ლიტერატურას, რომელიც სწორედ საბჭოთა 70 წლის მანძილზე შეიქმნა, ამ პერიოდში დადგმულ სპექტაკლებს და გადაღებულ კინოფილმებს. და ბოლოს XX საუკუნის 90-იანი წლები... საქართველომ ამ საუკუნეში უკვე მეორედ დაიბრუნა სახელმწიფოებრიობა და დემოკრატიისა და დამოუკიდებლად ცხოვრების გზას დაადგა...

XX საუკუნე ნგრევით შემოვიდა... 1905 წლის რევოლუცია ამისი ნათელი მაგალითია (ნგრევის გარეშე არ ყოფილა რევოლუცია). საქართველოში ცხოვრება გართულდა. დიდი იყო მინადაძაბულობა, ურთიერთმეხლა-შემოხლა, დაუნდობლობა. გარეშე ძალა გააქტიურდა და საქართველოს დაცემა ქართველის ხელითვე მოინდომა. და აი, ტრაგედია, რომელიც თავისი მასშტაბურობით საუკუნეს სცილდება და საუკუნის კი არა, ისტორიის ტრაგედია ხდება; ტრაგედია საქართველოსი – 1907 წელს მოკლეს დიდი ილია ჭავჭავაძე, სულიერი მამა საქართველოსი მოკლა ქართველმა. ამ ქართველი მკვლელის უკანაც ქართველი იდგა. ამ ტყვიამ საქართველოს გული დაკოდა. ალბათ, ამ მოვლენის ყოვლგვარი კომენტარი მკრთალი გამოჩნდება ფაქტის არსთან შედარებით. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ჰკიცხავს ქართველებს („ნათესავი ქართველთა ორგულ ბუნება არს...“), რომლებიც მიაღწევენ თუ არა გარკვეულ „წარმატებას“ („დიდება პოონ და განსუენება“), იწყებენ „განზრახვად ბოროტისათა“ და ამოგავებს: ორგული ბუნება ქართველთათვის დამახასიათებელიაო. ცხადია, ამ შეფასების განზოგადებაში დათანხმება არ შეიძლება, მაგრამ ისიც ნათელია, რომ საქართველოს ისტორიაში არის მოვლენები თუ ფაქტები, რომლებიც სამარცხვინო ლაქებად შემოგვრჩა. ჩვენ გვანუგეშებს და ოპტიმიზმს ის გვმატებს, რომ საქართველოს ისტორიამ, მემატიანეებმა ქართველთა გმირობისა და თავდადების, მოყვასის სიყვარულისა და ქვეყნის უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის მრავალი მაგალითი შემოგვინახეს. სწორედ ამ ფენომენმა გადაარჩინა ეს პატარა საქართველო და დღემდე მოიტანა. ფარნავაზი და ქუჯი, ვახტანგ გორგასალი, იოანე მარუშის ძე და დავით კურაპალატი, დავით აღმაშენებელი და მეფე თამარი, გიორგი ბრწყინვალე, ცოტნე დადიანი და თევდორე კველთელი, ქეთევან დედოფალი, ერეკლე II, საქართველოს უკანასკნელი დედოფალი – მარიამი და მრავალი სხვა საქართველოს ბედზე მოფიქრალნი და მისი კეთილდღეობისათვის მებრძოლნი იყვნენ.

ის დიდი ლიტერატურა, ხუროთმოძღვრების, ოქრომჭედლობისა თუ მუსიკალური მრავალხმოვნების შედევრები, რომლებიც ისტორიის მთელ სიგრძეზე იქმნებოდა, ქართული ფენომენის უკვდავებას ადასტურებს. ჟამთააღმწერელმა, ნადიდგორალი და ნამაძორალი თუ ბასიანგამოვლილი ქართველების გმირული მაგალითებით აღტაცებულმა, ქართველი კაცის, ქართველი მოლაშქრის, ქართველი პატრიოტის განზოგადებული შეფასება მოგვცა: „არა არს წესი ჩვენ ქართველთა, რამეთუ ვიხილოთ მტერი ჩვენს კერძო მომავალი, შეუბმელად ზურგი შევაქციოთ, დალა თუ იყო სიკვდილიო“, სწორედ ქვეყნის მტრებთან ზურგშეუქცეველმა ქართველებმა მოიტანეს დღემდე საქართველო.

და მაინც... ქართველმა მოკლა ერთი უდიდესი ქართველთაგანი. ცხარე ცრემლით დაიტირა ილია სრულიად საქართველომ. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ილია ჭავჭავაძის მკვლელი, მისი „დამსახურებისათვის“ პენსიას იღებდა. ეს კი, ეს დაუჯერებელი ამბავი, ალბათ, მხოლოდ XX საუკუნეში შეიძლებოდა მომხდარიყო.

XX საუკუნის საათი წინ მიდიოდა. აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, იაკობ გოგებაშვილი ქვეყნის ბედს დასტიროდნენ. ჰქმნიდნენ ახალ ნაწარმოებებს. ნაყოფიერად მუშაობდა ილიას თაოსნობით დაარსებული ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. საუკუნის დასაწყისში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა დიდი ივანე ჯავახიშვილი, რომელმაც სრულიად ახალი იდეები შემოიტანა ქართულ ისტორიოგრაფიაში და მხნედ შეუდგა ქვეყნისათვის სასარგებლო საზოგადოებრივ საქმიანობას. ილიას მკვლელობიდან სულ რამდენიმე ხანში, 1907 წლის სექტემბერში ექვთიმე თაყაიშვილმა დააარსა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა საქართველოში მეცნიერების განვითარების საქმეში; ამასთან გარკვეული საფუძველი შეუქმნა მომავალში საქართველოში უნივერსიტეტის დაარსებას.

XX საუკუნის პირველ ოცწლეულში მნიშვნელოვან საქმიანობას ეწეოდნენ ახალგაზრდა ქართული ბურჟუაზიის წარმომადგენლები: დავით სარაჯიშვილი, აკაკი ხოშტარია, კონსტანტინე ზუბალაშვილი და სხვ. 1900 წელს ნიკო ცხვედაძის თაოსნობით დაიწყო გიმნაზიის მშენებლობა არქიტექტორ სვიმონ კლდიაშვილის პროექტით. ეს შენობა პატრიოტმა ქართველებმა იმთავითვე საუნივერსიტეტოდ ჩაიფიქრეს და განახორციელეს კიდეც ეს ჩანაფიქრი.

XX საუკუნის პირველი ოცწლეულის საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენელი ნაწილი იყო და მსოფლიო მასშტაბის ყოველი მოვლენა გავლენას ახდენდა მასზე. სარაევოში გასროლილმა ტყვიამ და ფრანც ფერდინანდის მკვლელობამ საბაბი მისცა პირველი მსოფლიო ომის დაწყებას. ომის ტკივილები საქართველოსაც მოსწვდა.

ცხოვრება წინ მიდიოდა.

ამ პერიოდის უდიდესი მოვლენა იყო 1917 წლის ჯერ თებერვლის, შემდეგ კი ე. წ. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, როცა პრაქტიკულად შეიცვალა სახელმწიფო მმართველობა და ძალაუფლება ხელთ იგდეს ბოლშევიკებმა. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ სწორედ 1917 წელს საქართველოს ეკლესიამ დაიბრუნა ავტოკეფალია და ას წელზე მეტი ხნის შემდეგ ქართულ მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიას კვლავ ქართველი, უწმიდესი და უნეტარესი კირიონი ჩაუდგა სათავეში. 1918 წლის 26 იანვარს (ახალი სტილით 8 თებერვალს) ივანე ჯავახიშვილის თაოსნობით გაიხსნა თბილისის უნივერსიტეტი, რომელმაც სათავე დაუდო მეცნიერების სხვადასხვა დარგების ახალი ძალით განვითარებას, ახალი მეცნიერული სკოლების შექმნას და, რაც მთავარია, უმაღლესი განათლების მაღალ საფეხურს. თბილისის უნივერსიტეტის წიაღიდან წარმოიქმნენ ტექნიკური, აგრარული, პედაგოგიური, სამედიცინო უნივერსიტეტები. სწორედ თბილისის უნივერსიტეტის პროფესურის ბაზაზე შეიქმნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია (1941 წ.).

ახალი ეტაპი XX საუკუნის საქართველოს ცხოვრებაში 1921 წლიდან დაიწყო. ეს არის ე. წ. სოციალიზმის პერიოდი. ამ ხანაში საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში იყო და მისი წინსვლა თუ შეფერხებები საერთო საკავშირო ვითარებიდან გამომდინარეობდა. ტკივილიანი იყო ქვეყნისთვის ინდუსტრიალიზაციისა თუ კოლექტივიზაციის შემოსვლა, როცა გარკვეულ იდეებს მრავალრიცხოვან ადამიანთა სიცოცხლეც შეეწირა. საქართველოსათვის მძიმე იყო 30-იანი წლები, როცა, ფაქტობრივად, ქართველი ინტელიგენციის სალი ნაწილი იქნა რეპრესირებული. შემდეგ – მეორე მსოფლიო ომი... 700 ათასამდე ქართველი მიდის ბრძოლის ველზე. აქედან მხოლოდ ნახევარი თუ ბრუნდება უკან (თანაც მნიშვნელოვანი ნაწილი ხეიბრად). ომმა ორი ფიგურა, მსოფლიო მასშტაბით ორი პიროვნება, იოსებ სტალინი და ადოლფ ჰიტლერი წარმოაჩინა მთელი სიგრძე-სიგანით. ფაქტია ის, რომ საბჭოთა კავშირმა გენერალისიმუს სტალინის მეთაურობით დაამარცხა ფაშისტური გერმანია, მსოფლიო გადაარჩინა ფაშიზმის საშინელებებისაგან. ალბათ, მომავალი საუკუნის ისტორიკოსები ბევრჯერ დაუბრუნდებიან ამ ორი პიროვნების შეფასების საკითხს.

განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს საქართველოს ისტორიაში 1956 წლის 9 მარტისა და 1989 წლის 9 აპრილის მოვლენები, რომლებიც ტრაგიკულად – სისხლისღვრით დამთავრდა. ჯერ კიდევ მოითხოვს ისტორიკოსის შეფასებას 1991-1992 წლების სამარცხვინო მოვლენები.

ობიექტურობა მოითხოვს ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ 20-80-იან წლებში საქართველოში განვითარდა მრეწველობა: აშენდა ფაბრიკა-ქარხნები, ქართული პროდუქცია ექსპორტის საგანი გახდა, განვითარდა სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგები: მევენახეობა-მეღვინეობა, მეჩაიეობა, მეციტრუსეობა, მეცხოველეობა... აშენდა კულტურულ დაწესებულებები. წარმატებით ფუნქციონირებდა თეატრები, გადაღებულ იქნა მეტად საინტერესო კინოფილმები, ვითარდებოდა ხელოვნების სხვადასხვა დარგები, სპორტი, გამოიცა პირველი ეროვნული უნივერსალური ენციკლოპედია.

ერთი ფაქტიც. 1945 წელს საფრანგეთიდან თბილისში დაბრუნდა ექვთიმე თაყაიშვილი, რომელიც 1921 წლიდან ემიგრაციაში – საფრანგეთში იმყოფებოდა. დიდ მამულიშვილს საქართველოს მთავრობამ საზღვარგარეთ, კერძოდ, საფრანგეთში გატანილი ქართული სიმდიდრის – სამუზეუმო განძეულობის მეთვალყურეობა დაავალა. უდიდესი გაჭირვების პირობებში ექვთიმე თაყაიშვილმა მოახერხა განძის შენარჩუნება (ერთხანს მასზე საქართველოს უფლებები დაკარგული ჰქონდა შენახვის თანხის გადაუხდელობის გამო) და არა თუ უკლებლივ, არამედ გამდიდრებული დააბრუნა უკან.

XX საუკუნემ გადატრიალება მოახდინა მეცნიერებაში: აღმოჩენილ იქნა კვანტი და გენი, რადიოაქტიურობა და ფარდობითობის თეორია; და, ალბათ, ფანტასტიკა წინა ეპოქებისათვის – ადამიანი გაფრინდა კოსმოსში, ადამიანმა ფეხი დადგა მთვარეზე. აღმოჩენათა არეალი ამოუწურავია. ყველა სიახლე არ ყოფილა გამოყენებული კეთილშობილი და მშვიდობიანი საქმისათვის. ატომური ბომბით დაინგრა ხიროსიმა და ნაგასაკი: დაიღუპა ათეულათასობით ადამიანი; ეს ტკივილი დღემდე არ მოშუშებულა. შეიქმნა წყალბადის იარაღიც. ნიშანდობლივია, რომ პიროვნება, რომელმაც ატომური ბომბის ღილაკს თითი დააჭირა, იმ წამში სიამაყით ამბობდა: ახალი ერა დაიწყეთო მსოფლიო ისტორიაში (ასეთი ჩანაწერი იყო თვითმფრინავის ბორტზე გაკეთებული. ათეული წლების შემდეგ ეს ჩანაწერი აუქციონზე გაიყიდა). შემდეგ კი... როცა საუკუნის ბოროტების ჩადენა გააცნობიერა თავისი დანაშაული... შეიშალა. ნიშანდობლივია, რომ წყალბადის იარაღის ერთ-ერთი შემქმნელი ანდრეი სახაროვი სიცოცხლის ბოლო წლებში მეცნიერებას საერთოდ ჩამოშორდა და თავგამოდებით იცავდა ადამიანთა უფლებებს (!)

ქართული მეცნიერება განსაკუთრებული სიძლიერით გამოჩნდა XX საუკუნეში. მსოფლიო აღიარება მოიპოვა მათემატიკურმა (ნ. მუსხელიშვილი, ა. რაზმაძე, ი. ვეკუა, ვ. კუპრაძე და სხვ.), ფსიქოლოგიურმა (დ. უზნაძე და სხვ.), ფიზიოლოგიურმა (ი. ბერიტაშვილი და სხვ.), ქართველთმცოდნეობითმა (ივ. ჯავახიშვილი, ა. შანიძე, ა. ჩიქობავა, გ. ახვლედიანი და სხვ.) სკოლებმა. ამ საუკუნეში დაწინაურდა ფიზიკის მეცნიერება, ორიენტალისტიკა, სხვა დარგები. 1941 წლიდან ანუ დაფუძნებიდან მოკიდებული (პრეზიდენტები ნ. მუსხელიშვილი, ი. ვეკუა, ე. ხარაძე, ა. თავხელიძე), საქართველოს მეცნიერებათა აკადემია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და სხვა წამყვან უმაღლეს სასწავლებლებთან ერთად ახდენს მეცნიერების განვითარების კოორდინირებას.

XX საუკუნეში გადმოვიდნენ წინა საუკუნიდან დიდი ქართველი მწერლები ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, იაკობ გოგებაშვილი. ამ საუკუნეში მოღვაწეობენ გალაკტიონ ტაბიძე, ნიკო ლორთქიფანიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია... მთელი თაობა ნიჭიერი მწერლებისა. ქართულ სახვით ხელოვნებას ღირსეულად წარმოადგენენ იაკობ ნიკოლაძე, ლადო გუდიაშვილი, დავით კაკაბაძე, ელენე ახვლედიანი, ნიკოლოზ კანდელაკი და სხვ. ამ დროს ქმნიდნენ თავის შედევრებს კომპოზიტორები: ზაქარია ფალიაშვილი, დიმიტრი არაყიშვილი, ანდრია ბალანჩივაძე, რევაზ ლაღიძე, დავით თორაძე და სხვ. ქართულ თეატრალურ და კინოხელოვნებას ამშვენებდნენ კოტე მარჯანიშვილი და სანდრო ახმეტელი, ნატო ვაჩნაძე და ნიკოლოზ შენგელაია, ვერიკო ანჯაფარიძე და მიხეილ ჭიაურელი, აკაკი ხორავა და აკაკი ვასაძე, სერგო ზაქარიაძე და სესილია თაყაიშვილი და კიდევ სხვ. მრავალი. მაღალ მწვერვალზე აიყვანეს ქართული საბალეტო თუ ხალხური ცეკვის ხელოვნება ვახტანგ ჭაბუკიანმა, ნინო რამიშვილმა და ილიკო სუხიშვილმა.

ამ რთულ XX საუკუნეში გარკვეულ გარდაქმნებს განიცდიდა ქართული მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია. ავტოკეფალიააღდგენილ ეკლესიას ათეისტური პროპაგანდის წლებში რთული მდგომარეობა ჰქონდა და მაინც ღირსებით, მორჩილად ისხდნენ სრულიად საქართველოს პატრიარქის საპატიო ტახტზე უწმინდესნი და უნეტარესნი: კირიონი, ლეონიდე, ამბროსი, ქრისტეფორე, კალისტრატე, მელქისედეკი, ეფრემი, დავითი. სამოცდაათიანი წლების მიმწუხრზე სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის წმინდა ტახტზე აღსაყდრებული (1977 წ.) იქნა უწმიდესი და უნეტარესი ილია II. არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ აქედან დაიწყო ერის რეალური შემობრუნება ეკლესიისაკენ – სულიერებისაკენ. დღეს მისი უწმიდესობის ილია II დიდი მღვდელობითა და ლოცვა-კურთხევით მთელი საქართველო მოიფინა ეკლესია-მონასტრებით.

XX-საუკუნის ბოლო ათწლეულში საქართველომ პრაქტიკულად შეცვალა სახელმწიფო წყობა, სოციალიზმი (საბჭოთა კავშირის ნგრევის ფონზე) გარდამავალმა, კაპიტალიზმისკენ მიმავალმა საზოგადოებრივმა ურთიერთობამ შეცვალა. ურთულესი პრობლემის გადალახვის ფონზე უხდებათ მოღვაწეობა საქართველოს პრეზიდენტებს: ჯერ ზვიად გამსახურდიას, ხოლო 1992 წლიდან ედუარდ შევარდნაძეს. მთავარი მაინც ისაა, რომ ქვეყანამ მიაღწია თავისუფლებას და შეუდგა დემოკრატიული სახელმწიფოს შენებას.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ XX და XXI საუკუნეების მიჯნა, ანუ პერიოდი, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, საქართველოსათვის მეტად რთული და საბედისწეროა. ეს სირთულე გაგვყვება მანამ, სანამ ჩვენი დაუფიქრებელი და გაუაზრებელი მოქმედების გამო მუხლებზე დაჩოქილი ეკონომიკა არ წამოიმართება. ეს, ალბათ, მოხდება და მოხდება სწორედ XXI საუკუნეში. ფეხზე წამოდგომისთვის კი აუცილებელია გავაცნობიეროთ საკუთარი ეროვნული ინტერესები, ინტერესები, რომელიც ყველა სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს. საქართველო არ არის მიმინებული ქვეყანა, რომ ღმერთს შევთხოვოთ „როსდა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება“?! საქართველოს სიფხიზლის მიზეზში მისი ტკივილებია. ქვეყანაში მიმდინარე პროცესებმა შეძრა ადამიანთა თვითშეგნება. ბუნებრივია კითხვაც: მივდივართ კი ერის კონსოლიდაციისკენ? ალბათ, უნდა იყოს ერთიანი, გამაერთიანებელი სწრაფვა მიზნისკენ, რომელიც ყველასათვის ნათელი იქნება. არ შეიძლება ქვეყანამ იცხოვროს იმ ტაქტიკის კანონებით, რომლებიც უგულებელყოფენ ერის სტრატეგიულ ინტერესებს.

საქართველოსათვის საბედისწეროა, რომ XX საუკუნის ბოლო ათწლეულში დაირღვა ტერიტორიული მთლიანობა – დაიკარგა აფხაზეთი და სამაჩაბლო.

ჩვენ ხშირად გვესმის, რომ ჩვენში ისე არ მიდის საქმე, როგორც მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში. ბევრჯერ მოგვყავს ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითები და ა. შ. დღეს მთავარი ის კი არ არის, საქართველო რამდენად შეეფარდება სხვა ქვეყნებს, არამედ ის, რომ ჩვენ წლების მანძილზე დავკარგეთ კავშირი ჩვენს წარსულთან. და ესეც XX საუკუნეში მოხდა (!). „რკინის ფარდამ“, რომელიც თითქმის 70 წლის მანძილზე იყო ჩამოშვებული, საქართველო არა მარტო დანარჩენ მსოფლიოსგან გამოჰყო, არამედ საკუთარი ისტორიის ფესვებსაც მოსწყვიტა.

ხშირად ვცდილობთ, რომ საზღვარგარეთული სტანდარტები გადმოვიტანოთ ჩვენთან. ცხადია, რაიმეს გადმოღება (თუ ეს რაციონალურია) შეიძლება, მაგრამ იდეური სახით არსებული სხვისი ფასეულობის სისტემათა გადმოტანა დაუშვებელია. ვფიქრობ, როცა სხვის ეკონომიკურ სისტემასაც ვიზომავთ ან ვეზომებით, აქაც სიფრთხილეა საჭირო.

თვალნათელია, რომ ჩვენ მრავალგანტოლებიანი კრიზისის მდგომარეობაში ვიმყოფებით. კრიზისში ჩათრეულია: კულტურა, განათლება, ჯანმრთელობის დაცვა, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი, სახელმწიფო აპარატი. ყველაზე თვალსაჩინო კრიზისი – ეკონომიკურია, ყველაზე ღრმა კი – იდეური. ეს უკანასკნელი თავის მხრივ განაპირობებს პირველს, სახელმწიფოს სჭირდება მკვეთრად ჩამოყალიბებული იდეა – რისთვის, რა მიზნისთვის და ვისთვის უნდა განვითარებული ეკონომიკა. შემდეგ კი განისაზღვროს განვითარების კონკრეტული გზები.

დამოუკიდებლობისა და დემოკრატიის გზაზე დამდგარი საქართველოსათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია განათლების საკითხი.

ახალ ვითარებაში განათლება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. იგი ქვეყნის საერთო პოლიტიკის ფრიად არსებითი ნაწილია, ის ფაქტორია, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე ახდენს გავლენას.



ადამიანებმა თვითონ უნდა მოახერხონ გარდაქმნა. რადიკალურად შესაცვლელია ჩვენში ჩაბუდებული სტერეოტიპები. საჭიროა საზოგადოებრივი თანხმობის მიღწევა; თითოეულ ადამიანში არსებული სიძულვილისა და ნგრევის ინსტინქტი უნდა გარდაიქმნას შენებისა და სიყვარულის უნარად.

განათლების მძლავრი სისტემის შექმნისათვის აუცილებელია სახელმწიფოსა და საზოგადოების დიდი ძალისხმევა. საჭიროა, გვქონდეს გარკვეული მიზანი და მისი მიღწევის შესაბამისი მექანიზმები; რა თქმა უნდა, სათანადო რესურსებიც უნდა იყოს გამოყოფილი. ქვეყნის პოლიტიკოსების ლექსიკონში სიტყვა „განათლებამ“ მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაიკავოს. ჯერჯერობით, განათლების პრიორიტეტულობა მხოლოდ დეკლარაციად რჩება. ამის დასამტკიცებლად თუნდაც 2000 და 2001 წლის ბიუჯეტის ზერელე გადახედვაც საკმარისია.

დღესდღეობით, განათლების (ისე როგორც ზოგადად კულტურის) წინსვლა-განვითარებას რამდენადმე აფერხებს ძველი საზოგადოებრივი ფუნდამენტი. უკანასკნელ ხანს მკვეთრად გაუარესდა ცხოვრების პირობები, რამაც ადამიანები ლუკმა-პურისათვის დამამცირებელ და მომქანცველ ბრძოლაში ჩააბა. მშობლებს შვილებისათვის ცოტა დრო რჩებათ, სახელმწიფო და საზოგადოება ვერ უთმობს სათანადო დროსა და ყურადღებას მოზარდებს. ახალგაზრდობისადმი უყურადღებობა, რა თქმა უნდა, არ არის ჩვენი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი მოვლენა, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ დღეს ამ საჭირბოროტო საკითხისათვის ნაკლებად ვიცლით. ასე გაგრძელება არ შეიძლება – ეს უხნეობასთან ერთად დამღუპველიც იქნება. შედეგმაც უკვე იჩინა თავი: მაღალია ბავშვთა სიკვდილიანობა, იზრდება მოზარდთა დაავადებები, დანაშაულობანი, იკარგება სწავლის სტიმულები და შესაბამისად ინტერესიც. ყოველივე ამას თავის დროზე სათანადო უკუგებაც ექნება. საზოგადოება, რომელიც განსაკუთრებით არ ზრუნავს მომავალი თაობებისთვის, პერსპექტივაზე ვერ იოცნებებს.

საბჭოთა იმპერიის რღვევის პროცესი მეტად რთული და მტკივნეული აღმოჩნდა. შეიქმნა ვაკუუმი, რომლის შევსებაც ჩვენი საზოგადოება ვერ აღმოჩნდა მზად. რატომ? იმიტომ, რომ იგი ღრმადაა დაავადებული. ჩვენში იმატა ადამიანთა უბედურება-მწუხარებამ, ხალხი მომავალს შიშითა და ძრწოლით უყურებს; იზრდება ადამიანთა შორის სიძულვილი და ძალადობა, ეჭვი და შეუწყნარებლობა. ღვარძლმა და ბოღმამ მოიცვა საზოგადოება (ამას ზოგჯერ ტელევიზია და პრესაც ხელს უწყობს), აშკარად ჩანს ცხოვრებისათვის აუცილებელი მინიმალური სისტემების ნგრევის ნიშნები, მაგრამ ამას ყურადღებას არ ვიღებთ, სულ უფრო ნაკლებად ვიწუხებთ თავს, ვუკელით სასარგებლო შრომას.

ჩვენ ანგარიშს არ ვუწევთ იმ მკაცრ სიმპტომებს, რომ ადამიანებს ეკარგებათ არა მარტო იმედი და სალი ორიენტირები, არამედ თავდაცვის ინსტინქტიც. ალბათ, არ ვიქნები ორიგინალური, თუ გავიმეორებ, რომ თითქოსდა მიღებული და ტრადიციული კანონების რღვევასთან გვაქვს საქმე; რაც უფრო აშკარა ხდება ნგრევის საშიშროება, მით უფრო ნელდება შექმნის ცდები (?!); რაც უფრო მკაცრი (ზოგჯერ საშინელი) ხდება ცხოვრება, მით უფრო ბევრია უაზრო მოვლენები (რეალური ცხოვრებისეული სურათები მაქვს მხედველობაში). რაც უფრო ნაკლებია იმედი, მით უფრო ძლიერია რწმენა სასწაულისა. რაც უფრო მეტია დეკლარაციები ჰუმანიზმის შესახებ, მით უფრო მეტია პიროვნებისა და მისი შემოქმედებითი შესაძლებლობებისადმი გულგრილი დამოკიდებულება, მეტია ძალადობა.

რა გვემართება?

ტრაგედია (თუ გაზვიადებულად არ მოგეჩვენებათ ეს სიტყვა), ალბათ, ისაა, რომ მოისპო ადამიანთა შინაგანი რწმენა, დაიკარგა საერთო მიზანი, შესაბამისად დაინგრა თანასაზოგადოებები, წაიშალა ადამიანთა კავშირები. ცხოვრების მიზანთა სისტემამ და რწმენამ რღვევა იწყო. საზოგადოება შეიპყრო სულიერმა დამბლამ, რასაც მოჰყვა დამოუკიდებელი აზროვნებისა და ახლის შექმნის უნარის ატროფია.

ძველი სტერეოტიპები ჩვენს თვალწინ ინგრევა. ძველი იდეალებიც წარსულს ჩაბარდა. სახელმწიფოს მშენებლობის პროგრამამ ვერ გაუძლო დროს. ხელისუფლების საქმიანობასაც ხარვეზები აქვს. მომავალში სწორი სვლის საფუძველი წარსულშია. წარსულის უგულებელყოფამ ბევრი ქვეყანა მიიყვანა დაღუპვამდე, ჩვენც ვერ ავცდით ამას. ვისი ბრალია? – ხელისუფლების? ხალხის? ორივესი. ის, რასაც დღეს ჩვენი საზოგადოება იმკის, ხალხისა და ხელისუფლების ერთობლივი მოქმედების ნაყოფია და ჩვენი საერთო ტკივილი და საზრუნავი.

პროცესები, რომლებიც ამჟამად ჩვენში მიმდინარეობს, მეტად რთულია და მათ ობიექტურ შეფასებას დრო სჭირდება. ერთი ცხადია, – საზოგადოების მიზანმა კრიზისი განიცადა. მარადიული კითხვა დადგა ჩვენი საზოგადოების წინაშე, – ვინა ვართ ჩვენ, საიდან მოვდივართ და საით მივდივართ? თუ პირველ ორ კითხვაზე მეტ-ნაკლებად კიდევ შეიძლება პასუხის გაცემა, სრულიად გაურკვეველია – საით მივდივართ? ეს დღეს პოპულარული კითხვაა.

საით მივდივართ? იქნებ ასევე პოპულარული ფრაზით ვუპასუხოთ: დემოკრატიისა და ბაზრისაკენ. არა, ეს პასუხი ვერც თანამედროვე საზოგადოებას და ვერც ისტორიას ვერ დააკმაყოფილებს. რატომ? იმიტომ, რომ დემოკრატია და ბაზარი არის საშუალება. მიზანი? მიზანი რაღაა?

ვიდრე ამ საკითხზე ჩემს (და არა მარტო ჩემს) აზრს გამოვთქვამდე, ორიოდე სიტყვა არსებული ვითარების სპეციფიკისა და საზოგადოების წინსვლის შესახებ. ადრე არსებული იდეოლოგიური დოგმები ჩამოვიცილეთ, დავთმეთ. საზოგადოებას დღეს ყველაზე მეტად თანხმობა და შემოქმედებითი საქმიანობა სჭირდება. სახელმწიფომ უნდა იზრუნოს იმისათვის, რომ ქვეყანაში შეიქმნას პირობები ადამიანის მიერ ცხოვრების გზის ღირსეულად გავლისათვის.

საქართველოში საზოგადოების კონსოლიდაცია ისტორიულად ბრძოლის პროცესთან იყო დაკავშირებული, ბრძოლა კი... ბრძოლა კი არა, ბრძოლები მრავლად იყო ჩვენში... შინაურ თუ გარეშე მტრებთან. ბოლო სამოცდაათწლეულიც ამის ნათელი დასტურია. და რაოდენ სამწუხაროა, რომ დღესაც ჩვენი ცხოვრების ძირითადი პრობლემა ომისა და მშვიდობის საკითხია. წარსულის გაკვეთილებს (მათი გაუთვალისწინებლობა არ შეიძლება!) იმის აუცილებელ შეგნებამდე მივყავართ, რომ ისტორიის სისხლიანი ციკლებიდან – ე. ი. ეროვნულ კატასტროფამდე მისული თანამედროვე მდგომარეობიდან გამოსვლა მხოლოდ მშვიდობიანი, ევოლუციური გზით შეიძლება. ამასთან, უნდა შევეგუოთ, რომ ეს გზა არ იქნება მოკლე, იგი არანაკლებ რთული იქნება, ვიდრე თვით ომი იყო.

დრომ საჭიდაო ასპარეზზე გამოგვიწვია ჩვენ, – ის თაობები, ვისაც ამ ათასწლეულის დასასრულს და მომავლის დასაწყისში მოგვიხდება ცხოვრება. გამოგვიწვია და მწვავე არჩევანის წინაშე დაგვაყენა. აქ მხოლოდ ცივი გონებით შეიძლება გადაწყვეტილების მიღება. გონიერული გადაწყვეტილება ერთია: საქართველოს ყოველი მოქალაქის მიზანი უნდა იყოს საყოველთაო სამამულო მშვიდობა...

ის დროა, ქედმოხრილებმა და მუხლმოყრილებმა შევთხოვოთ უფალს;

– „ყოვლად წმიდა სამებაო, შეგვიწყალენ ჩვენ; უფალო, გვიხსენ და გვიოხინე ცოდვათა ჩვენთაგან; მეუფეო, შეგვინდევ უსჯულოებანნი ჩვენნი, წმიდაო, მოიხილე და განკურნენ უძლურებანნი ჩვენნი სახელისა შენისათვის.

უფალო, შეგვიწყალენ, უფალო, შეგვიწყალენ, უფალო, შეგვიწყალენ“.

ამოცანა ისაა, რომ არსებული კონფლიქტების არაძალისმიერი გადაწყვეტის გზა ვიპოვოთ. კონფლიქტები? ისინი მრავლადა გვაქვს: ადამიანსა და ხალხს შორის, ადამიანსა და სახელმწიფოს შორის, ადამიანსა და ბუნებას შორის. უნდა გადაწყდეს ეროვნებათაშორისი ურთიერთობის პრობლემები, შეიქმნას სახელმწიფოს მყარი ეკონომიკური და სამართლებრივი საფუძვლები. ყოველივე ეს პროფესიული ხასიათის ამოცანაა. სამწუხაროდ, ჩვენ აქაც გვიჭირს – ცხოვრება და საქმიანობა გვიხდება ტოტალური არაპროფესიონალიზმის პირობებში.

საით არის ხსნა?

ადამიანებმა თვითონ უნდა მოახერხონ გარდაქმნა. რადიკალურად შესაცვლელია ჩვენში ჩაბუდებული სტერეოტიპები. საჭიროა საზოგადოებრივი თანხმობის მიღწევა; თითოეულ ადამიანში არსებული სიძულვილისა და ნგრევის ინსტინქტი უნდა გარდაიქმნას შენებისა და სიყვარულის უნარად, უნდა შეიქმნას თავისუფალი, შემოქმედებითი, საკუთარი მოქმედებისთვის პასუხისმგებელი ადამიანის ფსიქოლოგია, რომელიც მოწოდებული იქნება გათავისუფლდეს კლასობრივი და პარტიული პრიმატისაგან და პრიორიტეტი ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებს მიანიჭოს.

ადამიანთა სწრაფვა ჰარმონიისა და თანხმობისაკენ არის დღევანდელობის სტრატეგიული ხასიათის ამოცანა. მაგრამ, როგორი უნდა იყოს ტაქტიკა? დღეს ნგრევამ გაუსწრო შენებას. აი, როგორმე ნგრევის პროცესი უნდა შეჩერდეს, დაფიქსირდეს ეს გაჩერება და შემდეგ დაიწყოთ ბრძოლა უფსკრულიდან ამოსვლისათვის.

რას შეუძლია გაგვაერთიანოს საერთო საქმისათვის? ხალხის კონსოლიდაციის გამაერთიანებელი იდეა სულიერ სფეროში უნდა ვეძებოთ და არა მატერიალურში. სულის სიღატაკემ გაგვაღარიბა ჩვენ. კონსოლიდაციის გზა საზოგადოებისა და ადამიანის ინტერესთა გადაკვეთაზე ძევს. პრიორიტეტი, ალბათ, ადამიანს უნდა მივცეთ, რადგან, თუ საზოგადოებრივი იდეა არ შეესაბამება ადამიანის ცხოვრებისეულ სტიმულებს, მას არ ძალუძს უბიძგოს შემოქმედებითი წინსვლისაკენ.

ადამიანთა წინაშე დასაბამიდან არსებული პრობლემები არსებითად არ შეცვლილა. დღესაც ისე, როგორც ათასი ან ორი ათასი წლის წინათ, ადამიანს იგივე საზრუნავი აქვს: მოიპოვოს პური არსობისა. სრულად გამოავლინოს თავისი პოტენციური შესაძლებლობები, იზრუნოს მთამომავლობაზე – შვილებსა და შვილიშვილებზე. აი, სწორედ ამ უკანასკნელს – მოზარდ თაობას – ჩვენ შვილებსა და შვილიშვილებს ძალუძთ შექმნან საზოგადოების თანხმობის რეალური წანამძღვრები. ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, მოზარდ თაობას უნდა მივხედოთ და მისი აღზრდა უმთავრეს საქმედ გამოვაცხადოთ. უნდა შემოვბრუნდეთ ახალგაზრდობისაკენ, ახლავე შევუდგეთ მის აღზრდას, – რადიკალურად გარდაქმნილი, ახლებური ფორმით. აი, ამ იდეამ უნდა გაგვაერთიანოს, მოგვცეს ძალაცა და იმედიც, შეგვიქმნას სიცოცხლის შინაგანი სტიმულები. იქნებ ესაა დღეს ჩვენი მოვალეობა და ისტორიული შანსიც. მართალია, ძალზე დაგვიანებულია, მაგრამ აუცილებელია საქმის დაწყება, დაუყოვნებლივ დაწყება! წინააღმდეგ შემთხვევაში დავიღუპებით.

რაოდენ სამარცხვინოა იმის მოგონება, რომ სულ რაღაც თხუთმეტ-ოცი წლის წინათ ხმამაღლა გავყვიროდით – მსოფლიოში ყველაზე განათლებულები ჩვენა ვართ, ქართველები, და საბუთად ათას სულ მოსახლეზე უმაღლესგანათლებულთა რიცხვი მოგვყავდა. რა თქმა უნდა, თავს ვიტყუებდით, არც პროფესიონალიზმის დონეზე ვფიქრობდით. მაგრამ ახლა იმაზე გოდებას აზრი არა აქვს, კარგად უნდა გავაცნობიეროთ: **გადარჩენის გზა ერთია – მოზარდი თაობა; მასზე რეალური ზრუნვა, სწორ გზაზე დაყენება** – აი, ერთადერთი იმედი ხვალისა.

იქნებ ღირდეს იაპონელებისა და ებრაელების მაგალითის მოტანა. იაპონია და ისრაელი ბუნებრივი რესურსებით მწირი ქვეყნებია. ამ გარემოების კომპენსაცია სახელმწიფოებმა იმით მოახერხეს, რომ უდიდესი ფული დააბანდეს ადამიანთა განათლების საქმეში; შედეგმაც არ დააყოვნა. ორივე ქვეყანა ცივილიზაციის დონითა და სიმდიდრით გამორჩეულია.

ჩვენ, ჩვენ რაღა გვიდგას წინ? იქნებ მეტი წინდახედულება, მომავლის უფრო რეალური განჭვრეტაა საჭირო? ალბათ, არც უამისობაა.

უფალი ჩვენი იესო ქრისტე ბრძანებს: ითხოვდით, და მოგეცეს თქუენ; ეძიებდით და ჰპოვოთ; ირეკდით, და განგეღოს თქუენ; რამეთუ ყოველი, რომელი ითხოვდეს, მოიღოს და რომელი ეძიებდეს, პოვოს, და რომელი ირეკდეს, განეღოს“ (მათე, 7, 7-8)...

შევისმინოთ უფლის შეგონება-ღაღადისი...

მე არა ვარ ორიგინალური, პირიქით, ვიმეორებ, არაერთის მიერ ნათქვამს, მაგრამ ვიმეორებ უდიდესი რწმენით: ჩვენს ქვეყანას კრიზისიდან გამოიყვანს და გადაარჩენს ახალგაზრდა თაობის აღზრდა-განათლება. მაშ, ასე – **განათლება ერისა და საზოგადოების რეალური გადარჩენის ჭეშმარიტი გზაა.**

როცა განათლებაზე ვლაპარაკობთ, რა თქმა უნდა, მას განვიხილავთ კულტურასთან, სწორედ ამ ფენომენთან, უწყვეტი კავშირით. სხვაგვარად წარმოუდგენელია განათლების ცნება.

რატომ მივვაჩნია განათლება ქვეყნის წინსვლა-განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებად?

ალბათ, ახალს არაფერს ვიტყვი, თუ აღვნიშნავ, რომ განათლება არის ზედმიწევნით რადიკალური საშუალება ჩვენი ცხოვრების უმძიმესი დაავადების – არაპროფესიონალიზმის სამკურნალოდ. ახლებურმა განათლებამ უნდა გვიხსნას დღევანდელი ცდუნებებისა და მანკიერებებისაგან. ისტორიული გამოცდილება ნათლად გვიჩვენებს, რომ ცხოვრების კულტურას, შრომის კულტურასა და ადამიანის ნებისმიერი სახის მოღვაწეობის კულტურას ბავშვობისა და ყრმობის ადრეული წლებიდან ეყრება საფუძველი. კულტურის გადარჩენის ყველაზე რადიკალური ღონისძიებები ისინია, რომლებიც კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენენ განათლებისა და კულტურული ჩვევების ადამიანში (თანაც მის ადრეულ ასაკში) დასანერგად, განათლება ერთადერთი საშუალებაა კულტურის (ხალხური და პროფესიული) შენახვისა და გადაცემისათვის.

დღეს განსაკუთრებით ბევრი ლაპარაკია ეკოლოგიაზე, ეს მეტად საჭირო და აუცილებელი საქმეა – ბუნების, გარემოს დაცვა ადამიანის წმინდა მოვალეობაა. ერთი კია, ჩვენ დაგვავიწყდა თვით ადამიანი, მისი დაცვა, ცხოვრების ზნეობრივი სამყაროს დაცვა, ადამიანის ზნეობრივი სიმაღლე, სიწმინდე, ზნეკეთილობის პრობლემა უყურადღებოდ მიგვრჩა. მან ვერ შეიძინა სოციალური ჟღერადობა. არადა, ალბათ, ამით უნდა დაგვეწყო. დღეს თუ ჩვენ ადამიანში მივაღწევდით ზნეობრივი სიწმინდე-სიკეთის მაღალ დონეს, ბუნებასაც ნაკლები ზიანი მიადგებოდა, ეკოლოგიურად დაცული იქნებოდა. სამწუხაროდ, სწორედ ადამიანთა კულტურა-განათლების დაბალი დონე განაპირობებს მძიმე ეკოლოგიურ ვითარებას. ერთი სიტყვით, საზოგადოებამ თავისი ძალისხმევა უნდა მიმართოს განათლების პრობლემების გადაჭრისაკენ. ეს არა მარტო კრიზისიდან გამოსვლის გზა, არამედ ქვეყნის ჭეშმარიტი წინსვლა-განვითარების გარანტიც არის.

იქნებ ზედმეტიც იყოს განათლების, უფრო ზუსტად – ახალი, ან ახლებური განათლების აუცილებლობაზე ამდენი ლაპარაკი. იქნებ საკმარისია, დიდი შოთა რუსთაველის, დავით გურამიშვილის, ილია ჭავჭავაძისა და იაკობ გოგებაშვილის ღაღადისს მივუგდოთ ყური და ამით დავკმაყოფილდეთ. დღევანდელი დღის რეალობა, მოზარდი თაობის ცხოვრების, მისი ფსიქოლოგიის ცოდნა და მათი პრობლემები გვაიძულებს ამ საკითხებზე მეწერებას.

თანამედროვე პირობებში განათლების პრობლემა ქვეყნის ეკონომიკისა და პოლიტიკის წინაშე მდგომი ამოცანების კონტექსტით უნდა განვიხილოთ. მსოფლიოში მიმდინარე პროცესები, საერთაშორისო კლიმატის მნიშვნელოვანი დათბობა, სწრაფვა სახელმწიფოთა თანამშრომლობისაკენ, აშკარა გახდა უკანასკნელ ხანს, მაგრამ ეკონომიკური ხასიათის ბარიერები (ზოგჯერ პოლიტიკურიც) სხვა ქვეყნებთან ურთიერთობის ეფექტიანობას მნიშვნელოვნად ამცირებს. მივაჩნია, რომ ყოველგვარი ბარიერი უნდა გადაილახოს და შეიქმნას განათლების სახელმწიფო პროგრამა, რომელიც შეუზღუდავად დაფინანსდება.

ჩვენი საზოგადოების გადასვლა დემოკრატიულ პრინციპებზე, საბაზრო ურთიერთობის პირობები განათლების სფეროს წინაშეც ახალ ამოცანებს აყენებს. აუცილებელი გახდა სამართლებრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური განათლებისა და კულტურის ამაღლება; ზოგადი და სპეციალური განათლების სისტემაში არსებითი ცვლილებების შეტანა. ამგვარ ცვლილება-სიახლეებს შეუძლია გააიოლოს ახალ პირობებთან ფსიქოლოგიური შეგუება.

ყოველივე ზემოთქმულის გამო, მიმაჩნია, რომ თანამედროვე პირობებში სახელმწიფო პოლიტიკის წარმატების გარანტი შეიძლება გახდეს განათლების პრიორიტეტულობის თეზისის რეალიზაცია; ამასთან, ხაზი უნდა გაესვას მისი უპირატესი (დაწინაურებული) განვითარების აუცილებლობას.

– როგორ გვესახება განათლების რეალური პრიორიტეტულობა?

– განათლების სფეროში მკვეთრად უნდა გაიზარდოს რესურსების დაბანდება.

– მნიშვნელოვნად უნდა გადიდდეს განათლებისათვის გაღებული შრომის (სახელმწიფო, კოოპერატიული, კერძო, საზოგადოებრივი) წილი.

– განათლების პრესტიჟი იმდენად უნდა გაიზარდოს, რომ მოიზიდოს ქვეყნის საუკეთესო ინტელექტუალური ძალები. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს განათლების პრესტიჟის ამაღლებას.

– სახელმწიფოს ყველა გადაწყვეტილებაში უნდა შევიდეს საკითხები, რომლებიც განათლების სფეროს შემდგომ განვითარებას უზრუნველყოფს.

– უნდა დამუშავდეს ღონისძიებები (პოლიტიკური, სამართლებრივი, ეკონომიკური), რომლებიც განათლებისათვის მაქსიმალურად ხელსაყრელ პირობებს შექმნის.

დასასრულს, გლობალურად შევხედოთ საკითხს: XXI საუკუნის ზღურბლზე მსოფლიო გარკვეულად სახეშეცვლილია. ეს განაპირობა ისტორიულმა პროცესებმა; პროცესი, რომელიც კატაკლიზმებითა და ფანტასტიკური ცვლილებებითაა აღსავსე, ადამიანებისათვის ცვლილების მომტანი უფრო აღმოჩნდა, ვიდრე მემკვიდრეობითობისა და სიმყარის ხელშემწყობი. ამ რთულსა და ცვალებად მსოფლიოში მთელი სიგრძე-სიგანით წარმოსდგება ადამიანის პრობლემა. ადამიანის გადარჩენის საკითხი აყენებს ერთიანი მსოფლგაგების პრობლემას. დღეს მთელი მსოფლიოს მოწინავე საზოგადოებაა ჩაფიქრებული ამ საკითხზე.

XXI საუკუნის საგანმანათლებლო პარადიგმა შეიძლება ტრიადის სახით წარმოვიდგინოთ: **ერთიანი მსოფლიო – ერთიანი ცოდნა – ერთიანი (მთლიანი) პიროვნება;** XXI საუკუნეში ჩვენი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ამ პარადიგმის ხორცშესხმა.

კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო – ასეა: ჩვენ მსჯელობა-მოსაზრებების საკმაო ფართო სპექტრი წარმოვადგინეთ. ამასობაში XX საუკუნეც მიიხურავს თავის მძიმე და რთული ცხოვრების კარს. შემოაბიჯებს XXI საუკუნე.

ეს ჩვენი იმედების, სურვილების განხორციელების საუკუნეა. ყოველ შემთხვევაში, ასე გვწამს ჩვენ. მშვიდობით, XX საუკუნევ, დაღლილ-დაქანცულო, მძიმევ და რთულო. შენზე ბევრჯერ შეჩერდებიან მემატიანენი და დაგიწყებენ კრიტიკულად განხილვა-შეფასებას. განაჩენსაც ისინი გამოგიტანენ.

ცხოვრება წინ მიდის... ორიოდე დღეში მისი უდიდებულესობა XXI საუკუნე შემოაბიჯებს ჩვენს პლანეტაზე. გამარჯობა XXI საუკუნევ, ბედნიერებისა და სიხარულის მომტანი ყოფილიყავ ჩემი ხალხისათვის, დაღლილ-დაქანცული და შეჭირვებული საქართველოსათვის; ქვეყნისათვის, რომელიც თავისუფალია და საკუთარ ბედს თვითონვე განაგებს. ვირწმუნოთ, რომ ეს საუკუნე ოპტიმიზმით აღსავსე, სამშობლოზე შეყვარებული, მომავალზე მოფიქრალი („აწმყო თუ არა გწყალობს, მომავალი შენია...“) ქართველი ხალხის იმედის გამართლებისა იქნება, საქართველოს გამთლიანებისა და ერთიანობისა იქნება.

**მაშ ასე, მშვიდობით, მეოცე საუკუნევ! გამარჯობა, იმედიანო ოცდამეერთევ!**

2000 წლის დეკემბერი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

# საქართველოს კანონი

## საქართველოს ზღვისა და მდინარეთა ნაპირების რეგულირებისა და საინჟინრო დაცვის შესახებ

### თავი I
### ზოგადი დებულებანი

**მუხლი 1. კანონის მოქმედების სფერო**

ეს კანონი ადგენს საქართველოს ზღვისა და მდინარეთა სანაპირო ზონის კომპლექსური და რაციონალური გამოყენების სამართლებრივ სტატუსს და უზრუნველყოფს სანაპირო ზონის მდგრადობას; აწესრიგებს სამართლებრივ ურთიერთობებს ამ სფეროში მონაწილე სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის; აწესებს სახელმწიფო კონტროლისა და პასუხისმგებლობის ფორმებს სანაპირო ზონაში ეროზიული და აბრაზიული პროცესების გამომწვევ საქმიანობაზე.

**მუხლი 2. ტერმინთა განმარტება**

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) გეომორფოლოგია – მეცნიერება დედამიწის რელიეფის შესახებ;

ბ) ზღვისა და მდინარის ნაპირის რეგულირებისა და საინჟინრო დაცვის გენერალური სქემა – დაპროექტების წინა სტადია, რომელშიც გათვალისწინებულია ზღვისა და მდინარის ნაპირის დაცვის მეცნიერულად დასაბუთებული ღონისძიებების გეგმის შედგენა და მკაცრი ზედამხედველობის ზოლისა და მუდმივი მეთვალყურეობის უბანთა საზღვრების დადგენა. სანაპირო ზონაში მოქცეული ტერიტორიების რაციონალური ათვისება რაიონული დაგეგმარების პერსპექტიული გეგმის შესაბამისად;

გ) ზღვის კიდის ხაზი – წყნარი ზღვის პირობებში ხმელეთისა და წყლის გამმიჯნავი ხაზი;

დ) ზღვის სანაპირო ზონა – ზღვისა და ხმელეთის შეხების ზონა, რომლის საზღვრებშიც მიმდინარეობს ტალღების ტრანსფორმაცია, მათი ენერგიის სრული დახარჯვა, სანაპირო-ზღვიური რელიეფის სისტემური სახეცვლილება და ნამალი მასალის გადაადგილება;

ე) იზობათები – წყალსატევების (ზღვების, მდინარეების, ტბების) თანაბარ სიღრმეთა წერტილების შემაერთებელი ხაზები რუკაზე ან გეგმაზე;

ვ) ლითოლოგია – გეოლოგიის დარგი, რომელიც სწავლობს დანალექ ქანებს მათი შემადგენლობის ქიმიურ-ფიზიკური თვისებების, წარმოშობისა და სხვათა მიხედვით;

ზ) მდინარის კალაპოტი – ხეობის უდაბლესი ნაწილი, რომელიც წყლის საშუალო წლიური მაქსიმალური ხარჯების დროს წყლით იფარება;

თ) მდინარის სანაპირო ზონა – მდინარის კალაპოტი და მისი მიმდებარე ჭალა, რომლის გეოლოგიური სტრუქტურის ჩამოყალიბებას მდინარე განაპირობებს;

ი) მდინარის ხეობა – მდინარის ეროზიული მოქმედების შედეგად გამომუშავებული რელიეფის წაგრძელებულ-ჩაღრმავებული ფორმა;

კ) მკაცრი ზედამხედველობის ზოლი; ზღვის ნაპირისათვის – სანაპირო ზონის ის ნაწილი, რომელიც განიცდის ზღვის ტალღების ზემოქმედებას. იგი შედგება საზღვაო ნაწილისაგან, რომელიც მოქცეულია ზღვის კიდის ხაზსა და 20 მეტრი სიღრმის იზობათს შორის და სახმელეთო ნაწილისაგან, რომელიც კონკრეტული უბნებისათვის განისაზღვრება ნაპირდაცვის გენერალური სქემით; მდინარის ნაპირისათვის – სანაპირო ზონის ნაწილი, რომელიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განისაზღვრება შესაბამისი გენერალური სქემით, სანაპიროს რელიეფის პირობებისა და მდინარის მაქსიმალური ხარჯის გათვალისწინებით;

ლ) მუდმივი მეთვალყურეობის უბანი – სანაპირო ზონის ის ნაწილი, რომელიც მოქცეულია მკაცრი ზედამხედველობის ზოლის სახმელეთო საზღვარსა და ზღვის ან მდინარის დონის პროგნოზირებული აწევით გამოწვეული ხმელეთზე ზემოქმედების არეალის გარე საზღვარს შორის;

მ) ნაპირის აბრაზია – ძირითადი (კლდოვანი) ქანებით აგებული ნაპირის ზვირთცემითა და დინებით გამოწვეული მექანიკური ნგრევისა და დაშლის პროცესი;

ნ) ნაპირის ეროზია: ზღვის ნაპირისათვის – თანამედროვე ფხვიერი ნალექებით (ნატანით) აგებული სანაპირო ზონის ზვირთცემითა და დინებით გამოწვეული მექანიკური წარეცხვის პროცესი; მდინარის ნაპირისათვის – სანაპირო ზონის წყლის ნაკადით გამოწვეული მექანიკური ნგრევისა და წარეცხვის პროცესი;

ო) ნაპირფორმირების პროცესების კვლევისა და მართვის სამეცნიერო-საწარმოო ცენტრი (შემდგომში საქნაპირდაცვა) – საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის საქმიანობაზე სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრო და რომელიც ემსახურება საქართველოს ზღვისა და მდინარეთა ნაპირების დაცვის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას;

პ) ოკეანოლოგია – მეცნიერება ოკეანეებსა და ზღვებში მიმდინარე ფიზიკური, ქიმიური, გეოლოგიური, ბიოლოგიური პროცესებისა და მოვლენების შესახებ;

ჟ) პლაჟი – ტალღების მსხვრევისა და ზღვირთცემის ზონაში დაგროვილი მუდმივად დეფორმირებადი ზღვიური ნატანის ზოლი;

რ) სანაპირო ზონის კადასტრი – ნაპირის რაოდენობრივ და თვისობრივ მაჩვენებელთა ერთობლიობა, რომელიც იძლევა მისი მდგრადობის დამახასიათებელ შეფასებას;

ს) სანაპირო ზონის მდგრადობა – ხანგრძლივი დროის განმავლობაში ბუნებრივად ჩამოყალიბებული მორფოდინამიკური რეჟიმის სტაციონარული პირობების შენარჩუნება;

ტ) სანაპირო ზონის მონიტორინგი – სანაპიროს მდგრადობაზე მუდმივი მეთვალყურეობა, სანაპირო ზონაში ბუნებრივი და ტექნოგენური მიზეზებით გამოწვეული ცვლილებების დროული გამოვლინება და ზონის მართვის სისტემა;

უ) სანაპიროს მორფოდინამიკა – სანაპირო ზონის წყალქვეშა და წყალზედა რელიეფის წარმომქმნელი პროცესების განვითარება დროსა და სივრცეში;

ფ) სახელმწიფო მნიშვნელობის ობიექტი – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო კომპლექსურ ექსპერტიზას დაქვემდებარებული ობიექტი;

ქ) ტექნოგენური პროცესები – სანაპირო ზონაში ადამიანის საქმიანობით გამოწვეული ცვლილებები;

ღ) ჰიდროლოგია – მეცნიერება, რომელიც სწავლობს წყლის სივრცეებსა და წყლის მიმოქცევას დედამიწის ზედაპირზე;

ყ) ჰიდროტექნიკური ნაგებობების ზედა ბიეფი – კალაპოტის ის ნაწილი, რომელიც მდინარის ნაგებობით გადაკეტვისას შეტბორილი წყლით იფარება და სადაც ხდება მყარი ნატანის დაგროვება.

**მუხლი 3. კანონის მიზანი**

1. კანონის მიზანია, უზრუნველყოს სანაპირო ზონაში:

ა) მშენებლობასა და რელიეფწარმომქმნელი ბუნებრივი რესურსების (ინერტული მასალა, ტორფი, კლდოვანი ქანები) მოპოვებაზე სახელმწიფო ზედამხედველობა, ბუნებრივი, მორფოდინამიკური და ტექნოგენური პროცესების მართვა, ტერიტორიული რესურსების მდგრადი განვითარება;

ბ) საჯარო, კერძო სამართლის იურიდიულ და ფიზიკურ პირთა საქმიანობის შესაბამისობა ნაპირდაცვით ღონისძიებათა მოთხოვნებთან;

გ) საინჟინრო დაცვას დაქვემდებარებული სანაპირო ზონის საზღვრების დადგენა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

### თავი II
### სანაპირო ზონის რეგულირებისა და საინჟინრო დაცვის საფუძვლები

**მუხლი 4. სანაპირო ზონის რეგულირებისა და საინჟინრო დაცვის სამართლებრივი საფუძველი**

სანაპირო ზონის გამოყენებისა და მისი ბუნებრივი რესურსების დაცვისას წარმოქმნილი ურთიერთობანი რეგულირდება ამ კანონით და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით.

**მუხლი 5. სანაპირო ზონის რეგულირებასა და საინჟინრო დაცვას დაქვემდებარებული ტერიტორიები და მათი საზღვრები**

1. ზღვისა და მდინარეთა სანაპირო ზონების რეგულირებასა და საინჟინრო დაცვას დაქვემდებარებული ტერიტორიების საზღვრები დგინდება ჰიდროლოგიური, ოკეანოგრაფიული, ლითოლოგიური, გეომორფოლოგიური პირობებით, ზღვის კიდის ხაზისა და კლიმატური ცვლილებების გათვალისწინებით, საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ნორმატივებით.

2. ზღვისა და მდინარეთა სანაპირო ზონების საინჟინრო დაცვას დაქვემდებარებულ ტერიტორიებს მიეკუთვნება:

ა) მკაცრი ზედამხედველობის ზოლი;

ბ) საზღვაო პორტების აკვატორიები და მათი შემომსაზღვრელი საინჟინრო ნაგებობები;

გ) მუდმივი მეთვალყურეობის უბნები.

3. ზღვისა და მდინარეთა სანაპირო ზონების საინჟინრო დაცვას დაქვემდებარებული ტერიტორიების საზღვრები დგინდება ნაპირთა დაცვის გენერალური სქემით.

4. ზღვისა და მდინარეთა საინჟინრო დაცვას დაქვემდებარებული სანაპირო ზონების საზღვრებს ტერიტორიათა გეგმების სახით ადგენს საქნაპირდაცვა და შესათანხმებლად წარუდგენს საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს.

### თავი III
### სანაპირო ზონის სახელმწიფო მართვა

**მუხლი 6. სანაპირო ზონის ტერიტორიების საკუთრებასთან დაკავშირებული ურთიერთობები**

მკაცრი ზედამხედველობის ზოლში მოქცეული ტერიტორიების გაცემა და გასხვისება კერძო საკუთრებაში აკრძალულია, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამავე ზოლში კერძო საკუთრებაში არსებული ტერიტორიები რჩება საკუთრებაში და მათი ჩამორთმევა დასაშვებია მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად კანონით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

**მუხლი 7. სანაპირო ზონის სახელმწიფო მართვა**

1. სანაპირო ზონის სახელმწიფო მართვის მიზანია:

ა) სანაპირო ზონის სტაბილური და დაბალანსებული განვითარება, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისას გარემოს დაცვისა და ეკონომიკური ინტერესების ოპტიმალური შერწყმა;

ბ) სანაპირო-ეროზიული და აბრაზიული პროცესების დროული პროგნოზირება, მათი ოპერატიული ლიკვიდაცია ან ხელსაყრელი მიმართულებით წარმართვა.

2. საქართველოს სანაპირო ზონის გამოყენებასა და იქ მიმდინარე სანაპირო-ეროზიულ და აბრაზიულ პროცესებზე მეთვალყურეობას ახორციელებს საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრო (აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამის უწყებებთან ერთად), რომელიც უფლებამოსილია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების, ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის, იუსტიციის სამინისტროს და მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტთან შეთანხმებით:

ა) შეიმუშაოს სანაპირო ზონის კადასტრი სამეურნეო პროცესებზე კონტროლის მიზნით;

ბ) დაადგინოს მკაცრი ზედამხედველობის ზოლისა და მუდმივი მეთვალყურეობის უბნების საზღვრები და შეიტანოს მათში სათანადო ცვლილებები;

გ) დაამტკიცოს მოსალოდნელი საშიში ბუნებრივი პროცესებით გამოწვეული შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები;

დ) წარუდგინოს საქართველოს პრეზიდენტს დასამტკიცებლად სანაპირო ზონის საზღვრები და მისი პერსპექტიული განვითარების გეგმები.

**მუხლი 8. სანაპირო ზონის სახელმწიფო კადასტრი და მონიტორინგი**

1. სანაპირო ზონის სახელმწიფო კადასტრი წარმოებს სანაპიროს მდგომარეობის შეფასების, სამოქალაქო, სამრეწველო, აგრარული, კულტურისა და დასვენების ობიექტების მშენებლობის მიზანშეწონილობის დასადგენად და გარემოს დაცვის ოპტიმალურ ღონისძიებათა გასატარებლად.

2. სანაპირო ზონის მონიტორინგი ხორციელდება სანაპიროზე მოსალოდნელი ეროზიული და აბრაზიული პროცესების სალიკვიდაციო რეკომენდაციების შესამუშავებლად და ნაპირდაცვის ეფექტიანი ღონისძიებების გასატარებლად.

**მუხლი 9. სანაპირო ზონით სარგებლობის წესები**

1. სანაპირო ზონით სარგებლობის წესებია:

ა) სანაპირო ზონის მუდმივი მეთვალყურეობის უბნებში ტერიტორიის ათვისება და მშენებლობები უნდა შეთანხმდეს საქნაპირდაცვასთან მისი ტერიტორიული სამსახურების მონაწილეობით. ამასთან, დაუშვებელია ისეთი ღონისძიებების გატარება, რომლებიც გამოიწვევს სანაპირო-ეროზიული და აბრაზიული პროცესების გააქტიურებას;

ბ) სანაპირო ზონის მკაცრი ზედამხედველობის ზოლში აკრძალულია ახალი მშენებლობა, გარდა სახელმწიფო მნიშვნელობის ობიექტებისა, რომელთა ჩამონათვალს გენერალური სქემის საფუძველზე ამტკიცებს საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრი;

გ) სანაპირო ზოლში ყველა ნაგებობის პროექტში აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული სანაპირო ზოლის მოსალოდნელი დაზიანების საკომპენსაციო ხარჯები;

დ) სანაპირო ზონაში პლაჟის გამოყენება სამკურნალო და რეკრეაციული მიზნით არ იზღუდება;

ე) სანაპირო ზონის მკაცრი ზედამხედველობის ზოლში ნაპირდაცვითი ნაგებობების მშენებლობა, ტექნიკური დანადგარებისა და მოწყობილობების განთავსება დაიშვება მხოლოდ საქნაპირდაცვასთან შეთანხმებით;

ვ) სანაპირო ზონის მკაცრი ზედამხედველობის ზოლში ნებადართულია ტერიტორიით სარგებლობა რაიმე ნაგებობის, მექანიზმის ან დანადგარის განთავსების გარეშე.

2. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აკრძალულია ზღვის სანაპირო ზონაში და საქართველოს მდინარეთა კალაპოტებიდან ინერტული მასალის მოპოვება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა იგი ხორციელდება მდინარეთა რეგულირების, ნაპირფორმირების მართვის მიზნით, აგრეთვე, გაუწყლოებული კალაპოტებიდან და წყალსაცავიანი ჰიდროტექნიკური ნაგებობების ზედა ბიეფიდან.

### თავი IV
### საქნაპირდაცვა და ნაპირდაცვის ღონისძიებათა დაფინანსება

**მუხლი 10. საქნაპირდაცვა**

1. საქნაპირდაცვა არის ამ კანონისა და საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს ადმინისტრაციული აქტის შესაბამისად დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, ამ კანონით და დებულებით.

2. საქნაპირდაცვა ვალდებულია:

ა) შეიმუშაოს ნაპირფორმირების პროცესების მართვისა და ნაპირდაცვის ნორმები და წესები ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისა და სტაციონარულ დაკვირვებათა შედეგების საფუძველზე;

ბ) დაამუშაოს ნაპირდაცვის პერსპექტიული გეგმები;

გ) საჭიროებისამებრ განსაზღვროს ნაპირდაცვით ნაგებობათა მშენებლობის რიგითობა და შეადგინოს მათი პროექტები.

**მუხლი 11. საქნაპირდაცვის საქმიანობის დაფინანსების წყაროები**

საქნაპირდაცვის დაფინანსება ხორციელდება:

ა) სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით;

ბ) პროგრამული დაფინანსების სახსრებით;

გ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლებით.

**მუხლი 12. სანაპირო ზონაში საქმიანობის განხორციელებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება**

ფიზიკური და იურიდიული პირი, რომელთა საქმიანობა ან რომელთა ბალანსზე რიცხული ნაგებობები იწვევენ სანაპირო ზონაში სანაპირო-ეროზიულ პროცესებს, ვალდებულნი არიან, აანაზღაურონ მიყენებული ზიანი საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად, საქნაპირდაცვის შეფასების საფუძველზე.

**მუხლი 13. საქნაპირდაცვის ეკონომიკური სტიმულირება**

საქნაპირდაცვის მცურავი ტექნიკური საშუალებანი საქართველოს პორტებში დგომისას და მუშაობისას მომსახურების საფასურს იხდიან როგორც სასამსახურო და სამეცნიერო-კვლევითი გემები.

### თავი V
### გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

**მუხლი 14. კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებული ღონისძიებები**

ამ კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრომ, აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან, საქართველოს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების, ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის, იუსტიციის სამინისტროს და მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტთან შეთანხმებით:

ა) ამ კანონის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში შეიმუშაოს და დაამტკიცოს საქართველოს ზღვისა და მდინარეთა ნაპირების რეგულირებისა და საინჟინრო დაცვის წესები;

ბ) 2005 წლამდე დაამუშაოს ზღვისა და მდინარეთა ნაპირების რეგულირებისა და საინჟინრო დაცვის გენერალური სქემები.

**მუხლი 15. კანონის ამოქმედება**

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
**ედუარდ შევარდნაძე.**
თბილისი, 2000 წლის 27 ოქტომბერი.

# საქართველოს კანონი

## საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადებისაგან აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში ანარიცხების გრძელვადიანი ეკონომიკური ნორმატივების შესახებ

ამ კანონის მიზანია საქართველოს სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებს შორის ურთიერთგალდებულებების არსებული თანაფარდობიდან გამომდინარე ყველა დონის ბიუჯეტის სტაბილური საშემოსავლო ბაზის ფორმირება.

**მუხლი 1**

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებში მოგებისა და საშემოსავლო გადასახადებიდან ანარიცხების გრძელვადიანი ნორმატივები 2001-2003 წლებისათვის თითოეულ გადასახადზე განისაზღვროს 99 პროცენტის ოდენობით.

**მუხლი 2**

საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში მოგებისა და საშემოსავლო გადასახადებიდან ანარიცხების გრძელვადიანი ნორმატივები 2001-2003 წლებისათვის თითოეულ გადასახადზე განისაზღვროს 85 პროცენტის ოდენობით.

**მუხლი 3**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტში ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საბაჟო ორგანოების მიერ მობილიზებული საბაჟო გადასახადიდან ანარიცხის გრძელვადიანი ნორმატივი 2001-2003 წლებისათვის განისაზღვროს 50 პროცენტის ოდენობით.

**მუხლი 4**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტში ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საბაჟო ორგანოების მიერ მობილიზებული დამატებული ღირებულების გადასახადიდან და აქციზიდან ანარიცხების გრძელვადიანი ნორმატივები 2001-2003 წლებისათვის განისაზღვროს 40 პროცენტის ოდენობით, ხოლო საგადასახადო ორგანოების მიერ მობილიზებული დამატებითი ღირებულების გადასახადიდან – 30 პროცენტის ოდენობით.

**მუხლი 5**

საქართველოს ფინანსთა და საგადასახადო შემოსავლების სამინისტროების მიერ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან შეთანხმებით, 2001 წლის განმავლობაში საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის ხაზით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განსაზღვრული დამატებული ღირებულების, მოგებისა და საშემოსავლო გადასახადების საპროგნოზო მოცულობების გადაჭარბებით მიღებული შემოსავალი არ ექვემდებარება განაწილებას ამ კანონის პირველი და მე-4 მუხლებით დადგენილი ნორმატივების მიხედვით და მთლიანად რჩება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის განკარგულებაში.

**მუხლი 6**

ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს კანონი „საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადებიდან აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში ანარიცხების გრძელვადიანი ეკონომიკური ნორმატივების შესახებ" (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №12, 2000 წლის 27 მარტი).

**მუხლი 7**

ეს კანონი ამოქმედდეს 2001 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი
**ედუარდ შევარდნაძე.**
თბილისი, 2000 წლის 13 დეკემბერი.

## საკონცერტო სერია

# მუსიკით XXI საუკუნეში

**ჭეშმარიტად ჩინებული და მრავალფეროვანი საახალწლო მუსიკალური ნობათი მიუძღვნა თბილისის კონსერვატორიის დიდმა დარბაზმა ქართველ მსმენელებსა და დედაქალაქის სტუმრებს, — ხუთი მშვენიერი კონცერტი, ხუთი დაუვიწყარი სალამო, ისეთი, როგორიც დიდი ხნით აღიბეჭდება ხოლმე მეხსიერებაში და რომელიც აუცილებლად საუკეთესო გრძნობებს აღუძრავს ადამიანებს. დიახ, საშობაო, წინასაახალწლო კონცერტების სერია გასული წლების მსგავსად, ამჯერადაც მიმზიდველი გახლდათ.**

ყველაფერი კი 24 დეკემბერს დაიწყო, როდესაც დარბაზის მესვეურებმა საორგანო მუსიკის სალამოზე მიგვიწვიეს. 2000 წელს 250 წელი შესრულდა მუსიკალური ხელოვნების სწორუპოვარი გენიოსის იოჰან სებასტიან ბახის გარდაცვალებიდან. ფართოდ აღინიშნა ეს თარიღი მთელს მსოფლიოში, არაერთი კონცერტი მიეძღვნა მას საქართველოშიც, და აი, 24 დეკემბერს კვლავაც ამ თარიღს დაუკავშირა თავისი გამოსვლა სტუმარმა სომხეთიდან – ერევნის ფილარმონიის სოლისტმა, ერევნის კონსერვატორიის პროფესორმა, აქტიურმა კონცერტანტმა, ცნობილმა ორგანისტმა ვააგნ სტამბოლციანმა. მისი ხელდასხმით კიდევ ერთხელ ვეზიარეთ ბახის მუსიკის ზეაწეულ სულიერებასა და ფილოსოფიურ სიღრმეს. სტუმარმა საინტერესოდ შეასრულა ხუთი ქორალური პრელუდია „საორგანო წიგნიდან", სამი ქორალური ფანტაზია კრებულიდან „თერამეტი ქორალი", პრელუდიები და ფუგები (სი მინორი და ლა მინორი).

25 დეკემბერი საფორტეპიანო მუსიკას დაეთმო. „მაესტრო, ბრავო!" – ასე ეწოდა გამოჩენილი ქართველი მუსიკოსისადმი თენგიზ ამირეჯიბისადმი მიძღვნილ კონცერტს. ვფიქრობ, არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ „ბრავოს!" სცენაზე მყოფი ყოველი მუსიკოსი იმსახურებდა იმ სალამოს, – ბატონი თენგიზის აღზრდილები, მსოფლიოში აღიარებული მანანა დოიჯაშვილი და ალექსანდრე კორსანტია, ახალგაზრდა ტალანტები მარინე ნადირაძე და ნათია ასტახიშვილი და რასაკვირველია, უწინარესად, თვით თენგიზ ამირეჯიბი, ცხადია, წარმოჩენილი არა მხოლოდ აღმზრდელის ამპლუაში, არამედ შემსრულებლისაც. დიდხანს ვერ დავივიწყებთ იმ ბრწყინვალებასა და ალმაფრენას, რომლითაც გააცისკროვნა იმ სალამოს ბატონმა გიზიმ შოპენის მუსიკა, ისევე, როგორც შუბერტის „ფანტაზია" ფა მინორი ოთხი ხელისთვის, რომლის დაკვრისას გვერდი-გვერდ ისხდნენ როიალთან თენგიზ ამირეჯიბი და ალექსანდრე კორსანტია. ამ უკანასკნელმა იმ სალამოს შესანიშნავად დაუკრა, აგრეთვე, ბახის ქორალი და შოპენის პოლონეზი. საინტერესო გახლდათ მარინე ნადირაძისეული ხედვა დებიუსის „Pour de Piano"-სი. მომაჯადოებელი იყო მანანა დოიჯაშვილი, რომელმაც მართლაც აღგვაფრთოვანა მოცარტის ოპერის „ფიგაროს ქორწინების" თემაზე შექმნილი ლისტის ფანტაზიით. კონცერტის დასასრულ ლამაზი მუსიკალური სიურპრიზი ელოდა აუდიტორიასაც და ბატონ თენგიზსაც, როდესაც ორ როიალთან ადგილი დაიკავა თენგიზ ამირეჯიბის ოთხივე აღზრდილმა, რათა ჩინებულად აეხმიანებინათ ახალგაზრდა, ნიჭიერი კომპოზიტორის ნიკა მემანიშვილის საგანგებოდ ამ დღისთვის შექმნილი ნაწარმოები – პოპური „გიზის რეპერტუარის თემებზე" – ნამდვილად მომხიბლავი ქმნილება.

„მაესტრო, ბრავო!"-ს პროგრამაში ამოიკითხავდით ასეთ ფრაზას: „თენგიზ ამირეჯიბის პიანიზმი ხასიათდება შესრულების კეთილშობილური მანერით, ნატიფი მხატვრული გემოვნებით, არისტოკრატული არტისტიზმით, არაჩვეულებრივი ფერწერული ჟღერადობით". ბატონი თენგიზის – აღმზრდელის სანაქებოდ უნდა ითქვას, რომ ეს ის საუკეთესო თვისებებია, რომელთა გაღვივებას იგი მუდამ ხელს უწყობს აღსაზრდელებშიც, თუმცა, მათი ინდივიდუალურობის გათვალისწინებით და ამიტომაც, მისი ყოველი კურსდამთავრებული თვითმყოფი შემსრულებელია, რჩეულნი კი, მუსიკოსები, რომელთაც ტაშს უკრავს მსოფლიო.

კონცერტის დასაწყისში მანანა დოიჯაშვილმა აღნიშნა, რომ ეს სალამო მადლიერებისა და უსაზღვრო სიყვარულის გამოვლენაა, მადლიერება იმ საუკეთესო წლებისთვის, რომლებიც ბატონ გიზის კლასში აქვთ გატარებული, სადაც ოსტატობასთან ერთად მაესტრო მათ ღირსებებსაც უყალიბებდა. „ქედს ვიხრით თქვენს წინაშე, – უდიდესი ხელოვანისა და პიროვნების წინაშე", – მანანა დოიჯაშვილის ამ სიტყვებს იტყოდა, ალბათ, ყოველი იმათგანი, ვინც კონცერტის ბოლოს თაიგულებით შეამკო თენგიზ ამირეჯიბი. მართლაც, გულისამაჩუყებელი სანახაობა იყო – სცენაზე იდგა ყვავილებით ხელდამშვენებული მაესტრო გარშემორტყმული იმ მადლიერი ადამიანებით, რომლებიც წლების მანძილზე მისი ხელდასხმით ეუფლებოდნენ მუსიკალური სამყაროს მშვენიერებათა საიდუმლოებებს.



**ზურაბ ოიკაშვილი.**

**სურათზე:** თენგიზ ამირეჯიბი და მანანა დოიჯაშვილი.

(დასასრული იქნება)

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი გილოცავთ შობა-ახალ წელს.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

# გილოცავთ ახალ ათასწლეულს და 2001 წელს!

GCF

# ლაზიერი

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციისა და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ერთობლივი ყოველთვიური გამოცემა

(9)46

**ანონსი**

## XXI საუკუნის სტარტზე

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციამ დაამტკიცა მომავალი წლის სპორტული კალენდარი.

2001 წელს ფიდეს განსაზღვრული აქვს გამართოს ვაჟთა და ქალთა პირადი ჩემპიონატები. მოსალოდნელია ბევრი სიახლე, რის თაობაზეც ფიდეს ხელმძღვანელობა საბოლოო გადაწყვეტილებას 15 იანვრისთვის მიიღებს.

ოქტომბრის ბოლოს ესპანეთის ქალაქი ლეონი ევროპის გუნდური ჩემპიონატის მონაწილეებს უმასპინძლებს. ესპანეთშივეა დაგეგმილი მსოფლიოს ასაკობრივი ჩემპიონატების გამართვა, ევროპის ანალოგიური ტურნირს კი საბერძნეთი მიიღებს.

საქართველოს ასაკობრივ ჩემპიონატს პირველად 18 წლის მოჭადრაკეები 31 იანვარს თბილისში დაიწყებენ.

20 წლის მოჭადრაკეთა ტურნირი 26 თებერვალს აიღებს სტარტს თბილისში.

10 წლის მოჭადრაკეები ბათუმში ითამაშებენ (25. 04 – 4. 05); 12 წლის ნორჩები ფოთში (20. – 29. 05), ხოლო 14 წლის კი – ქუთაისში (2. – 11. 04) შეეჯიბრებიან ერთმანეთს.

16 წლის ჭაბუკებსა და გოგონების ტურნირი თბილისში გაიმართება (20 – 30. 04).

მომავალი წლის დასაწყისში გამოცხადდება გია ნადარეიშვილის მემორიალი – საერთაშორისო კონკურსი საჭადრაკო ეტიუდების შედგენაში.

**შეხვედრა საქართველოს პრეზიდენტთან**



## ტრადიციებს გავაგრძელებთ...

საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ 21 დეკემბერს მიიღო მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაში მონაწილე საქართველოს მოჭადრაკეთა დელეგაცია.

პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ქართველ მოჭადრაკეთა გამარჯვება სრულიად საქართველოს გამარჯვებაა. გაიმართა გულღია საუბარი საქართველოში საჭადრაკო ტრადიციების შენარჩუნების და შემდგომი განვითარების მიზნით.

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა ნონა გაფრინდაშვილმა მადლიერების გრძნობით აღნიშნა, რომ ოლიმპიადაზე წარმატებით გამოსვლა მნიშვნელოვანწილად შესაძლებელი გახდა პრეზიდენტის ფონდიდან გამოყოფილი თანხით.

ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა ყურადღება გაამახვილა ნიჭიერი ახალგაზრდა თაობის ქმედითი დახმარების აუცილებლობაზე.

საქართველოს განათლების მინისტრმა ალექსანდრე კარტოზიამ, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ ირაკლი მეძმარიაშვილმა ქართველ მოჭადრაკეებს სრული თანადგომა აღუთქვეს.

ქვეყანაში რთული ეკონომიკური ვითარების მიუხედავად, — განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ, — საქართველოს ხელისუფლება ძალისხმევას არ იშურებს ეროვნული სპორტის და განსაკუთრებით, ჭადრაკის მხარდასაჭერად. როგორც საქართველოს პრეზიდენტმა აღნიშნა, აუცილებელია ჭადრაკის განვითარების სახელმწიფო პროგრამის ჩამოყალიბება და ამუშავება, რათა სპორტის ეს სახეობა, რომელსაც საქართველოში ძალზე მდიდარი ტრადიციები აქვს და რომლის წარმომადგენლებმაც ჩვენი ქვეყანა ათეულობით წლების განმავლობაში არაერთხელ ასახელეს, კიდევ უფრო გაძლიერდეს.

**სურათზე:** მოჭადრაკეები საქართველოს პრეზიდენტთან ედუარდ შევარდნაძესთან.

**ფიდეს ვერსიით**




## მსოფლიოს ჩემპიონები

მსოფლიო ჩემპიონატი ნოკაუტ-სისტემით, რომელმაც მოჭადრაკეთა მოწონება არ დაიმსახურა და ზოგი მიმომხილველი „ავადსახსენებელსაც" კი უწოდებდა, ნიუ-დელისა და თეირანში უკანასკნელად გაიმართა. ამიერიდან იგი უფრო პროგრესული სისტემით შეიცვლება.

ქალებმა ნოკაუტ-სისტემით პირველად ითამაშეს, ვაჟებმა კი მესამედ. შედეგები ამჯერად, ყველა ექსპერტის აღიარებით, სავსებით ობიექტური იყო.

ქართველმა მოჭადრაკე ქალებმა, ზოგმა გადაღლილობის, ზოგმა კი არასაკმარისი გამოცდილების გამო, ამ შეჯიბრებაში თავი ვერ გამოიჩინეს. კვლავ შესანიშნავად ითამაშა 30 წლის სე ცზიუნმა, რომელმაც შარშან ალისა გალიამოვას დამარცხების შემდეგ დაიბრუნა დაკარგული მსოფლიო ჩემპიონობა. ძალიან ადრე გამოეთიშნენ შეჯიბრებას გამოჩენილი დიდოსტატები პია კრამლინგი და ალისა გალიამოვა. საწყის ეტაპზე სე ცზიუნმა რამდენიმე საკმაოდ იოლი გამარჯვება იზეიმა, შემდეგ მოუგო ძლიერ კონკურენტებს, – ევროპის ჩემპიონ ნატალია ჟუკოვასა და რუსეთის არაერთგზის ჩემპიონ ეკატერინა კოვალევსკაიას. ფინალში სე ცზიუნმა ცოტა არ იყოს, მოულოდნელი მეტოქე შეხვდა, მისივე თანამემამულე ცინ კანინი, რომელსაც აქამდე არ ჰქონია დიდი წარმატებები. სე ცზიუნმა გაიმარჯვა ანგარიშით 2,5:1,5 და შეინარჩუნა მსოფლიო ჩემპიონობა.

ვაჟთა ასპარეზობაში ერთადერთი ქართველი ზურაბ აზმაიფარაშვილი მეორე წრიდან ჩაება ასპარეზობაში. პირველი გამარჯვების შემდეგ იგი ბორის გულკოს (აშშ) შეხვდა და გამოცდილ მეტოქესთან დათმო ორთაბრძოლა.

თავისი მრავალრიცხოვანი გულშემატკივრების იმედები გაამართლა შეჯიბრების მთავარმა ფავორიტმა ვიში ანანდმა. მან თანმიმდევრულად გამოთიშა შეჯიბრებიდან ნაკლებად საშიში მეტოქეები – სმბატ ლპუტიანი (სომხეთი), ვიორელ ბოლოგანი (მოლდავეთი) და ბარტოლომეი მაჩეია (პოლონეთი). ამის შემდეგ ინდოელი უკვე მსოფლიო ჩემპიონ ალექსანდრ ხალიფმანს (რუსეთი) შეხვდა, მოწინააღმდეგეს, რომელმაც 1998 წელს კინაღამ დაატოვებინა მსოფლიოს პირველი პირველობა ნოკაუტ-სისტემით. მაშინ ამ დიდოსტატებმა 6 პარტია ითამაშეს და ბოლოს ანანდმა გაიმარჯვა ანგარიშით 3,5:2,5. ნიუ-დელიში მეტოქეებმა ზუსტად ამდენივე შეხვედრა გამართეს და ანანდმა ისეთივე ანგარიშით მიაღწია წარმატებას. ამას მოჰყვა ინდოელის შეხვედრა მეტად შეუპოვარ ინგლისელ მაიკლ ადამსთან. ანანდს აქაც ჰქონდა უპირატესობა – 2,5:1,5. ამასობაში გამოირკვა, რომ მისი მეტოქე თეირანის ფინალურ მატჩში ალექსეი შიროვი (ესპანეთი) იქნებოდა.

უნდა ითქვას, რომ ამ ორთაბრძოლამ იმედები არ გაამართლა. მართალია, მიმომხილველები თვლიდნენ, რომ ანანდს უპირატესობა ექნებოდა, მაგრამ ამჯერად შიროვმა მას ვერავითარი წინააღმდეგობა ვერ გაუწია. პირველ პარტიაში ყაიმს შემდეგ ანანდის ზედიზედ სამი გამარჯვება მოჰყვა და შეხვედრაც ვადაზე ადრე დასრულდა – 3,5:0,5. ერთი სიტყვით, 31 წლის ანანდი სრულიად დამსახურებულად გახდა მსოფლიო ჩემპიონი. სხვადასხვა ვერსიებს თუ გავითვალისწინებთ, ეს მისი მესამე და ამასთან, მეტად წარმატებული ცდა იყო: 1995 წელს ანანდმა წააგო მატჩი კასპაროვთან, 1998 წელს – კარპოვთან, ახლა კი მისი წარმატება საყოველთაო აზრით, სრულიად დამსახურებულია.





**გივი გამრეკელი.**

**მატიანე**



## საუკუნის მაჯისცემა

საქართველოში ჭადრაკის ისტორია მრავალ საუკუნეს მოიცავს, მაგრამ ყველაზე მდიდარი და წარმატებული XX საუკუნე აღმოჩნდა. ქართულმა ჭადრაკმა საყოველთაო საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. იგი ფიდეს ღირებული წევრია.

საქართველოს მოჭადრაკეები აქტიურად მონაწილეობდნენ საერთაშორისო საჭადრაკო ცხოვრებაში, ნამდვილი „ოქროს ეპოქა" ჰქონდა ქართულ ჭადრაკს 1961-1991 წლებში, როცა თბილისი მსოფლიო ჩემპიონის სატახტო ქალაქად იქცა. ქართველი დიდოსტატი ქალები მრავალი ოლიმპიადის ჩემპიონები არიან, წარმატებით მონაწილეობდნენ მსოფლიოს და საბჭოთა კავშირის პირველობებში.

თბილისში დუღდა საჭადრაკო ცხოვრება, აიგო დიდებული ჭადრაკის სასახლე, რომელიც მრავალ დიდ შეჯიბრებას მასპინძლობდა. გამოდიოდა საჭადრაკო წიგნები, გაზეთი, ჟურნალი და სპეციალური საჭადრაკო ბიულეტენები.

ეს და ბევრი სხვა მოვლენა ამდიდრებდა ქართული ჭადრაკის მატიანეს და საამაყოდ აქვს ჩვენს ერს.

ახლა გაეცანით XX საუკუნის ქართული საჭადრაკო ცხოვრების უმთავრეს მოვლენებს. ცხადია, ყველა ამბავს არ ეყო ადგილი, მაგრამ წარმოდგენილიც საკმარისია, რომ ვთქვათ: XXI საუკუნეს ქართველი მოჭადრაკეები, როგორც იტყვიან, ხელდამშვენებული ხვდებიან!

იხ. მე-6-7 გვ.

## ვულოცავთ!

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, ღირსების ორდენით დაჯილდოვდა გიორგი მახარაძე – საქართველოს ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტის საკონსულტაციო სათათბიროს საბჭოს წევრი.

ბატონი გიორგი „ლაზიერის" რედკოლეგიის წვრია, რამდენიმე საინტერესო საჭადრაკო წიგნის და ბევრი საინტერესო პუბლიკაციის ავტორია. ერთ-ერთ წერილში მან დააყენა ქართული საჭადრაკო გაზეთის გამოცემის აუცილებლობა. მალე „ლაზიერიც" დაიბადა.

**ვულოცავთ კოლეგას ამ დიდ აღიარებას!**

## მესამე!

ამჯერად საუბარია არა მესამე სპორტულ მიღწევაზე, არამედ მესამე უდიდეს პირად ბედნიერებაზე, რომელიც ამ დღეებში ეწვია საერთაშორისო ოსტატ სოფიკო ნიკოლაძეს – მას შეეძინა ნანატრი გოგონა, მის ორ ვაჟკაცს საბას და იოანეს დაიკო ჰყავთ – ანა.

მესამე ათასწლეულის კვირაძალზე დაბადებულ მესამე შვილს ვუსურვებთ ბედნიერი გზით ევლოს XXI საუკუნეში!

**„ლაზიერის" რედაქცია.**

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!**

მატიანე

# საუკუნის მაჯისცემა

## საქართველოს ჭადრაკის განვითარების უმთავრესი მომენტები 1901-2000 წლებში

(მეხუთე გვერდიდან)

**1901**. 9 იანვრიდან 20 თებერვლამდე თბილისის საჭადრაკო წრეში გაიმართა ტურნირი, რომელშიც თერთმეტი მოჭადრაკე ორ წრედ ასპარეზობდა.

14,5 ქულით პირველ ადგილზეა ა. პ. სმიტენი. მას ორი ქულით ჩამორჩა გრუზინსკი, რომელიც მხოლოდ მეოთხე იყო. 8 ქულით მეცხრე ადგილზეა არჯევანიძე.

**1902**. ამ დროისათვის თბილისში მოღვაწეობს ცნობილი საჭადრაკო კომპოზიტორი გ. ზისერმანი, რომლის ამოცანებიც იბეჭდება იმდრონდელ რუსულ საჭადრაკო ჟურნალებში.

**1903**. კიევში ფრანგულ ენაზე გამოიცა ა. დადიანის პარტიების დაბოლოებათა კრებული, რომელიც მაესტრო შიფერსმა შეადგინა.

კიევში გაიმართა მოყვარულთა დიდი ტურნირი, რომელშიც ა. დადიანმა მესამე ადგილი დაიკავა.

**1904** ———

**1905** ———

**1906**. ა. დადიანს გადაეცა მადლობის სიგელი მილანში საერთაშორისო ტურნირის ორგანიზაციაში მონაწილეობისათვის.

**1907** ———

**1908–1910**. სერგეი მიროტვორსკის მიმოწერით გამართულ მეექვსე ტურნირში (X. 1908 – III. 1910 წ.) დიმიტრი ბაგრატიონ-მუხრანსკიმ პირველი ადგილი დაიკავა და მიროტვორსკის ნახევარი ქულით გაუსწრო.



1910 წლის 13 ივნისს კიევში 60 წლისა გარდაიცვალა ა. დადიანი. იგი დაიკრძალა მარტვილის დადიანების საგვარეულო მონასტერში.

**1911–1912**. ამ წლებში გაიმართა მიროტვორსკის მიერ ორგანიზებული 18-ე ტურნირი მიმოწერით. დიმიტრი ბაგრატიონ-მუხრანსკიმ 12 შესაძლებლიდან 7 ქულა მოაგროვა და III ადგილი დაიკავა.

**1913** ———

**1914**. ა. პრიკის ჟურნალში (პეტროგრადი, 1914 წ) მეხუთე ნომერში დაიბეჭდა დიმიტრი ბაგრატიონ-მუხრანსკის, პლატონ ხელთუფლიშვილის, კნიაზ ბურგიშვილის (?), ა. პ. სმიტენის პარტიები.

**1915** ———

**1916** ———

**1917–18**. ბათუმის ჩემპიონი გახდა ვ. ა. ბასენსკი, რომელმაც ასევე გაიმარჯვა 1918, 1919 და 1920 წლებში.

**1919**. გაიმართა თბილისის ახალგახსნილი სახელმწიფო უნივერსიტეტის I საჭადრაკო ჩემპიონატი. მეორე ადგილი დაიკავა შედგომში სახელგანთქმულმა ეტიუდისტმა პროფესორმა ა. გერბსტმანმა.

**1920**. თბილისელ მოჭადრაკეთა პირველ ტურნირში, რომელშიც 25 მონაწილე იყო, გაიმარჯვა ხარლამპი სირბილაძემ (1862-1939).

**1921** ———

**1922**. გაიმართა თბილისელ მოჭადრაკეთა ტურნირი. გაიმარჯვა მ. იოგანმა (1895-1944).

**1923**. 16 მარტს გაზეთი „ტრუდოვოი ბატუმში" ვლადიმერ ზდანევიჩის რედაქციით გაიხსნა საჭადრაკო განყოფილება, რომელიც იმ დროისათვის პირველი იყო ამიერკავკასიაში.

**1924**. ა. სმოროდსკიმ ისევ მოიგო თბილისელ მოჭადრაკეთა ტურნირი.

**1925**. ამჯერად თბილისის მოჭადრაკეთა ტურნირში გაიმარჯვა ვ. ალამალიანმა (1899-1963).

**1926**. გაიმართა თბილისის პირველი ოფიციალური ჩემპიონატი. გაიმარჯვა ა. სმოროდსკიმ.

გაიმართა პირველი მასობრივი, 600-კაციანი ტურნირი. გაიმარჯვეს ელენე ზაუტაშვილმა (1888-1948) და ჰ. კასპარიანმა (1910-1995).

თბილისს პირველად ეწვია საგასტროლოდ უცხოელი დიდოსტატი იუგოსლაველი ბ. კოსტიჩი.

ამ წელს გამოვიდა პირველი საჭადრაკო წიგნი ქართულ ენაზე – ჟურნალისტ მ. საყვარელიძის „ჭადრაკი".

**1927**. თბილისის მეორე ჩემპიონატში პირველი იყო ვ. გოგლიძე (1905-1959). გაიმართა თბილისის ქალთა პირველი ჩემპიონატი, გაიმარჯვა ე. ზაუტაშვილმა.

**1928**. გაიმართა საქართველოს ვაჟთა I ჩემპიონატი (I-II ვ. გოგლიძე და გ. სოროკინი).



თბილისმა უმასპინძლა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ვაჟთა პირველ ჩემპიონატს.

თავის პირველ ამოცანას აქვეყნებს გამოჩენილი ქართველი პრობლემისტი ალექსანდრე დობორჯგინიძე (1902-50).

**1929**. გაიმართა ამხანაგური მატჩი თბილისელ და ბაქოელ მოჭადრაკეებს შორის, რომელიც მასპინძლებმა მოიგეს – 10:6.

**1930**. ვ. გოგლიძემ საკვალიფიკაციო მატჩში სძლია მოსკოველ ოსტატ ვ. ნენაროკოვს – 7:4 და ქართველთაგან პირველმა მიიღო სპორტის ოსტატის წოდება ჭადრაკში.

აბასთუმნის საჭადრაკო სექციამ მოაწყო საჭადრაკო კომპოზიციაში პირველი საკავშირო კონკურსი. იგი 1933 წელსაც გაიმართა.

**1931**. ვ. გოგლიძემ და ნ. სოროკინმა პირველად მიიღეს მონაწილეობა სსრ კავშირის ჩემპიონატის ფინალში.

**1932**. „სპუტნიკ შახმატისტა" გვამცნობს, რომ ამ დროს თბილისში ფუნქციონირებს ამიერკავკასიის ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოსთან არსებული საჭადრაკო-სამაშო სექტორი, (თავმჯდომარე – ს. ბარქაია, მდივანი – ა. პეტროკოვსკი), საქართველოს გაერთიანებული საჭადრაკო-სამაშო სექტორი (თავმჯდომარე – ვოლსკი).

საჭადრაკო ბიურო არსებობდა აბასთუმანში, რომელსაც მეძმარიაშვილი ხელმძღვანელობდა.

**1933**. ამიერკავკასიის ვაჟ მოჭადრაკეთა მესამე ჩემპიონატში პირველი სამი ადგილი თბილისელებმა სოროკინმა, კასპარიანმა და გოგლიძემ დაიკავეს.

**1934**. თბილისში გაიმართა ახალგაზრდა საბჭოთა ოსტატთა ტურნირი ავსტრიელი ოსტატის ჰ. კმოხის მონაწილეობით. გაიმარჯვა ვ. გოგლიძემ.

**1935**. ვ. გოგლიძემ მონაწილეობა მიიღო მოსკოვის მეორე საერთაშორისო ტურნირში, რომელშიც თამაშობდნენ ე. ლასკერი, კაპაბლანკა, მ. ბოტვინიკი, ს. ფლორი და სხვ.

გაიმართა საქართველოს ქალთა პირველი ჩემპიონატი, გაიმარჯვა ფ. კაცმა (ბათუმი).

**1936**. საქართველოს ჭადრაკის სექციის თავმჯდომარედ აირჩიეს ვ. გოგლიძე. 19 დეკემბერს გაიხსნა თბილისის ჭადრაკის კლუბი (რუსთაველის გამზ. № 48).

**1937**. თბილისმა პირველად უმასპინძლა სსრ კავშირის ვაჟთა (X) ჩემპიონატს. მონაწილეობდნენ ვ. გოგლიძე და ა. ებრალიძე.

**1938**. კოტე ლამბარაშვილის ინიციატივით გაზეთმა „ფიზკულტურელმა" გამოსცა სპეციალური დამატება „ჭადრაკი და შაში". გამოვიდა ოთხი ნომერი.

**1939**. ვ. გოგლიძე მონაწილეობდა საერთაშორისო ტურნირში (ლენინგრადი, მოსკოვი).

ქუთაისში პირველად მოეწყო საქართველოს ვაჟთა (III) ჩემპიონატი. გაიმარჯვა ა. ებრალიძემ.

**1940**. გამოვიდა ა. ებრალიძის მიერ თარგმნილი მ. ეივეს „ჭადრაკის ლექციების კურსი".

**1941**. თბილისში პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეში გაიხსნა ჭადრაკის კაბინეტი, სადაც მერე ვ. ქარსელაძის ხელმძღვანელობით შეიქმნა სახელგანთქმული ქალთა საჭადრაკო სკოლა.

ვ. გოგლიძეს მიენიჭა სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება.

საქართველოს ვაჟთა (IV) ჩემპიონატში გაიმარჯვა ა. ებრალიძემ, რომელსაც საქართველოში მეორეს სპორტის ოსტატის წოდება მიეკუთვნა.

**1942**. თბილისში მოეწყო ოსტატთა მატჩ-ტურნირი, რომელიც დიდოსტატმა ს. ფლორმა მოიგო.

**1943** ———

**1944**. განახლდა საქართველოს ვაჟთა (V) ჩემპიონატი.

**1945**. საქართველოს ვაჟთა (VI) ჩემპიონატში პირველად გაიმარჯვა მომავალმა მსოფლიო ჩემპიონმა ტ. პეტროსიანმა.

განახლდა საქართველოს ქალთა (VII) ჩემპიონატი. პირველი იყო ვ. ზარგარიანი.

**1946**. პირველად საქართველოში ვაჟთა ჩემპიონატში მონაწილეობდა დიდოსტატი – პ. კერესი, რომელმაც პირველობა არავის დაუთმო.

**1947**. საქართველოს ქალთა ჩემპიონატში პირველი-მეორე ადგილები გაიყვეს ქ. გოგიავამ და ლ. გელოვანმა.

**1948**. პირველად საქართველოს ვაჟთა ნაკრებმა მონაწილეობა მიიღო სსრ კავშირის გუნდურ ჩემპიონატში (ლენინგრადი).

თბილისმა უმასპინძლა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ტრადიციულ (VI) ჩემპიონატს. პირველი ადგილი ხვდა ვ. მაკოგონოვს.

**1949**. გამოიცა ვიქტორ გოგლიძის წიგნი „რჩეული პარტიები".

**1950**. „ლელოს" ინიციატივით საქართველოში საფუძველი ჩაეყარა ეტიუდების შედგენაში საკავშირო და საერთაშორისო კონკურსების გამართვას.

**1951**. თბილისში მოეწყო ოსტატთა ტურნირი, რომელშიც მ. შიშოვმა სპორტის ოსტატის წოდება მოიპოვა.

**1952**. გამოიცა გ. ნადარეიშვილის „საჭადრაკო ეტიუდები" – საჭადრაკო კომპოზიციაში პირველი წიგნი ქართულ ენაზე.

**1953**. პირველად ქართველმა მოჭადრაკეებმა ქ. გოგიავამ და ე. კაკაბაძემ მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის ქალთა ჩემპიონატის ფინალში.

**1954**. გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტმა" 1954-58 წლებში ეტიუდების შედგენის ხუთი საკავშირო კონკურსი გამართა.

**1955**. სპორტის ოსტატის წოდება მიიღო ბ. გურგენიძემ.

**1956**. ნ. გაფრინდაშვილი პირველად გახდა თბილისისა და საქართველოს ჩემპიონი.

**1957**. გაიხსნა თბილისის ბავშვთა სპეციალიზებული საჭადრაკო სკოლა, რომელიც დღეს მისი დამაარსებლის ვ. გოგლიძის სახელს ატარებს.

**1958**. ბუხუტი გურგენიძემ წამატებით იასპარეზა საბჭოთა კავშირის ვაჟთა ჩემპიონატში (VII-VIII ადგილი), ქვეყნის ნაკრების შემადგენლობაში მეორედ გაიმარჯვა სტუდენტთა მსოფლიო ჩემპიონატში.



**1959**. პირველად საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატში მონაწილეობა მიიღო მოჭადრაკე ქალმა (ნ. გაფრინდაშვილი).

საქართველოს ნაკრები პირველად მონაწილეობდა სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე მოსკოვში.

**1960**. თბილისში გაიმართა საქართველოს ქალთა პირველი საერთაშორისო ტურნირი (I. ლ. ვოლპერტი, II. ნ. გაფრინდაშვილი). მოეწყო აგრეთვე საქართველო-რუმინეთის მოჭადრაკეთა პირველი საერთაშორისო მატჩი.

**1961**. ნ. გაფრინდაშვილმა გაიმარჯვა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ტურნირში (ვრნიაჩკა-ბანია).

საქართველოს ნაკრები პირველად გაემგზავრა საზღვარგარეთ (რუმინეთში) საერთაშორისო მატჩის სათამაშოდ.

თბილისში პირველად ჩამოვიდა მსოფლიო ჩემპიონი (მ. ბოტვინიკი).

**1962**. მოსკოვში შედგა მსოფლიო პირველობის მატჩი ე. ბიკოვასა და ნ. გაფრინდაშვილს შორის. გაიმარჯვა ნ. გაფრინდაშვილმა – 9:2 და მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული.



**1963**. ნ. გაფრინდაშვილის პირველი მონაწილეობა საზღვარგარეთის (ჰოლანდია) საერთაშორისო ტურნირში (შედეგი 9-დან 9 ქულა).

იგი პირველად თავკაცობდა სსრ კავშირის ნაკრებ გუნდს მსოფლიოს ქალთა საჭადრაკო ოლიმპიადაზე ჰოლანდიაში.

**1964**. თბილისში გამართულ სსრ კავშირის ქალთა ჩემპიონატში ნ. გაფრინდაშვილმა პირველად მოიპოვა ჩემპიონის ოქროს მედალი.

**1965**. თბილისმა უმასპინძლა საქართველოს ვაჟთა პირველ საერთაშორისო ტურნირს (I. ბ. გურგენიძე) და მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მატჩს მ. ტალსა და ბ. სპასკის შორის.

რიგაში ნ. გაფრინდაშვილმა მეორედ მოიგო მსოფლიო პირველობის მატჩი (ა. კუშნირთან).

პირველად გამოიცა თენგიზ გიორგაძის „ჭადრაკის ანბანი".

ეროვნული ბიბლიოთეკა

მატიანე

# საუკუნის მაჯისცემა



**1966**. ნ. გაფრინდაშვილმა ობერჰაუზენის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე ოქროს მედალი მოიპოვა.

ბათუმში გაიმართა საქართველოს ვაჟთა მეორე საერთაშორისო ტურნირი.

**1967**. თბილისში გაიმართა სსრ კავშირის ვაჟთა ჩემპიონატი.

**1968**. გორმა უმასპინძლა ვ. ქარსელაძის პირველ მემორიალს (I. მ. ტალი).

საქართველოს ტელევიზიაში მოეწყო ტელესაჭადრაკო ჟურნალის „სამორინეს" პირველი გადაცემა.



**1969**. მოსკოვში ნ. გაფრინდაშვილმა მესამედ მოიგო (ა. კუშნირთან) მატჩი მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის.

ნ. ალექსანდრიამ პირველად გაიმარჯვა სსრ კავშირის ქალთა ჩემპიონატში, რომელიც გორში მოეწყო.

ლიუბლინში ნ. გაფრინდაშვილი და ნ. ალექსანდრია მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის ოქროს მედლებით დაჯილდოვდნენ.

**1970**. ბ. გურგენიძის პირველს ქართველებს შორის მიენიჭა საერთაშორისო დიდოსტატის წოდება.

ფოთმა პირველად უმასპინძლა საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატს (I. მ. ტალი).

**1971**. თბილისში გაიმართა ვ. გოგლიძის მეორე მემორიალი.

**1972**. ნ. გაფრინდაშვილმა მესამედ დაამარცხა ა კუშნირი მატჩში მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის, ხოლო შემდეგ სკოპლეში მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის ოქროს მედალი დაიმსახურა.

**1973**. 14 აპრილს საზეიმოდ გაიხსნა თბილისის რესპუბლიკური ჭადრაკის სასახლე.

ტელეჟურნალმა „სამორინემ" 28 იანვარს გამართა ნ. გაფრინდაშვილის ერთდროული თამაშის სეანსი საათებით თბილისის 8 უძლიერეს მოჭადრაკე გოგონათ შორის, რომელთა შორის იყვნენ მ. ჩიბურდანიძე, ნ. გურიელი, მ. წერეთელი, მ. თანდაშვილი და სხვა.

**1974**. ნ. გაფრინდაშვილმა და ნ. ალექსანდრიამ მედელინის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე ოქროს მედლები მოიპოვეს.

**1975**. ბიჭვინთასა და თბილისში გაიმართა მატჩი მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის ნ. გაფრინდაშვილსა და ნ. ალექსანდრიას შორის, რომელიც პირველმა მოიგო. ამ წარმატებისთვის ნ. გაფრინდაშვილს პირველს მიენიჭა სსრ კავშირის ქალთა დიდოსტატის წოდება.

თბილისში გაიმართა საჭადრაკო კომპოზიტორთა მსოფლიო კონგრესი.

**1976**. ფიდე-მ შემოიღო საერთაშორისო დიდოსტატის წოდება ქალთა შორის. იგი პირველებმა მიიღეს ნ. გაფრინდაშვილმა და ნ. ალექსანდრიამ.

დ. გურგენიძის და ვ. კალანდაძის კოლექტიურმა ეტიუდმა ოლიმპიურ კონკურსში (ისრაელი) I პრიზი დაიმსახურა.

**1977**. თბილისში, საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურისა და სპორტის ინსტიტუტში გაიხსნა ჭადრაკის სპეციალიზაცია, რომლის პირველი სტუდენტები იყვნენ ზ. აზმაიფარაშვილი, ი. ეფიმოვი და სხვ.



მ. ჩიბურდანიძემ პირველად მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონის ტიტული.



**1978**. ბუენოს-აირესის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე ოქროს მედლები მოიპოვეს მ. ჩიბურდანიძემ, ნ. გაფრინდაშვილმა, ნ. ალექსანდრიამ.

ბიჭვინთაში გაიმართა მსოფლიო პირველობის მატჩი ნ. გაფრინდაშვილსა და მ. ჩიბურდანიძეს შორის, რომელიც ჩიბურდანიძემ მოიგო.

ფიდე-მ ნ. გაფრინდაშვილს პირველს ქალთა შორის მიანიჭა საერთაშორისო დიდოსტატის წოდება ვაჟთა შორის.

თბილისმა უმასპინძლა სსრ კავშირის ვაჟთა ჩემპიონატს, რომელშიც თამაზ გიორგაძემ მეოთხე ადგილი დაიკავა.

**1979**. თბილისში გაიმართა სსრ კავშირის ქალთა ჩემპიონატი.

**1980**. მსოფლიო ქალთა საჭადრაკო ოლიმპიადაზე მალტაში გაიმარჯვა სსრ კავშირის ნაკრებმა, რომელიც მთლიანად ქართველი მოჭადრაკეებისგან (მ. ჩიბურდანიძე, ნ. გაფრინდაშვილი, ნ. ალექსანდრია, ნ. იოსელიანი) შედგებოდა.

**1981**. ბორჯომში შედგა მსოფლიო პირველობის მატჩი მ. ჩიბურდანიძესა და ნ. ალექსანდრიას შორის (დამთავრდა ანგარიშით 8:8).

სსრ კავშირის ქალთა ჩემპიონატში პირველი სამი ადგილი დაიკავეს ქართველმა მოჭადრაკეებმა (I-II, ნ. გაფრინდაშვილი, ნ. იოსელიანი, III. თ. ხმიადაშვილი).

ეტიუდისტს გ. ნადარეიშვილს ქართველ შემოქმედთა შორის პირველს მიენიჭა საერთაშორისო დიდოსტატის წოდება საჭადრაკო კომპოზიციაში.

**1982**. ქართველი მოჭადრაკეთაგან (მ. ჩიბურდანიძე, ნ. გაფრინდაშვილი, ნ. ალექსანდრია, ნ. იოსელიანი) შემდგარმა სსრ კავშირის ნაკრებმა ლუცერნში გაიმარჯვა მსოფიოს ქალთა საჭადრაკო ოლიმპიადაში.



ნ. იოსელიანმა გაიმარჯვა ტალინში სსრ კავშირის ქალთა ჩემპიონატში.

ნ. გაფრინდაშვილი დაჯილდოვდა ჭადრაკის პირველი „ოსკარით".

**1983**. ნ. გაფრინდაშვილმა მეოთხედ მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონის ტიტული.

ზ. აზმაიფარაშვილმა სსრკ ნაკრების შემადგენლობაში გაიმარჯვა ახალგაზრდების მსოფლიო გუნდურ ჩემპიონატში.

**1984**. მ. ჩიბურდანიძემ ვოლგოგრადში მსოფლიო ჩემპიონის – სახელისთვის მატჩში სძლია ი. ლევიტინას.

დაარსდა პირველი ქართული საჭადრაკო გაზეთი „მერანი".

მ. ჩიბურდანიძეს მეორეს ქართველ ქალთაგანს ფიდე-მ მიანიჭა საერთაშორისო დიდოსტატის წოდება ვაჟთა შორის.

საერთაშორისო დიდოსტატის წოდება საჭადრაკო კომპოზიციაში ი. კრიხელს (გორი) მიეკუთვნა.

მ. ჩიბურდანიძეს პირველად გადაეცა ჭადრაკის „ოსკარი", რომელიც შემდგომ კიდევ სამჯერ (1985, 1986, 1987 წწ) მიიღო. სალონიკის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე ოქროს მედლები გადაეცათ მ. ჩიბურდანიძეს და ნ. გაფრინდაშვილს.

**1985**. ნ. გაფრინდაშვილმა მეხუთედ მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება.

**1986**. სოფიასა და ბორჯომში გაიმართა მსოფლიო პირველობის მატჩი მ. ჩიბურდანიძესა და ე. ახმილოვსკაიას შორის, რომელიც ქართველმა დიდოსტატმა მოიგო.

„ქართულმა ფილმა" გადაიღო პირველი მხატვრული ფილმი ჭადრაკის თემაზე – „ფარანი ქარში" (რეჟისორი ნ. ომიაძე), იგი ვ. ქარსელაძის ცხოვრება-მოღვაწეობას მიეძღვნა.

დუბაის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე კვლავ ოქრო მოიპოვეს მ. ჩიბურდანიძემ, ნ. გაფრინდაშვილმა და ნ. ალექსანდარიამ.

**1987**. ნ. იოსელიანი მეოთხედ დაეუფლა სსრ კავშირის ჩემპიონის სახელს.

**1988**. თელავმა უმასპინძლა მსოფლიო პირველობის მატჩს მ. ჩიბურდანიძესა და ნ. იოსელიანს შორის. გაიმარჯვა მ. ჩიბურდანიძემ.

ზ. აზმაიფარაშვილს საერთაშორისო დიდოსტატის წოდება მიენიჭა.

**1989**. საჭადარკო კომპოზიციაში საერთაშორისო დიდოსტატის წოდება მიეკუთვნა ეტიუდისტ დ. გურგენიძეს.

**1990**. სსრ კავშირის ქალთა უკანასკნელ ჩემპიონატში გამარჯვებულის ოქროს მედალი ქ. არახამიას გადაეცა.

**1991**. გაიმართა ნ. გაფრინდაშვილის საიუბილეო ტურნირი, რომელშიც პირველი-მეორე ადგილები გაიყვეს გ. გიორგაძემ და ზ. სტურუამ, მესამე მ. ჩიბურდანიძე იყო.

მ. ჩიბურდანიძემ დაკარგა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული პრეტენდენტ სე ცზიუნთან მატჩში.

შოთა ინწკირველს მიენიჭა საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება.

**1992**. საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია მიღებულ იქნა ფიდე-ში. საქართველოს ვაჟთა და ქალთა ნაკრებმა დამოუკიდებელი, სუვერენული საქართველოს სახელით პირველად მიიღეს მონაწილეობა მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადაში. მოჭადრაკე ქალებმა (ჩიბურდანიძე, გაფრინდაშვილი, იოსელიანი, გურიელი, კაპიტანი ალექსანდრია) ოლიმპიადის ჩემპიონის მედლები მოიპოვეს, ვაჟთა ნაკრებმა კი მერვე ადგილი დაიკავა.



**1993**. ჟუჟა პოლგართან გამარჯვების შემდეგ ნ. იოსელიანი მატჩში შეხვდა მსოფლიო ჩემპიონს სე ცზიუნს, მაგრამ დამარცხდა.

**1994**. საქართველოს ქალთა ნაკრებმა (ჩიბურდანიძე, იოსელიანი, არახამია, გურიელი, კაპიტანი ალექსანდრია) მოსკოვში გამართულ მსოფლიოს ქალთა საჭადრაკო ოლიმპიადაზე კვლავ მოიპოვეს ოლიმპიადის ჩემპიონის სახელი. ვაჟთა გუნდმა მეათე ადგილი დაიკავა.

**1995**. გამოვიდა თენგიზ გიორგაძის „ქართული ჭადრაკის მატიანეს" სამტომეულის პირველი წიგნი.




**1996**. ერევანში გამართულ მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაში საქართველოს ქალთა ნაკრებმა (ჩიბურდანიძე, იოსელიანი, არახამია, გურიელი, კაპიტანი ნ. ალექსანდრია) მესამედ გაიმარჯვა. ვაჟთა ნაკრებმა მერვე ადგილი დაიკავა. გია გიორგაძემ მეორე დაფაზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.



**1997**. საჭადრაკო კომპოზიციაში პირველ მსოფლიო ჩემპიონატში ეტიუდისტთა შორის გაიმარჯვა ქართველმა შემოქმედმა დავით გურგენიძემ.

დაარსდა პირველი ქართული საჭადრაკო ჟურნალი „ჭადრაკის სამყარო".

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტის ვაჟა შუბლაძის ინიციატივით ფიდე-მ შემოიღო ნ. გაფრინდაშვილის სახელობის თასი მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე, ქვეყნისთვის, რომლის ვაჟთა და ქალთა გუნდი ქულათა ჯამით პირველ ადგილს დაიკავებს.



**1998**. ელისტაში (ყალმუხეთი) მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადაზე საქართველოს ქალთა ნაკრებმა მესამე ადგილი დაიკავა, ვაჟთა ნაკრებმა მეშვიდე.

ზურაბ აზმაიფარაშვილმა პირველ დაფაზე ბრინჯაოს მედალი მიიღო, ხოლო ზურაბ სტურუამ კი მესამეზე – „ვერცხლი".

ნ. გაფრინდაშვილის თასი რუსეთის მოჭადრაკეებმა მოიპოვეს.



**1999**. ბათუმში გაიხსნა დიდებული ჭადრაკის სასახლე, სადაც გაიმართა ევროპის გუნდური ჩემპნიონატი.

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციამ XX საუკუნის პირველ ქალ სპორტსმენად ნ. გაფრინდაშვილი დაასახელა, პირველ მწვრთნელად – ვ. ქარსელაძე, მეორე გუნდად – საქართველოს ქალთა ოლიმპიური გუნდი, ხოლო ვ. გოგლიძე – მესამე საზოგადო მოღვაწედ.

**2000**. ბათუმის ჭადრაკის სასახლემ უმასპინძლა ევროპის ქალთა პირველ ჩემპიონატს.



საქართველოს ნაკრებმა გუნდებმა წარმატებით იასპარეზეს სტამბოლში მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადაზე. ქალთა ნაკრებმა მეორე ადგილი დაიკავა, ვაჟთა ნაკრებმა – მეექვსე.

ნ. ხურციძე თავის დაფაზე საუკეთესო შედეგი აჩვენა. ნ. იოსელიანმა კი მცირე ბრინჯაოს მედალი მიიღო.

მოამზადა
**თენგიზ გიორგაძემ.**

კომპოზიცია

# ქართული „ჩუქურთმა"

„ქართულ კულტურას მე მივაკუთვნებდი ორნამენტული ტიპის კულტურებს. ისინი გარს ერტყმიან უცხო კულტურის უზარმაზარსა და დასრულებულ სფეროს, მაგრამ მხოლოდ ნაყშს გადმოიღებენ ხოლმე".

ოსიპ მანდელშტამი.

ქართული საჭადრაკო კომპოზიცია დღეს საქვეყნოდაა აღიარებული. მან არცთუ ხანგრძლივი, მაგრამ ღრმაშინაარსიანი გზა განვლო. ჰქონდა მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი მიღწევები, როგორც სპორტული, ასევე შემოქმედებითი.

XX საუკუნის 30-40-იან წლებში სარბიელზე გამოჩნდა კომპოზიტორთა მთელი პლეადა – ალექსანდრე დობორჯგინიძე, კოტე დამბარაშვილი, იოსებ კალანდაძე, შალვა ხვინგია, იოსებ კოტრიკაძე, პავლე ხიზანიშვილი, ოთარ ჯინორია და სხვები. კომპოზიტორთა ეს თაობა ძირითადად მოღვაწეობდა საჭადრაკო ამოცანების შედგენის სფეროში. საჭადრაკო ეტიუდები მათ შემოქმედებაში ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა.

პირველ სერიოზულ წარმატებებს საეტიუდო ხელოვნებაში გია ნადარეიშვილმა მიაღწია. მისი ინიციატივით ორმოცდაათიან წლებში სისტემატურად იმართებოდა კონკურსები. ასპარეზზე გამოდის ეტიუდისტთა მეორე თაობა ველიმირ კალანდაძის, ვაჟა ნეიძის, ელგუჯა კვეზერელის, რევაზ დადუნაშვილის სახით.

სამოცდაათიან წლებში მათ მხარში ამოუდგნენ დავით გურგენიძე, მერაბ გოგბერაშვილი, იური აკობია.

თავიანთ შემოქმედებაში მნიშვნელოვან ადგილს უთმობენ საეტიუდო ხელოვნების პრობლემისტები იოსებ კრიხელი, რევაზ თავარიანი, ჯემალ მახათაძე, ემზარ ჭუმბურიძე, რუზველტ მარცვალაშვილი.

საჭადრაკო კომპოზიტორთა ამ პლეადამ ახალ სიმაღლეზე აიყვანა ქართული საჭადრაკო ეტიუდი, საფუძველი ჩაუყარა ქართული საეტიუდო სკოლის ჩამოყალიბებას, რომელსაც დღეს საკმაოდ მაღალი ავტორიტეტი აქვს საჭადრაკო სამყაროში.

ჩვენი საუკუნე საეტიუდო ხელოვნების აყვავების ხანად ითვლება, მნიშვნელოვანია ქართველ ეტიუდისტთა წვლილი ამ ჟანრის განვითარების საქმეში. გამორჩეული ქართული საეტიუდო სტილი ხიბლავს ყველას, ჩვეულებრივი მოყვარულიდან დაწყებული პროფესიონალ მოჭადრაკეთა ჩათვლით.

ქართველ ავტორთა მრავალი ნაწარმოები გამოირჩევა გრაფიკული „ორნამენტული" სტილით. ასეთი ეტიუდების გაცნობისას ჩვენ განვიცდით სილამაზის ორმაგ ზემოქმედებას: ერთი დაკავშირებულია საჭადრაკო აზრის სიღრმესთან, ბრძოლის დინამიზმთან, მის ლოგიკასთან, ხოლო მეორე ზემოქმედება უფრო ვიზუალურია – ჩვენ ხშირად მოგვწონს და გვიტაცებს ბრძოლის გარეგნული მხარე. თამაშის პროცესში ფიგურები ხშირად აღწერენ განსაკუთრებული სილამაზის გეომეტრიულ ხაზებს, აქ შინაარსის მიმზიდველობას ერწყმის ლამაზი გრაფიკული ფორმები, რომლებიც უდავოდ აძლიერებენ საერთო ესთეტიკურ შთაბეჭდილებას.

გავეცნოთ ქართული „ორნამენტული" სტილის რამდენიმე მაგალითს. № 1 დიაგრამაზე წარმოდგენილია დიდოსტატ გ. ნადარეიშვილის ეტიუდი. ავტორმა მაღალმხატვრულ ფორმაში გამოხატა თეთრი მხედრების შეუღლებული სისტემატური მოძრაობა, რომელსაც მან სიმბოლურად „მხედრული" უწოდა.

გ. ნადარეიშვილი
1958 წ.



ყაიმი

1. მb4 მფa5 2. მc6 მფa4 3. მb6 მფa3 4. მc4 მფa2 5. კf3!! ლ:f3 6. მb4 მფa1 7. მc2 მუდმივი ქიშით.

ორნამენტულმა საეტიუდო იდეებმა განსაკუთრებული გამომსახველობა შეიძინეს ეტლების დაბოლოებაში. ეს გასაგებიცაა, რადგან ეტლი ხაზოვანი ფიგურაა. და, როგორც მასალა, საუკეთესო საშუალებაა სხვადასხვა სისტემატური მოძრაობისა და ორნამენტული ეტიუდების შესაქმნელად. ამ მიმართულებით ქართველ ეტიუდისტებს მნიშვნელოვანი ნაწარმოებები აქვთ შექმნილი. მათ ნამუშევრებს დიდ ადგილს უთმობს მსოფლიო საჭადრაკო გამოცემები.

ვ. კალანდაძე 1973 წ.



თეთრები იგებენ

1. b7 ეc5 2. ეf5 h6 3. მფg4 ეa4! 4. ეf4! h5 5. მფg3 ეc3 6. ეf3! h4 7. მფg2 ეa2 8. ეf2 h3 9. მფg1 ე5f2 10. მფf2 h2 11. b8ლ h1ლ 12. ლb1 ეc1 13. ლd3 !

განვიხილოთ ამ მიმართულების კიდევ ერთი ნაწარმოები (იხ. დიაგრამა № 3) მძიმე ფიგურების სისტემატური შეწირვები ხორციელდება მრისხანე ჩ2 პაიკის დასამუხრუჭებლად.

ვ. კალანდაძე 1979 წ.



თეთრები იგებენ

1. მფh3 ეh4 2. მფh4 ეb1!! 3. ეa2! მფa2 4. ეc2 ეb2 5. ეc1 ეb1 6. ეh1!! ეh1 7. h8ლ ეg1 8. ლa8 მფb2 9. ლh1!! ეh1 10. b7

სისტემატური მოძრაობის კიდევ ერთ საინტერესო სახეს გვთავაზობს დიდოსტატი დავით გურგენიძე.

დ. გურგენიძე 1982 წ.



თეთრები იგებენ

1. b7 ეh3 2. მფf2 ეa2 3. მფg1 ეg3 4. მფf1 ეf3 5. მფe1 ეe3 6. მფd1 ეd3 7. მფc1 ეc3 8. მფb1 ეc2 9. b8 ლ მფ:b7 10. ლb3! მოგებით.

მეტად საინტერესო ეტიუდი შექმნა პრობლემისტმა რ. თავარიანმა.

რ. თავარიანი 1991 წ.



ყაიმი

1. ეg3 მფc4 2. ეg4 მფf3 3. ეg3 მფf4 4. ეc3 ეd1 5. მფc8!! c1ლ 6. კg3! მფg4 7. ეc1 ეc1 8. კc7 ყაიმი.

მოხდენილი მინიატურაა, ლამაზი, ჰარმონიული თამაშით.

ქართველ ეტიუდისტთა მრავალი ნაწარმოები გამოირჩევა კლასიკური „ქორეოგრაფიული" შესრულებითა და დახვეწილობით. დ. გურგენიძის ეტიუდში წარმოდგენილია სისტემატური მოძრაობის მეტად საინტერესო სახე. პირველ ნაწილში ნაჩვენებია თეთრი მეფის და შავი ეტლის „პა-დე-დე", ხოლო მეორე ნაწილში ორი თეთრი ფიგურისა და შავი ეტლის „პა-დე-ტრუა".

დ. გურგენიძე 1977 წ.



თეთრები იგებენ

1. h8ლ ეc1 2. მფd8 ეd1 3. მფe8 ეe1 4. მფf8 ეf1 5. მფg8 ეb1 6. ეf2 ეg1 7. მფf8 ეb1 8. ეe2 ეf1 9. მფe8 ეb1 10. ეg2 ეe1 11. მფd8 ეb1 11. ეc2 ეd1 13. მფc8 ეb1 14. ლe5

გამორჩეული ქართული საეტიუდო სკოლა შექმნილია რამდენიმე თაობის კომპოზიტორთა თავდადებული და ნაყოფიერი შრომის შედეგად და ამ ტრადიციის შენარჩუნებას მომავალშიც დიდი თავდადება, აგრეთვე მოფრთხილება სჭირდება.



ველიმირ კალანდაძე,
საერთაშორისო ოსტატი.

პორტრეტი

# სიკეთე მარადიულია

ქართული ჭადრაკის წინსვლის წინაპირობა ყოველთვის იყო ცალკეული პიროვნებების უშურველი ზრუნვა მასზე.

ბევრი მათგანი ქართული ჭადრაკის დიდი გამარჯვებების უხილავი თანაავტორი იყო. მსგავსი ადამიანები, საბედნიეროდ, დღესაც არიან.

„ლაზიერის" მკითხველების სახელით ახალი წელი გვინდა მივულოცოთ კახი ჩიგოგიძეს, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ვიცეპრეზიდენტს, საქართველოს ვაჟთა ოლიმპიური გუნდის კაპიტანს.

ბავშვობაში შოთა ინწკირველის ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი და იმედისმომცემი მოსწავლე იყო. სხვა თანატოლებისგან განსხვა-



ვებით, უფრო პოზიციური თამაში იზიდავდა. მოსწავლეთა შორის საქართველოს ჩემპიონი, სტუდენტობისას რამდენჯერმე მონაწილეობდა საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატის ფინალში. მოგვიანებით, მას იმდროინდელი მიღწევებისათვის ეროვნული ოსტატის წოდება მიენიჭა.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ კახი ჩიგოგიძე სპეციალობით მუშაობს, დღეს კი ერთ-ერთი საწარმოს ხელმძღვანელია და ჭადრაკის ფედერაციაში საზოგადოებრივ საწყისებზეა.

კახი ჩიგოგიძე ბევრი კარგი საქმის სულისჩამდგმელია. მისი ინიციატივით შარშან სოროსის ფონდმა სხვადასხვა საჭადრაკო სკოლას ცხრა კომპიუტერი გამოეყო. „ლაზიერის" გამოშვებაშიც მას ლომის წილი მიუძღვის.

მომავალ წელს ჭადრაკის მოყვარულები მიიღებენ შოთა ინწკირველის წიგნს, მიძღვნილს არჩილ ებრალიძისადმი. კახი ჩიგოგიძე მკითხველის სამსჯავროზე გამოიტანს შოთა ინწკირველის მრავალწლიან ნაშრომს. შოთა ინწკირველმა არჩილ ებრალიძის ღვაწლი არ დაივიწყა, კახი ჩიგოგიძემ თავისი მასწავლებლის შრომას სცა პატივი.

თაობათა კავშირი არ დარღვეულა. სიკეთე მარადიულია.

გივი დავითაია.

გამოცემა




# 2000 წლის მიწურულს

სასიამოვნო სიურპრიზი შემოგვთავაზა დიდოსტატმა **ლაშა ჯანჯღავამ.**

საჭადრაკო პუბლიკაციების ინგლისურმა კომპანიამ ლონდონში გამოსცა ქართველი დიდოსტატის თეორიული ნაშრომი „ლაზიერის გამბიტი და კატალონიური დაცვა შავებისთვის".

დღემდე ასეთი ნაშრომი საქართველოში არცერთ მოჭადრაკეს არ შეუქმნია. საჭადრაკო სამყაროში ლაშა ჯანჯღავას სადებიუტო ერუდიცია საყოველთაოდ ცნობილია და ამიტომ მისი წიგნი დიდ ინტერესს იწვევს.

მომავალი წლისთვის ამავე გამომცემლობამ ლაშა ჯანჯღავას ახალი წიგნი შეუკვეთა.

ნანა სალუქვაძე.

ლაზიერი GCF
სარედაქციო კოლეგია: დავით გურგენიძე (რედაქტორი), ზურაბ აზმაიფარაშვილი, ნანა ალექსანდრია, ანზორ ბასილაია, გივი გამრეკელი, ნონა გაფრინდაშვილი, თენგიზ გიორგაძე, ბუხუტი გურგენიძე, ველიმირ კალანდაძე, გიორგი მახარაძე, კახა ჩიგოგიძე.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

# საინფორმაციო მოზაიკა
## BBC, CNN, საქინფორმი.

### პალესტინა-ისრაელის სამიტი ჩაიშალა

ეგვიპტის მთავრობის წარმომადგენლები იუწყებიან, რომ ხუთშაბათს დანიშნული არაფატ-ბარაკის შეხვედრა გადაიდო. მაგრამ პალესტინელთა ლიდერი და ეგვიპტის პრეზიდენტი ჰოსნი მუბარაკი მაინც შეხვდნენ ერთმანეთს კონფლიქტის მოსაგვარებელი უკანასკნელი ნაბიჯების განსახილველად. ისრაელის წარმომადგენლის თქმით, ეჰუდ ბარაკი არ წავიდა სამიტზე, მაგრამ ტელეფონით იმსჯელა სიტუაციაზე მუბარაკთან ერთად.

### ასამართლებენ კოლეგების მკვლელს

ამერიკის მასაჩუსეტსის შტატის სასამართლოს წინაშე წარსდგა 42 წლის მაიკლ მაკდერმოტი, რომელსაც ბრალად ედება იმ ინტერნეტ-კომპანიის შვიდი თანამშრომლის მკვლელობა, სადაც თვითონ მუშაობდა. განსასჯელი სასამართლოში მიიყვანეს ტყვიაგაუმტარი ჟილეტით და შეიარაღებული პოლიციის მრავალრიცხოვანი დაცვით.



სამშაბათს იგი კომპანიის შენობაში შეიჭრა და კოლეგებს დაუშინა ავტომატის, კარაბინისა და პისტოლეტის ცეცხლი. როგორც ამბობენ, იგი განრისხებული იყო იმით, რომ საგადასახადო სამმართველომ ხელფასიდან დაუკავა საშემოსავლო. მაკდერმოტის ადვოკატმა თქვა, რომ მისი კლიენტი ფსიქიატრიულ მკურნალობას გადის. სასამართლომ განსასჯელი გირაოთი არ გაათავისუფლა და მოსმენა ერთი თვით გადადო.

### რუსეთის ჰიმნს საახალწლოდ დაამტკიცებენ

რუსეთის ფედერაციის ჰიმნის პროექტის განმხილველმა სამუშაო ჯგუფმა პრეზიდენტს რეკომენდაცია მისცა, დაამტკიცოს მიხალკოვისეული რედაქციის ტექსტი. რუსეთის ჰიმნის ახალი – ოდნავ შეცვლილი – მუსიკალური ვერსია უკვე გაისმა „რუსეთის რადიოს“ შუაღამის ეთერში და ამიერიდან ყოველდღე შესრულდება.

### თანამგზავრების ცვენაა

რუსეთის სახმელეთო პუნქტები ეძებენ ექვს კავშირის თანამგზავრს, რომლებიც ოთხშაბათ საღამოს გაუშვეს პლესეცკის კოსმოდრომიდან „პროტონ-3“ რაკეტამატარებლით. როგორც სპეციალისტები ამბობენ, თანამგზავრები ვერ გავიდნენ გაანგარიშებულ ორბიტაზე და, შესაძლოა, ისინი დედამიწაზე ჩამოცვივდეს. ექვსიდან სამი თანამგზავრი განკუთვნილი იყო სამოქალაქო კავშირისათვის, კიდევ სამი – რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ამოცანებისათვის.



### პრეზიდენტი პარლამენტს ითხოვს

მოლდავეთის პრეზიდენტმა პეტრე ლუჩინსკიმ გამოაცხადა, რომ იანვარში დაითხოვს პარლამენტს და 25 თებერვლისათვის დანიშნავს ახალ საპარლამენტო არჩევნებს. ეს განცხადება გაკეთდა მას შემდეგ, რაც სამშაბათს რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ პრეზიდენტს უფლება აქვს, დაითხოვოს პარლამენტი, ვინაიდან მან უკვე სამგზის ვერ აირჩია პრეზიდენტი. მეოთხე ცდის დროს მემარჯვენე-ცენტრისტული ფრაქციების დეპუტატებმა ბოიკოტი გამოუცხადეს პარლამენტის სხდომას, რათა მოეხსნევინებინათ კომუნისტთა პარტიის პირველი მდივნის ვლადიმერ ვორონინის კანდიდატურა. სასამართლომ გადაწყვიტა, რომ დეპუტატებს არა აქვთ უფლება, ბოიკოტი გამოუცხადონ პარლამენტის სხდომას პოლიტიკური მოტივით, და დადგენილ ვადაში უნდა დაასრულონ არჩევნები.

### პრეზიდენტი მხარს უჭერს ოპოზიციურ ჟურნალისტებს

ჩეხეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ტელეკომპანიაში გრძელდება დაპირისპირება ჟურნალისტთა ჯგუფსა და ტელევიზიის ახალ უფროსს შორის. ჟურნალისტებმა დაბლოკეს ახალი ამბების განყოფილება: ისინი ამტკიცებენ, რომ ირჟი ხოდაჩის დანიშვნა პოლიტიკური მოსაზრებებით არის ნაკარნახევი. გუშინ ტელემაყურებლებმა სახელმწიფო ტელეარხის ჩართვისას ეკრანზე დაინახეს ახალი ბოსის წერილობითი მიმართვა. ამავე დროს, ქვეყნის პრეზიდენტმა ვაცლავ ჰაველმა და მმართველი პარტიის პოლიტიკურმა მოღვაწეებმა თავიანთი ხმა შეუერთეს ოპოზიციონერ ჟურნალისტებს და მოუწოდეს ირჟი ხოდაჩს, დატოვოს თანამდებობა. მაგრამ ხოდაჩმა უარყო ბრალდებები და მოითხოვა, რომ პოლიციამ გაიყვანოს მეამბოხე ჟურნალისტები შენობიდან.

### ვლადიმიროს გრიმი ვერ უშველის

პერუს ხელისუფლებმა განკარგულება გასცეს, შექმნან ინტერნეტში საიტი, რომელშიც იქნება ინფორმაცია დაზვერვის ყოფილი მეთაურის ვლა-




დიმირო მონტესინოსის შესახებ. მონტესინოსი გასული წლის ოქტომბრიდან იმალება. იგი თანამდებობიდან მოიხსნა მექრთამეობის სკანდალის გამო, რომელსაც საბოლოოდ შედეგად მოჰყვა ქვეყნის პრეზიდენტის ალბერტო ფუხიმორის გადადგომა. ახალ საიტზე მოცემულია მონტესინოსის ფსიქოლოგიური პორტრეტი და მისი კომპიუტერული გამოსახულება, რომელიც ითვალისწინებს დაზვერვის ყოფილი შეფის გარეგნობის შესაძლო ცვლილებებს.

### ვიეტნამი ზნეობის სიწმინდეს იცავს

ვიეტნამის ხელისუფლებმა გაანადგურეს ექვსი ტონა წიგნები, ვიდეო და აუდიო კასეტები, აგრეთვე, კომპაქტ-დისკები, რომლებსაც კულტურული საწამლავი უწოდეს. ძირითადად, ეს არის პორნოგრაფიული შინაარსის წიგნები და კასეტები, რომელთა უმეტესი ნაწილი, ადგილობრივ ხელისუფალთა მტკიცებით, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკიდან არის შემოტანილი. როგორც ბი-ბი-სის კორესპონდენტი იუწყება, ვიეტნამის კომუნისტური მმართველობა მკაცრ კონტროლს უწევს ქვეყნის კულტურულ ცხოვრებას: მუსიკოსებიც კი, საჯაროდ გამოსვლის წინ, მოვალენი არიან, გაიარონ გასაუბრება სპეციალურ კომისიაში.

## ამერიკა დანარჩენი მსოფლიოს წინააღმდეგ?

შეერთებულ შტატებსა და მის ძირითად სავაჭრო პარტნიორებს შორის მორიგმა სავაჭრო კონფლიქტმა იფეთქა. იგი გამოწვეულია ამერიკის ახალი წესებით, რომლებიც ეხება ანტიდემპინგურ ჯარიმებს, აშშ რომ აკისრებს უცხოეთის ფირმებს, რომლებსაც წაასწრებენ ამერიკელი მწარმოებლების წინააღმდეგ უპატიოსნო კონკურენციაში.

როგორც ბი-ბი-სის აცნობა ევროპის კავშირის სავაჭრო რწმუნებულმა პასკალ ლამიმ, მსოფლიოს რვა წამყვანი სავაჭრო სახელმწიფოს უპრეცედენტო კოალიციამ უჩივლა შეერთებულ შტატებს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში, რომელიც მთავარი არბიტრია ასეთ საქმეებში.

კონფლიქტი გამოიწვია აშშ ანტიდემპინგური კანონმდებლობის ბერდისეულმა შესწორებამ, რომელიც პრეზიდენტმა კლინტონმა დაამტკიცა შობის წინ. იგი ამერიკის მთავრობას ნებას რთავს, გაუნაწილოს ჯარიმებისაგან ამონაგები თანხა ამერიკის კომპანიებს, რომლებიც დემპინგმა დააზარალა (აქ იგულისხმება ჯარიმები, რომელსაც ვაშინგტონი აკისრებს თავისი პროდუქციის ნაკლებ ფასად გამსაღებელ უცხოელ მწარმოებლებს).

ევროკავშირის სავაჭრო რწმუნებულის პასკალ ლამის თქმით, ეს შესწორება არღვევს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წესებს და იწვევს იმას, რომ ამერიკის კომპანიები სარჩელებს აღძრავენ უცხოელი მწარმოებლების წინააღმდეგ უბრალოდ იმისათვის, რომ მიიღონ დამატებითი სახსრები.

ევროკავშირის გარდა, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში საჩივრები შეიტანეს სხვა ისეთმა სახელმწიფოებმაც, როგორიცაა იაპონია, სამხრეთი კორეა, ბრაზილია, ინდოეთი, ტაილანდი, ავსტრალია და ჩილე. ისინი ვარაუდობენ, რომ ახალი ამერიკული წესები სხვა არა არის რა, თუ არა ადგილობრივი მწარმოებლებისათვის განკუთვნილი სახელმწიფო სუბსიდიები.



ლამი: ეს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წესების დარღვევაა.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციამ ვაშინგტონს მისცა ორი თვე განსჯისა და უკან დახევისათვის, წერს დასასრულ **მარკ გრეგორი, ბი-ბი-სის მიმომხილველი.**



აშშ ბრალად სდებს ექსპორტიორებს კონკურენციის წესების დარღვევას.

## ევრო მოაბიჯებს პლანეტაზე



საშობაო არდადეგების შემდეგ საფინანსო ბაზრების გახსნამ გვაუწყა, რომ ევროს კურსი სხვა უდიდესი მსოფლიო ვალუტების მიმართ მკვეთრად გაიზარდა.

ოთხშაბათს ვაჭრობის დამთავრებისას გამოირკვა, რომ ბოლო თვეში აშშ დოლარისა და იაპონური იენის მიმართ ერთიანი ევროპული ვალუტა გაიზარდა 10 პროცენტით. ეს ყველაზე მაღალი დონეა უკანასკნელი 10 თვის მანძილზე.

– დოლარი და იენი სუსტდებიან. ასე რომ, ევროს არ გაუჭირდება ამაღლება ამ ვალუტების მიმართ, – ამბობს ლონდონელი ანალიტიკოსი ბაროუ. – ეს გამოხატულებაა ნეგატიური პროცესებისა, ამჟამად რომ მიმდინარეობს მსოფლიოში, და, კერძოდ, ევროპაში.

ბაროუს სიტყვებს ადასტურებენ იაპონელი ინვესტორებიც, რომლებიც ბევრს ლაპარაკობენ შესაძლო დაქვეითებაზე. როგორც ცნობილია, ბოლო დროს შენელდა ამერიკის ეკონომიკის ზრდის ტემპიც.

მაგრამ, როგორც ევროპის ცენტრობანკის პრეზიდენტმა ვიმ დუიზენბერგმა განაცხადა, იგი დარწმუნებულია, რომ ევრო სულ უფრო მეტად გაძლიერდება. ამასთან დასძინა, რომ ნავთობის ფასების კლება უკანა პლანზე გადადის და ასევე გაუმართლებელია შიში ევროზონის საფინანსო სტაბილურობისათვის.

ოთხშაბათის ვაჭრობაზე ერთიანი ევროპული ვალუტის კურსმა მიაღწია თავის პიკს – 106, 55 იენას (ანუ 0, 9341 დოლარს). მაგრამ შემდეგ რამდენადმე დაეცა, ვინაიდან ტრაიდერები შეუდგნენ ევროს აქტიურ გაყიდვას, რათა სარგებელი ენახათ ამ სპეკულაციური ოპერაციით.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით გვერდს უძღვებიან
*არჩილ მანჯგალაძე, კახა ქორიძე.*

## ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი აცხადებს კონკურსს შემდეგი ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად:

1. ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი — 1,0 საშტატო ერთეული;
2. ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის დოცენტი, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი — 0,75 საშტატო ერთეული;
3. ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის უფროსი მასწავლებელი, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი — 0,75 საშტატო ერთეული;
4. ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის დოცენტი, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი — 1,0 საშტატო ერთეული;
5. ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის უფროსი მასწავლებელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი — 0,75 საშტატო ერთეული;
6. ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის უფროსი მასწავლებელი — 1,0 საშტატო ერთეული;
7. ქართული ენის კათედრის დოცენტი, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი — 0,5 საშტატო ერთეული;
8. ქართული ენის კათედრის უფროსი მასწავლებელი, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი — 1,0 საშტატო ერთეული.
9. ქართული ენის კათედრის უფროსი მასწავლებელი, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი — 1,0 საშტატო ერთეული;
10. საზღვარგარეთის ლიტერატურისა და კლასიკური ფილოლოგიის კათედრის უფროსი მასწავლებელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი — 0,5 საშტატო ერთეული;
11. რუსული ენისა და ლიტერატურის კათედრის უფროსი მასწავლებელი — 2,0 საშტატო ერთეული;
12. ინგლისური ენისა და ლიტერატურის კათედრის პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი — 1,0 საშტატო ერთეული;
13. გერმანული ენისა და ლიტერატურის კათედრის უფროსი მასწავლებელი — 1,0 საშტატო ერთეული;
14. ჰუმანიტარულ ფაკულტეტებზე უცხო ენების კათედრის ინგლისური ენის უფროსი მასწავლებელი — 4,0 საშტატო ერთეული;
15. ჰუმანიტარულ ფაკულტეტებზე უცხო ენების კათედრის გერმანული ენის უფროსი მასწავლებელი — 2,0 საშტატო ერთეული;
16. საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე უცხო ენების კათედრის უფროსი მასწავლებელი — 1,0 საშტატო ერთეული;
17. საქართველოს ისტორიის კათედრის დოცენტი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი — 2,0 საშტატო ერთეული;
18. საქართველოს ისტორიის კათედრის უფროსი მასწავლებელი — 2,0 საშტატო ერთეული;
19. მსოფლიო ისტორიის კათედრის დოცენტი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი — 2,0 საშტატო ერთეული;
20. ძველი მსოფლიო ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის კათედრის დოცენტი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი — 0,75 საშტატო ერთეული;
21. ძველი მსოფლიო ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის კათედრის დოცენტი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი — 0,5 საშტატო ერთეული;
22. სისხლის სამართლისა და პროცესის კათედრის უფროსი მასწავლებელი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი — 1,0 საშტატო ერთეული;
23. ფილოსოფიისა და სოციოლოგიის კათედრის პროფესორი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი — 1,0 საშტატო ერთეული;
24. ფილოსოფიისა და სოციოლოგიის კათედრის დოცენტი, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი, დოცენტი ან ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი — 1,0 საშტატო ერთეული;
25. ფილოსოფიისა და სოციოლოგიის კათედრის დოცენტი, ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი — 1,0 საშტატო ერთეული;
26. ფილოსოფიისა და სოციოლოგიის კათედრის უფროსი მასწავლებელი — 2,0 საშტატო ერთეული;
27. პოლიტოლოგიის კათედრის პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი — 1,0 საშტატო ერთეული;
28. პოლიტოლოგიის კათედრის უფროსი მასწავლებელი — 0,5 საშტატო ერთეული;
29. მათემატიკური ანალიზის კათედრის უფროსი მასწავლებელი — 0,5 საშტატო ერთეული;
30. ალგებრა-გეომეტრიისა და მათემატიკური სტატისტიკის კათედრის უფროსი მასწავლებელი — 1,0 საშტატო ერთეული;
31. გამოყენებითი მათემატიკის კათედრის დოცენტი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი — 0,5 საშტატო ერთეული;
32. გამოყენებითი მათემატიკის კათედრის უფროსი მასწავლებელი — 1,0 საშტატო ერთეული;
33. ზოგადი მათემატიკისა და მათემატიკის სწავლების მეთოდიკის კათედრის დოცენტი, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი — 0,5 საშტატო ერთეული;
34. ზოგადი მათემატიკისა და მათემატიკის სწავლების მეთოდიკის კათედრის უფროსი მასწავლებელი — 2,0 საშტატო ერთეული;
35. წარმოების ეკონომიკისა და მართვის კათედრის პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ან ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი — 0,5 საშტატო ერთეული;
36. წარმოების ეკონომიკისა და მართვის კათედრის დოცენტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ან ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი — 1,0 საშტატო ერთეული;
37. წარმოების ეკონომიკისა და მართვის კათედრის უფროსი მასწავლებელი, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი — 1,0 საშტატო ერთეული;
38. ეკონომიკური თეორიის კათედრის უფროსი მასწავლებელი, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი — 1,0 საშტატო ერთეული;
39. ეკონომიკური თეორიის კათედრის უფროსი მასწავლებელი — 2,0 საშტატო ერთეული;
40. აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტის კათედრის დოცენტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი — 1,0 საშტატო ერთეული;
41. აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტის კათედრის უფროსი მასწავლებელი — 1,0 საშტატო ერთეული;
42. უმაღლესი მათემატიკისა და ეკონომიკური ინფორმატიკის კათედრის დოცენტი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი — 1,0 საშტატო ერთეული;
43. უმაღლესი მათემატიკისა და ეკონომიკური ინფორმატიკის კათედრის უფროსი მასწავლებელი — 0,5 საშტატო ერთეული;
44. მიკრობიოლოგიის, გენეტიკისა და ბიოტექნოლოგიის კათედრის დოცენტი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი — 1,0 საშტატო ერთეული;
45. მიკრობიოლოგიის, გენეტიკისა და ბიოტექნოლოგიის კათედრის უფროსი მასწავლებელი, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი — 1,0 საშტატო ერთეული;
46. გეოგრაფიის კათედრის უფროსი მასწავლებელი — 1,0 საშტატო ერთეული;
47. გეოგრაფიის კათედრის უფროსი მასწავლებელი — 0,75 საშტატო ერთეული;
48. დაწყებითი სწავლების პედაგოგიკისა და მეთოდიკის კათედრის უფროსი მასწავლებელი — 1,0 საშტატო ერთეული;
49. პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კათედრის დოცენტი, პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი — 1,0 საშტატო ერთეული;
50. პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კათედრის დოცენტი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი — 1,0 საშტატო ერთეული;
51. პედაგოგიკის და ფსიქოლოგიის კათედრის უფროსი მასწავლებელი — 1,0 საშტატო ერთეული;
52. ფიზიკური აღზრდის თეორიისა და მეთოდიკის კათედრის დოცენტი, პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი — 1,0 საშტატო ერთეული;
53. ფიზიკური აღზრდის თეორიისა და მეთოდიკის კათედრის დოცენტი, პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი — 0,5 საშტატო ერთეული;
54. ფიზიკური აღზრდის თეორიისა და მეთოდიკის კათედრის უფროსი მასწავლებელი — 1,0 საშტატო ერთეული;
55. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის უფროსი მასწავლებელი — 1,0 საშტატო ერთეული.

პროფესორის, დოცენტისა და სამეცნიერო ხარისხის მქონე უფროსი მასწავლებლის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში დაიშვებიან შესაბამისი სამეცნიერო ხარისხის მქონე პირები, რომლებსაც ბოლო ხუთი წლის განმავლობაში (2000 წლის 3 დეკემბრამდე, იხ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 3 დეკემბერი, 2000 წ. №316) გამოქვეყნებული აქვთ არანაკლებ ორი სამეცნიერო ნაშრომი რეცენზირებად ორგანოში.

უფროსი მასწავლებლის თანამდებობის დასაკავებლად დაიშვებიან ასევე სამეცნიერო ხარისხის არმქონე პირები, რომლებსაც ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვთ არა ნაკლებ ორი სამეცნიერო შრომა რეცენზირებად ორგანოში და გააჩნიათ უმაღლეს სასწავლებელში მუშაობის არანაკლებ ათი წლის სტაჟი.

კონკურსში მონაწილეებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. განცხადება დირექტორის სახელზე კონკურსში მონაწილეობის შესახებ;
2. დამოწმებული ამონაწერი შრომის წიგნაკიდან;
3. სამეცნიერო ხარისხის მინიჭების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
4. სამეცნიერო წოდების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (კონკურსის პირობების შესაბამისად).
5. სამეცნიერო შრომების სია, დამოწმებული სწავლული მდივნის მიერ და გამოქვეყნებული შრომების ქსეროასლები;
6. ავტობიოგრაფია (ხელით დაწერილი).

საბუთები მიიღება მისამართზე: ქ. თბილისი, საბურთალო, ჯიქიას 12, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ სოხუმის ფილიალი, კადრების განყოფილება.

განცხადების შემოტანის ვადაა 15 დღე კონკურსის პირობების გამოცხადებიდან.

**საკონკურსო კომისია.**

## ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი აცხადებს კონკურსს შემდეგი ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად:

1. სისხლის სამართლისა და პროცესის კათედრის გამგის თანამდებობაზე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი — 1,0 საშტატო ერთეული;
2. წარმოების ეკონომიკისა და მართვის კათედრის გამგის თანამდებობაზე, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი — 1,0 საშტატო ერთეული;
3. ბიოლოგიის კათედრის გამგის თანამდებობაზე, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი — 1,0 საშტატო ერთეული;
4. ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრის გამგის თანამდებობაზე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი — 1,0 საშტატო ერთეული;
5. მიკრობიოლოგიის, გენეტიკისა და ბიოტექნოლოგიის კათედრის გამგის თანამდებობაზე, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი — 1,0 საშტატო ერთეული.

კათედრის გამგის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს შესაბამისი სამეცნიერო ხარისხისა და წოდების მქონე პირებს, რომლებსაც ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვთ არანაკლებ ორი სამეცნიერო ნაშრომი რეცენზირებად ორგანოში.

კონკურსში მონაწილეებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. განცხადება დირექტორის სახელზე კონკურსში მონაწილეობის შესახებ;
2. სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
3. სამეცნიერო წოდების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
4. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან;
5. გამოქვეყნებული შრომების სია, დამოწმებული სწავლული მდივნის მიერ;
6. გამოქვეყნებული შრომების ქსეროასლები;
7. ავტობიოგრაფია (ხელით დაწერილი).

კათედრის გამგის, დოცენტის თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის უფლება ასევე ეძლევა მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს.

საბუთები მიიღება მისამართზე: ქ. თბილისი, საბურთალო, ჯიქიას 12, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ სოხუმის ფილიალი, კადრების განყოფილება.

განცხადების შემოტანის ვადაა 15 დღე კონკურსის პირობების გამოცხადებიდან.

**საკონკურსო კომისია.**

### პერსპექტივა
## საბოლოო მიზანი ევროკავშირში გაწევრიანებაა

როგორც ცნობილია, 1996 წლის 22 აპრილს ლუქსემბურგში ხელი მოაწერეს და 1999 წლის 1 ივლისს ძალაში შევიდა საქართველოსა და ევროკავშირის შეთანხმება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ, რომლის წარმატებით განხორციელება განაპირობებს ამ გაერთიანებასთან ჩვენი ქვეყნის შემდგომ დაახლოებას. შეთანხმების შესაბამისად, მხარეებმა ხელი უნდა შეუწყონ საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებას, სადავო საკითხების მშვიდობიანად მოგვარებას და ამ მიზნით გაეროსა და ეუთოს ფარგლებში თანამშრომლობას. შეთანხმება ითვალისწინებს თანამშრომლობას საერთაშორისო პოლიტიკის, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვის, ფინანსების, ეკონომიკის, ვაჭრობისა და ინვესტიციების, ტექნიკური დახმარების და სხვა სფეროებში. ამასთან, თანამშრომლობის პერსპექტივა, ევროკავშირში საბოლოო გაწევრიანების გათვალისწინებით მოითხოვს ამ გაერთიანების სტანდარტებთან ჰარმონიზაციას ისეთ დარგებში, როგორიცაა კომპანიათა ინვესტიციები, საბაჟო სამართალი, სამეწარმეო სამართალი, საბანკო სამართალი, ინტელექტუალური საკუთრება, გარემოს დაცვა, მომხმარებელთა დაცვა, სახელმწიფო შესყიდვები და სხვა.

**საქინფორმი.**

## ს/ს „ლაგოს“ აქციონერთა საყურადღებოდ

2001 წლის 20 იანვარს 11 საათზე გაიმართება ს/ს „ლაგოს“ აქციონერთა კრება

**დღის წესრიგი**

1. 2000 წლის სამეურნეო საქმიანობის შედეგები.

მომხს. ს/ს „ლაგოს“ გენ. დირექტორი ნ. ვახტანგიშვილი.

2. ს/ს „ლაგოს“ რეორგანიზაციის საკითხი.

მომხს. ნ. ვახტანგიშვილი.

კრება ჩატარდება ქ. თბილისში, ინგოროყვას ქ. № 8.

**აქციონერთა დასწრება სავალდებულოა.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## ალბომი

# ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



ლიკანი, 1986 წელი. დამსვენებელთა ერთი ჯგუფი. მარცხნიდან – გივი ხომერიკი, აჩიკო ერგემლიძე, პაატა გუგუშვილი, რევაზ კაკულია.

ფოტო მოგვაწოდა ციალა კართხიამ.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

*რედაქცია გთხოვთ, მობრძანდეთ დაბეჭდილი სურათების ორიგინალებისათვის. დაკარგვის შემთხვევაში ჩვენ პასუხს აღარ ვაგებთ.*

## ღიმილის დოზა



რეკავენ. კარს აღებს ახალი რუსის ცოლი. ზღურბლზე დგას ცნობილი ფირმის წარმომადგენელი:

– ღრმად პატივცემულო ქალბატონო, ნება მიბოძეთ წარმოგიდგინოთ ჩვენი უახლესი ნაწარმის კატალოგი, რომელთა შესახებ თქვენმა მეზობელმა განაცხადა, თითქოს მათი შეძენის შესაძლებლობა არა გაქვთ.

* * *

გაკვეთილი აშშ სკოლაში.

მასწავლებელი:

– ტიმ, რას აკეთებს დედაშენი სამსახურში?

– დედაჩემი ექიმია და ბავშვებს არჩენს?

– შესანიშნავია. მამაშენი რით არის დაკავებული, ემი?

– მამაჩემი ფოსტალიონია.

– ძალიან კარგი. შენი მშობლები სად მუშაობენ, ბილ?

ბილი ამაყად ადგება და განაცხადებს:

– მამაჩემი მუსიკას უკრავს ბორდელში!

გადაირევა მასწავლებელი და იმავე საღამოს ტელეფონით უკავშირდება ბილის მამას, მოუყვება, რაც მოხდა და აღშფოთებული ეკითხება: – როგორ ზრდით თქვენ შვილს?!

– თავად განსაჯეთ, – უპასუხებს მამა, – მე ვარ პროგრამისტი და ვსპეციალდები TCP/IP კომუნიკაციურ ოქმებზე UNIN-ის სისტემაში. მითხარით, როგორ ავუხსნა ეს შვიდი წლის ბავშვს?

## სანთელი

# ვედრება

**ანზორ მაისურაძეს**

ახალწლის ღამეს კაცი ვნახე
სასაფლაოზე,
გაბრწყინებული შუქით
შვილთან სიახლოვისა,
მაშინ შევიგრძენ სიდიადე
გამშრალი ცრემლის
და შემზარავი სილამაზე
ჩუმი გლოვისა.
ღმერთო ძლიერო, ყოვლისშემძლევ,
ერთს გვედრებ მხოლოდ,
ნუ გაგვიმწარებ ამ სიცოცხლეს,
შენგან ნაბოძებს,
ნუღარ გასწირავ დედას
შვილის დასატირებლად,
მამას — ახალ წლის
შესახვედრად სასაფლაოზე.

ზურაბ სარალიძე.

## ახალი ათასწლეულის მიჯნასთან

# ეს, — ახალი საუკუნე დაილოცა!..

დასაბამით — შუღლის, ქიშპის, სისხლის, ცრემლის
უთვალავი წელთა რემა გაიტეორცნა!
დაბოლოცა — ეს ახალი საუკუნე,
დედამიწის მშვიდი სუნთქვა დაილოცა!..
მაღალო, დიდო! — კოსმოსური შემოქმედის,
შენი აზრის სიმაღლე და განი მოგვეცა,
დაილოცა: სიდიადე საკურთხევლის, —
სიცოცხლე და უკვდავება დაილოცა!..
დაილოცა — ცოტნეს გული, — მოგიზგიზე,
მონღოლმაც რომ გაოგნებით გაიოცა,
დაილოცა გზები ბერი თევდორესი
და დემეტრეს თავდადება დაილოცა!
დაილოცა სოფოლადე ერეკლესი,
და ხმალი არაგველი დაილოცა,
დაილოცა ცხრა ძმის ცხრაჯერ უკვდავება...
ვინც მდაბლობით ამაღლდება მწვერვალივით.
დაილოცა — სილამაზე, სიალალე,
სიანკარე, სისპეტაკე, დაილოცა!..

ფარნაოზ რაინაული.

## სპორტი

# მასპინძელთა უპირატესობით

თბილისის ფარიკაობის სპეციალიზებულ დარბაზში სამ დღეს გრძელდებოდა ახალი წლისადმი მიძღვნილი მუშკეტერთა თბილისის ღია პირველობა, რომელშიც მასპინძლებთან ერთად რუსთაველისა და აფხაზეთის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. სულ 1986-1988 წლებში დაბადებული 100-მდე სპორტსმენი ეცილებოდა ერთმანეთს პირველობას, უსახსრობის გამო საასპარეზოდ ქუთაისელები და ბათუმელები ვერ ჩამოვიდნენ.

ორთაბრძოლები მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა და საპრიზო ადგილებიც უმთავრესად მათ დაიკავეს. სახეობების მიხედვით კვარცხლბეკზე ავიდნენ:

**ხმალი:** 1. დავით მთვარელიძე, 2. ნიკა ბასხოლიანი, 3. კახა მაღრაძე და გიორგი აირაპეტიანი (ყველა – თბილისი).

**დაშნა. გოგონები.** 1. ქეთევან სილაგაძე, 2. ნატო ხნიკინა, 3. ნატო მაღრაძე და მარიამ გაგიევა. **ვაჟები.** 1. გიორგი სილაგაძე, 2. დავით მამუაშვილი, 3. კახა გოცირიძე და მამუკა მახაშვილი (ყველა – თბილისი).

**რაპირა. გოგონები.** 1. ანა ძნელაძე, 2. ნატო კობიაშვილი, 3. ეკა ვერხვიშვილი და მადონა ჩაბრაძე (ყველა – თბილისი). **ვაჟები.** 1. გიორგი გრიგოლია (აფხაზეთი), 2. რომან ლომიძე (თბილისი), 3. ბექა ბექაური (აფხაზეთი) და ლევან ჯიქია (თბილისი).

# „ბენდელიას" ლაურეატები

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში დასრულდა აფხაზეთის ომში გმირულად დაღუპული ახალგაზრდა ფეხბურთელის ზაზა ბენდელიანის IX მემორიალი. გაუწყებთ გადამწყვეტი შეხვედრების შედეგებს:

**„ბენდელას თასი".** „ჩემპიონი" – „ნაძალადევი" 1:2.

**ვეტერანთა ტურნირი.** სუფ – პოლიცია 6:3.

**ბავშვთა ასპარეზობა „ჯეოსელის თასზე"** – „საბურთალო" – „შევარდენი" 5:0.

# პირველობაც, ჩემპიონატიც

დამთავრდა მაგიდის ჩოგბურთელთა საქართველოს ჩემპიონატი და პირველობა ერთდროულად. შეჯიბრებაში მხოლოდ თბილისელი, ქუთაისელი, რუსთაველი და ბორჯომელი სპორტსმენები მონაწილეობდნენ. 1990 წელს და უფრო გვიან დაბადებულთა ასპარეზობაში რუსთაველმა დავით ნოზაძემ გაიმარჯვა. 1988-1989 წლებში დაბადებულთაგან უძლიერესი იყო თბილისელი ვანო სალუქვაძე, ხოლო 1984-1987 წლებში დაბადებულთაგან – ასევე დედაქალაქელი კოტე ხარატი. რაც შეეხება ეროვნულ ჩემპიონატს, ადგილები კვარცხლბეკზე ასე განაწილდა:

ქალები. 1. ქანა აკოფიანი, 2. ლიკა თარუჩიშვილი, 3. ნინო ჯახუა.

კაცები. 1. ვახტანგ იმერლიშვილი, 2. სერგეი იალიშევი, 3. დავით ბარბაქაძე.

გამარჯვებულები და პრიზიორები შესაბამისი ხარისხის დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.

## დიდების ზღაპარი

# მეოცე საუკუნის ნოსტალგია

ახალ წელს მხოლოდ ადამიანები კი არა, თოჯინებიც ხვდებიან. ცხადია, ადამიანების მსგავსად ისინიც სასმელთა და სადღეგრძელოებით ეგებებიან დღესასწაულს, ამიტომ, მათთვისაც არ არის უჩვეულო მეორე დღეს ნაბახუსევი განწყობა და თუ ამ მოსაზრებაში ეჭვი გეპარებათ, ამ ეჭვს აუცილებლად გაგიქარწყლებთ „დიდების ზღაპრის" ახალი სერია. აი, თავად ისმინეთ თოჯინების საუბარი:

– ვაი, თავი, თავი, სად არის თავი? აი, თავი აქა ყოფილა. კარგი რა, თავო, ნუ იცი ხოლმე ეგეთი ხუმრობა, გული გადამიტრიალდა შიშით. გული, ვაიმე, გული დავკარგე, მიშველეთ! არა, აქ ყოფილა. მაიცა, თავი აქ არის, გული აქ არის, ხელი აქ არის, ფეხი აქ არის... ის აქ არი, ამბობს ქარი... ვაიმე, რა პახმელიაზე ვარ, მიშველეთ!

– აი, მეორე ხმაც მოვედი.

– მოიცა, შენ ვინა ხარ?

– ვერ მიცანი? ზურო ვარ, რომელი და სპიკერი.

– მოიცა, აბა მე ვინა ხარ?

– ვინა ხარ და ჩემი პახმელია.

რთული ვითარებაა, ამიტომაც გადაწყვეტენ „ყაზბეგის" „ცივი ჩაის" დალევას, – პახმელია გაქრება და ნამდვილი ზურა დარჩებაო. ასეც მოხდა, მაგრამ მალე ზურას თემოს პახმელია ესტუმრა, – თემოს ვეძებო.

– ეს სადა ვარ, კაცო, აკი ამბობდნენ, ოცდამეერთე საუკუნეში უცნაური ამბები მოხდებაო, – სტიქიებიო, კატაკლიზმებიო...

– კი, მართალია, ჩემო ზურიკ. ამ ჩემის ოცდამეერთე საუკუნეში ისეთი სტიქიური მოვლენები დაიწყო, რომ მალე კატა კლიმმას გაიკეთებს.

– ვა, ელენე, შენ ხარ?

– მე ვარ, მე, მაგრამ ნეტავ მე არ ვიყო. ჩემი ფეხსაცმელი არ გინახავს?

– შენ თუ ხარ, მაშინ რატომ კოჭლობ? ელენე არ იყო კოჭლი. ახლა მე როგორ გაეიგო, შენ თევდორაძე ხარ, ზოლუშკა თუ პახმელია?

– უიმე, მართალია, სტრაშნი პახმელია ვარ.

– მაგრამ კოჭლი პახმელია პირველად ვნახე.

– კაცო, შენ რას გადამეკიდე? კოჭლიცა ხარ და ბრუციანიც, – პროსტო, ჩემი ფეხსაცმელი ბიჭები დამიკარგეს, – განსხვავებულს სვამდნენ იქიდან.

და აი, კიდევ ერთი სტუმარი შეესწრება ამ საუბარს:

– გამარჯობა, ზურიკო, მრავალ ახალ წელს!

– გამარჯობათ, ბატონო ედუარდ, მრავალ ახალ წელს! თუ შეიძლება, ერთი ჭიქა დაგვილიეთ.

– კი, ბატონო, დიდი სიამოვნებით, მწვანე ჩაი მე ყველანაირად მიყვარს.

– აი, ეხლა ნახე, გაქრება.

– ვინ გაქრება, ბიჭო?

– ვაიმე, ესე იგი, თქვენ პახმელია არა ხართ?

– ზურო, მე არასოდეს არა ვარ ნაბახუსევი. აი, შენ კი,. მეორე დღეა ვერ გცნობ, რა იყო გუშინ სუფრაზე, როგორ დათვერი, გინდა თუ არა, შევარდნაძე ვარო.

– არა, მე მაგას არ ვიტყოდი, არა, ბატონო ედუარდ. ეგ, ალბათ, საახალწლო ხუმრობა იყო.

– მეც გეხუმრე. ალბათ, ნუ გეშინია, ძალიან კარგად იქცეოდი, მაგრამ ეს რა იყო, – სხვებმა ორი ჭიქა დალიეს და ან რას მღეროდნენ, ან რას ცეკვავდნენ.

– აბა, ბატონო ედუარდ, რა კარგად იმღერეს?!

– რას ამბობ, კაცო, კარგად კი არა, წელსაც თუ ასე აპირებენ სიმღერას, უმჯობესია, საერთოდ აღარ იმღერონ.

– დააა. რაღაც ამ ბოლო დროს ვეღარ გუვებიან ბიჭები.

– პოდა, ახალი გუნდი ხომ არ ჩამოგვეყალიბებინა?.

– რას ამბობთ, ბატონო ედუარდ, აი, დღეს ნახეთ პირდაპირ ეთერში, როგორ კარგად ვიმღერებთ, რა თქმა უნდა, თქვენთან ერთად.

– იმედია, ასეც იქნება.

და აი, გუნდი უკვე სცენაზეა, ხოლო რას იმღერებენ და როგორ, რა რეაქცია მოჰყვება მის სიმღერას, შეიტყობთ „დიდების ზღაპრის" ახალ სერიაში ორშაბათს, 1 იანვარს საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის საღამოს ეთერში. აუცილებლად უყურეთ!

* * *

**„დიდების ზღაპრის" სპონსორია ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანია „მაგთი GSM", „დიდების ზღაპრის" გმირების საზეიმო განწყობილებას უზრუნველყოფს ცქრიალა ღვინო „ძველი თბილისი". „დიდების ზღაპრის" საინფორმაციო მხარდაჭერას ახორციელებენ რადიო „აუდიენცია" FM 105.9 და გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა".**

ბახუს პახმელოვიჩი.



## მისი საუკუნე

# ოსტატის ხელწერა

ბევრმა იქნებ არც იცის, რომ იმ მრავალი კარიკატურის ავტორი, რომლებიც ხშირად ჩვენი და ქვეყნის ბევრი სხვა გაზეთის საჭირბოროტო მასალებს „ახმოვანებს", სახელოვანი ანსამბლის „ორერას" უცვლელი მომღერალი ვახტანგ კუცია გახლავთ. ზოგი იტყვის, ამ შეჭირვების ჟამს ნეტავ, რა ამღერებსო, რას იზამ, სასიმღეროდ თუ არა, საბრძოლველად ხომ მაინც გვაქვს საქმე იმის აღმოსაფხვრელად, რა ლექი და სიბინძურეც მოჰყვა დღევანდელობას. პოეტის სიტყვების ნაწილობრივ ინტერპრეტაციას მოვიშველიებ – „ფიცხელ ომში ხომ მღეროდა მაჩაბელი". იქ კი, სადაც მხოლოდ სიმღერა არ ჭრის, ჩვენმა ვახტანგმა ძალზე მახვილი იარაღი – ყალამი თუ კალამი მოიმარჯვა და მრავლისმთქმელი კარიკატურებით იბრძვის უკვე კარგა ხნის წინათ ამოსაძირკვი ცოდვა-ნაკლოვანებების წინააღმდეგ.

ჩვენი გაზეთის ფურცლებზე უამრავ კარიკატურას ნახავდით სადღეისო თემაზე – კორუფციის წინააღმდეგ, რასთანაც ბრძოლაც ჩვენი დღევანდელობის უპირველესი საქმე გახდა. პოეტურისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ერთი ასეთი შერითმული წინადადება წამოტივტივდა:

**როგორც ეგზეკუცია,**
**მას ჩაუჯდა კუცია.**

ჩვენი ეპოქა სტატისტიკის ზეობის ეპოქაა, პოდა, სად გაექცევით ყველა ამ ფაქტს: ვახტანგ კუციას 10 ათასზე მეტი კარიკატურა 1965 წლიდან სამასზე მეტ ქართულ და უცხოურ გაზეთსა თუ ჟურნალშია დაბეჭდილი, ოცი გამოფენის მონაწილეა, მრავალი საერთაშორისო კონკურსის ლაურეატია, გინესის წიგნშიც არის შესული, დაუვიწყარ სიმღერებთან ერთად, ქართული კარიკატურის განვითარება-პოპულარიზაციისათვის ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტმა ღირსების ორდენით დააჯილდოვა.



იქნებ, გახსოვთ, ჩვენმა გაზეთებმა უცხოეთის პრესაში გამოქვეყნებული სახელოვანი მხატვრის გიგლა ფირცხალავას კარიკატურა გადმობეჭდეს და მიაწერეს, „უცხოური იუმორიო". უცნაურია, მაგრამ ფაქტია. ჩვენ სხვისგან დასასესხებელი რა გვჭირს, როცა ღიმილისა თუ სიცილის დიდებული ოსტატები – კარიკატურისტები გვყოლია, გვყავს და გვეყოლება. ერთ-ერთი მათგანი კი ამჟამად ყველაზე პოპულარული სწორედ ვახტანგ კუცია გახლავთ.

ვალიკო სიმონიშვილი.



– პარლამენტში დებატები იწყება.

## კრიმინალი

# ყაჩაღებს პოლიციის ფორმა ეცვათ

27 დეკემბერს, გვიან ღამით შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს ოპერატიულმა ჯგუფმა, ვარკეთილში, ყაჩაღობის ფაქტზე დააკავა ორი პიროვნება– 26 წლის ავთანდილ რუხაია და 27 წლის დიმიტრი ლუკიანოვი.

როგორც წინასწარი გამოძიებით დადგინდა, ისინი საღამოს 11 საათზე ვარკეთილის მეტროსთან ტაქსში ჩასხდნენ. რამდენიმე კილომეტრის გავლის შემდეგ, იარაღის მუქარით, ტაქსის მძღოლს ხელები შეუკრეს და თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე მანქანიდან გადმოაგდეს. ამის შემდეგ საჭეს ერთ-ერთი ბოროტმოქმედი მიუჯდა და ახალი დანაშაულის განზრახვით ვარკეთილისკენ აიღეს გეზი, სადაც მათ გადაწყვეტილი ჰქონდათ, გაეძარცვათ პიროვნება, რომელსაც, მათი განმარტებით, 13 ათასი დოლარი უნდა ჰქონოდა თან.

დაკავებისას ავთანდილ რუხაიას ავტოინსპექციის თვალის ასახვევად, პოლიციის მაიორის სამხრეებიანი ფორმა ეცვა.

ჩხრეკისას პოლიციამ ასევე ამოიღო ნიღბები, კვერთხი, ორი გადაჭრილი სანადირო თოფი და სხვა.

საქინფორმი.

# განცხადება

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო სახელმწიფო სამედიცინო პროგრამების ტკივილგამაყუჩებელი ნარკოტიკული საშუალებებით უზრუნველყოფის მიზნით ატარებს ტენდერს ამ ჯგუფის პრეპარატების შესყიდვაზე 2001 წლისათვის. ხელშეკრულება მედიკამენტის შემოტანაზე გაფორმდება ტენდერში გამარჯვებულ ობიექტებსა და სამინისტროს მიერ დადგენილ სახელმწიფო ფარმაცევტულ ბაზებს შორის. მედიკამენტების შემოტანა უნდა მოხდეს კვარტალში ერთხელ და მისი პირველი ნაწილის იმპორტი განხორციელდეს 2001 წლის I კვარტალისთვის. ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ საკვალიფიკაციო მონაცემები საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში, რომელიც საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მიხედვით უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

1. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის, პრეტენდენტის იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები.

2. ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობა, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში საშუალო წლიური ბრუნვა გამოხატული აშშ დოლარში.

3. მათი ხელმძღვანელის უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში სამსახურებრივი მიზეზით მსჯავრდადებულობის არარსებობის შესახებ.

4. პრეტენდენტის რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის, გაკოტრების, ყადაღის დადების ან სანაციის საქმის წარმოების არარსებობის შესახებ.

5. მსოფლიო ფარმაცევტულ ბაზარზე მათ მიერ წარმოებული ნარკოტიკული მედიკამენტების მოცულობის და მათი საქართველოში სახელმწიფო რეგისტრაციის შესახებ.

საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იქნეს წარდგენილი ქართულ, რუსულ ან ინგლისურ ენებზე, დალუქულ კონვერტებში კურიერის საშუალებით ან პირადად, განცხადების გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს 15 დღისა, შემდეგ მისამართზე:

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ნარკოტიკულ საშუალებათა შესყიდვის სატენდერო აპარატი

მე-4 სართული, ოთახი 428
გამსახურდიას გამზირი 30
თბილისი, 380060, საქართველო
ტელეფონი/ფაქსი: 995-32 25-06-32.

საკვალიფიკაციო შერჩევის პროცედურის დასრულების შემდეგ შერჩეულმა პრეტენდენტებმა უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი – 500 ლარის ოდენობით წინასწარ მითითებულ ანგარიშზე. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემა მოხდება შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში განცხადებულ მისამართზე მოსაკრებელის გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარდგენის შემდეგ... პრეტენდენტებს შეუძლიათ სატენდერო დოკუმენტაციის გაცნობა მოსაკრებლის გადახდამდე. სატენდერო წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2001 წლის 22 იანვრის დღის 12 საათი, მათი განხილვა მოხდება 2001 წლის 23 იანვარს.

დამატებითი ცნობების შესახებ მიმართეთ ტელ: 94-05-27, სატენდერო აპარატის წევრებს: მ. გიორგობიანი, თ. შუბითიძე.

„ინტელექტბანკი" ცენტრალური ფილიალი, ქ. თბილისი. კოდი: 220101935, ანგ: 301467058.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, გამსახურდიას გამზირი, 30, თბილისი, 380060, საქართველოს ტელეფონი/ფაქსი: 995-32 94-05-27.

## SIC!

**ადლერში დააკავეს აფხაზეთის ორი მცხოვრები**

რუსეთის საზღვაო საგუშაგო „ადლერში" დააკავეს აფხაზეთის ორი მცხოვრები. მათგან ერთი სოჭში ვაზნებიანი პისტოლეტის, ხოლო მეორე ყუმბარის შეტანას ცდილობდა. ამას იტყობინება სოჭის საქალაქო გაზეთი „სოჭი". დაწყებულია გამოძიება.

საქინფორმი.

## ტელევიზია — პარასკევი, 29 დეკემბერი

**[1]** 08.00 ალიონი 09.30 ტელესერიალი **"ძილის წინ"** 09.45 ტელემაღაზია 09.55, 20.50 სერიალი **"ქამელეონი"** 10.30 მეალომანია 11.05 სერიალი **"სენ-ტროპე"** 12.00, 15.00, 20.00, 23.10 მოამბე 12.10 სერიალი **"ფსიქოფაქტორი"** 12.35 ეძიე ქალი 13.00 ნაშუადღევი 14.05 ტელე-სინე-ვიდეო 14.35 ბავშვები უპირველეს ყოვლისა 15.15 მხ.ფ. **"იცეკვე ჩემთან ერთად"** 17.00 50-50 17.50 მუსიკალური პაუზა 18.00 ვესტნიკი 18.15 სერიალი **"სენ-ტროპე"** 19.05, 02.05 ვიდეოპატრული-02 19.15 მაესტრო 19.25 ოვერტაიმი 19.40 ბასტი-ბუბუ 21.40 "XX საუკუნე" 22.00 "მოსკოვი-თბილისი" 22.20 მრავალსახეობა 22.40 ტელესერიალი **"ფსიქოფაქტორი"** 23.50 ტელესერიალი **"ძილის წინ"** 00.15 გმირი 00.35 მხ.ფილმი **"ზნედაცემული"**.

**[2]** 19.00 ინფორმაცია 19.30 ორატორი 19.45 იყო და არა 20.15 360 გრადუსი 20.30 საუკუნის ღიმილი 20.40 მოლბერტი 21.00 ვარსკვლავები გვამცნობენ 21.15 მე-20 საუკუნის პიტები 21.30 აფხაზეთის ტელევიზია 22.00 ინფორმაცია 22.15 ანტრე 22.55 მხ.ფ. **"რწმენის შენარჩუნება"**.

**[რუსთავი 2]** 07.00 მუსიკა. 07.30 ტექს ავერი, პაპირუსის თავგადასავალი 08.00, 12.00, 15.00 კურიერი 08.55 სერიალი **"ბლანკოს ქვრივი"** 09.50 სერიალი **"ნიკიტა"** 10.40 სერიალი **"ჯუნგლების წიგნი"** 11.10 სერიალი **"სამანტა"** 12.15 მულტსერიალი "რკინის გოლიათი" 13.30 მხ. ფ. **"ნილაბი"** 15.15 ევროპული ფეხბურთის მიმოხილვა 16.50 მხ.ფ. **"ბედის ირონია ან გაამოს"** 18.00, 21.00, 23.00, 02.50 კურიერი 18.20 **"ჯუნგლების წიგნი"** 18.50 სერიალი **"ჰერაკლე"** 19.50 სერიალი **"სამანტა"** 21.50 ტელევიქტორინა "ვის უნდა ოცი ათასი" 00.05 მხ.ფ. **"დიქ თრეისი"** რეჟ. უორენ ბიტი. მთ. როლებში: უორენ ბიტი, მადონა. 01.50 სიმფსონები 02.20 სერიალი **"წითელი ფეხსაცმლის დღიურები"** 03.00 კლასიკა.

**ევრიკა** 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 "ვესტი" 10.45 მხ.ფ. **"სკარლეტი"** 11.45 მუსიკალური კოლაჟი 12.15 პროგრამა "სალონი" 14.00 მხ.ფ. **"მძევლები"** 17.00 ხმა გამარჯვებული მორწმუნისა 17.30 მულტფილმი 19.00 მხ.ფ. **"სკარლეტი"** 19.00 სალონი 21.30 კრიმინალი, პოლიცია, საზოგადოება 22.00 დოკ. ფილმი "ფეხბურთის ლეგენდები" 23.00 ძველი კონოკლასიკა. მხ.ფილმი.

**IST** 08.00 "ბისი".მხ.ფ. **"მხედარი ახლოვდება"** 10.00, 17.30, 19.15, 21.35, 23.40 კლიპ-მიქსი 14.00 კონცერტი 16.00 მულტფილმი 17.00 "მადიანი" 17.45 "Co.მედია" მხ.ფ. **"გზა შინისაკენ-2"** 19.30 "დღის ქრონიკა" 20.00 პროგრამა "F" მხ.ფ. **"მუცელი"**. მთ. როლში სანდრა ბალოკი. 21.50, 23.55 "ბრავო". მხ.ფ. **"ღამის ფერი"**. მთ. როლში ბრიუს უილისი. დასასრულს ნონ-სტოპი.

**[9]** 09.00 საინფორმაციო პროგრამა "დილით" 09.15, 18.15 მულტფილმი "ტომი და ჯერი" 09.40 მხ.ფ. **"უფსკრულის ფსკერზე"** 11.15 "საუბრები სტუდიაში" (ლევან აბაშიძე) 12.05 მხ. ფილმი **"შეთქმულების საიდუმლო"** 14.20, 21.05 მუსიკა 14.35, 18.40 შემეცნებითი პროგრამა "დისქავერი" 16.10 მხ.ფ. **"ჭექა – ქუხილის დღეები"** მთ. როლში ტომ კრუზი. 18.00 საინფორმაციო პროგრამა "საღამოს ექვს საათზე" 20.25, 23.55 ხუთი წუთი ეკონომიკა 20.30 საინფორმაციო პროგრამა "ცხრის ნახევარზე" 21.20 გადაცემა "ლიმონი და ლიმონათი" 21.35 მხ. ფილმი **"ნოტინგ ჰილი"** მთ. როლში ჰიუ გრანტი. 00.00 საინფორმაციო პროგრამა "შუაღამისას" 00.15 მხ. ფილმი **"გლადიატორი"** მთ. როლში რასელ კროუ.

საქართველოს დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელობა და კოლექტივი მწუხარებით თანაუგრძნობს სამმართველოს უფროსის მოადგილეს, პოლკოვნიკ ავთანდილ გელავას ძმის – თადარიგის პოლკოვნიკ

კენრიხ გელავას

გარდაცვალების გამო.

საქართველოს კონტროლის პალატა თანაუგრძნობს III დეპარტამენტის წამყვან ინსპექტორს ეთერ კიკოლაშვილს მამის

ვლადიმერ კიკოლაშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

**რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.**

## ხელოვნება

# ზაურ შევარდნაძე



კიდევ ერთი თბილისზე შეყვარებული მიჯნური წავიდა სულეთში, მისი მეხოტბე და თაყვანისმცემელი.

მეფეთა უბნელი – პლეხანოველთა კოლორიტი, უღალატო, ალალმართალი, პატიოსანი, კეთილი, მეგობრებისათვის თავგადამკვდარი, მათი ლხინისა თუ ჭირის გამზიარებელი, კაცურკაცობის ეტალონი. „მიყვარს თბილისი, ირაკლივით მუდამ მშფოთვარე"... იტყოდა და ღიმილით გადახედავდა მართლაც მშფოთვარე და ბობოქარ თბილისს. კაცი, რომელიც ყველანაირი ფორმალობის გარეშე, აღიარებული იყო პლეხანოველთა მეთაურად, ძველი ტრადიციების დამცველად, მის გამგრძელებლად.

კეთილს, გამგებს, გაწონასწორებულს მშობლებისაგან გადმოჰყვა სიყვარულისა და ერთგულების ნეტარი გენი. არასოდეს არავის არ აწყენინებდა, ავუგად არ მოიხსენიებდა, არ დასცინებდა. იამათებდა, იდავებდა, მაგრამ, ბოლოს, მაინც ყველა შეხლა-შემოხლას ღიმილით დაუსვამდა წერტილს.

ერთგულ მეუღლეს, მოსიყვარულე მამას, შვილიშვილებზე თავგადაკლულ ბაბუას ოჯახი მიაჩნდა უწმინდეს ტაძრად, მის კელაპტრად. ამიტომაც არის ასე მძიმე, ასე ცრემლიანი მისი სიკვდილი, მასთან გამოთხოვება.

მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი მიწა, ჩვენო ზაურ.

მეგობართა ჯგუფი.

**რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!**

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-98"

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, როლანდ ბასილაშვილი, გურამ გოგიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, გიორგი ლალიაშვილი, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბექა ჭედია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები – „საქართველოს რესპუბლიკის" ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
გურამ გოგიაშვილი.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება – ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა – PRESS-98@CAUCASUS.NET

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსში, ხომარაულის 29.